პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

სამშაბათი 12 იანვარი 1937 წ. № 10 (4812)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო.

# დიდი სტალინი — ორგანიზატორი ბათომის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა

## ლავრენტი ბერია

1900-1901 წლებში ბათომი თბილისის სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციის გავლენის გარეშე იყო დარჩენილი.

1896 წელს რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ლუზინმა და ფრანჩესკამ ბათომში მოაწყეს პატარა სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელიც ჟანდარმერიამ? პოლიციამ 1898 წლის დამდეგს გაანადგურა და მოსპო. 1899—1900 წლებში ბათომში იმყოფებოდნენ კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი — „მესამე დასის“ უმრავლესობის მომხრეები, რომელნიც „ლეგალური მარქსიზმის“ პოზიციებზე იდგნენ და უარჰყოფდნენ არალეგალური პარტიული ორგანიზაციისა და მუშათა კლასის რევოლუციური პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას. ისინი ბათომის მუშათა პატარა ჯგუფს შორის ეწეოდნენ ლეგალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და თვით განვითარების მუშაობას, უმთავრესად კითხულობდნენ ლექციებს მუშათა საერთო-საგანმანათლებლო სკოლაში, ე. ი. პრაქტიკულად ატარებდნენ „მესამე დასის“ უმრავლესობის ხაზს.

ვინაიდან ბათომი ამიერ კავკასიის ერთერთ უდიდეს სამრეწველო და მუშურ ცენტრს წარმოადგენდა, თბილისის კომიტეტი ცდილობდა დაეარსებინა იქ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რისთვისაც ბათომში გაიგზავნა თბილისის კომიტეტის წევრი ამხ. გიორგი ჩხეიძე. ბათომში ჩასვლისას გიორგი ჩხეიძემ დახმარებისათვის მიმართა კარლო ჩხეიძეს და ისიდორე რამიშვილს, მაგრამ მათ დახმარებაზე უარი უთხრეს, იმ საბაბით, რომ ქალაქ ბათომის პირობებში არალეგალური რევოლუციური მუშაობა შეუძლებელიაო.

**აი რას მოგვითხრობენ ამ ფაქტზე ამხ. ოქუაშვილი და გ. ჩხეიძე:**

„ამხანაგ სტალინამდე ბათომში არავითარი მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია არ ყოფილა. ჯერ კიდევ ამხანაგ სტალინამდე ბათომში გაიგზავნა თბილისის კომიტეტის წევრი გიორგი ჩხეიძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა დაეარსებინა იქ სოციალ-დემოკრატიული წრე. გიორგი ჩხეიძე დაუკავშირდა მაშინ ბათომში მყოფ კარლო ჩხეიძეს და დახმარება სთხოვა, მაგრამ კარლო ჩხეიძემ გიორგის განუცხადა: ბათომში ყველაფერი ხელის გულივით სჩანს და აქ რაიმე რევოლუციური ორგანიზაციის შექმნა წარმოუდგენელიაო; ურჩია მას უკან გამგზავრებულიყო. გიორგი ჩხეიძე ასეც მოიქცა, რაც მან მოახსენა კომიტეტს ბათომიდან ჩამოსვლის შემდეგ“.

(იხ. ა. ოქუაშვილისა და გ. ჩხეიძის მოგონებანი).

**როდესაც ბათომში ასეთი მდგომარეობა** იყო, ამხანაგი სტალინი თბილისის კომიტეტის დავალებით, 1901 წლის ნოემბრის დამლევს ბათომში გადავიდა. ბათომში ჩასვლისთანავე ამხანაგი სტალინი უშუალოდ დაუკავშირდა მოწინავე მუშებს და 1901 წლის დეკემბრის დამლევს მან შესძლო სოციალ-დემოკრატიული წრეების დაარსება ბათომის მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში.

**1901 წლის 31 დეკემბერს მთავარ საწარმოთა წრეების წარმომადგენელთა კრებაზე ჩამოყალიბდა ბათომის სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაცია (კრება გაიმართა მუშის ს. ლომჯარიას ბინაზე ახალი წლის შეხვედრის საბაბით).**

**ამავე კრებაზე გამოჰყვეს ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით. ეს ჯგუფი რ. ს. დ. მ. პ.-ის ბათომის კომიტეტის როლს თამაშობდა** (ტაში).

1902 წლის იანვარსა და თებერვალს ბათომში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით აქტიური მუშაობა დაიწყო 11 სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა წრემ, რომლებიც მუშაობას ეწეოდნენ ისეთ საწარმოებში, როგორიც იყო მანთაშევის, როტშილდის, სიდერიდისის და სხვ. ქარხნები.

ამ დროს ბათომის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შედიოდნენ ბათომის ისეთი მოწინავე მუშები, როგორიც იყვნენ კოწია კანდელაკი, ილარიონ დარახველიძე, სილიბისტრო თოდრია, მიხეილ გაბუნია, კოტრიკაძე, პ. გოგიბერიძე, დარისპან დარახველიძე, ვარლამ კალანდაძე, გერონტი კალანდაძე, მ. ფირცხელაშვილი, თეოფილე გოგიბერიძე, პორფილე ქურიძე, ხომერიკი, ჯოლია და სხვ.

1902 წლის იანვარში ამხანაგმა სტალინმა მოწინავე მუშებთან ერთად ბათომში მოაწყო მანთაშევის ქარხნის მუშათა პირველი დიდი გაფიცვა, რომელიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

იმავე წლის თებერვალში მან როტშილდის ქარხნებში მოაწყო ორი დიდი გაფიცვა, რომელიც აგრეთვე მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

ბათომის ორგანიზაცია, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აწყობს მთელ რიგ დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციებს. ბათომის მუშათა ყველაზე დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც 6.000 კაცამდე მიიღო მონაწილეობა, 1902 წლის 9 მარტს მოხდა. ამ დემონსტრაციას ჯარმა სროლა აუტეხა, ხოლო მისი მონაწილენი — დაახლოებით 500 რევოლუციური მუშა — ბათომიდან გადაასახლეს.

გაზეთი „ისკრა“ 1902 წლის 15 ოქტომბრის 26 ნომერში ბათომის ამბების შესახებ სწერდა:

„ბათომში ჩასულმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა შეჰკრიბა გაფიცულები და დაემუქრა ყველას, ვინც სამუშაოზე არ გამოვა ეტაპით სამშობლოში გადაგასახლებთო. როცა ამ მუქარამ არ გასჭრა პოლიციამ „როტშილდის ქარხნის ადმინისტრაციის მითითებით“ 7 მარტს ღამით დააპატიმრა 32 მუშა ეტაპით გასაგზავნად. 8 მარტს 400 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი გამოცხადდა პოლიციის სამმართველოში და მოითხოვა „დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება“. პოლიციის სამმართველოდან ჯგუფი გაემართა საპატიმროსაკენ, სადაც მაშინვე გამოცხადდა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე პოლკოვნიკი დრიაგინი, რომელმაც გამოიწვია კავკასიის მე-7 მსროლელთა ბატალიონის როტა. მუშები მოითხოვდნენ ან გამოეშვათ დაპატიმრებულნი, ან დაეპატიმრებიათ ყველანი. პოლკოვნიკმა დრიაგინმა უკანასკნელი „მოთხოვნა“ შეასრულა; მან დააპატიმრა 348 კაცი, რომლებიც წინათ საპატიმროში მოთავსებულ 32 კაცთან ერთად გადაიყვანა საეტაპო საპატიმროში. მეორე დილით 9 მარტს 9 საათისათვის საეტაპო ნაწილს მიუახლოვდნენ დიდძალი მუშები, რომლებსაც მეთაურები მიუძღოდნენ; მუშები მიდიოდნენ მწყობრი რიგებით სიმღერით, ხმაურით და სტვენით. მათ შესახვედრად გამოვიდა პოლკოვნიკი დრიაგინი, რომელსაც მუშათა სათავეში მდგომმა მუშებმა მიხ. ხირიმიანცმა და თეოფილე გოგიბერიძემ მუშების სახელით განუმეორეს იგივე მოთხოვნა — ან დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეთ ანდა ყველანი დაგვაპატიმრეთო. ახლა კი პოლკოვნიკმა უბრძანა დაშლილიყვნენ. მუშებმა ამ ბრძანების შესრულებაზე უარი სთქვეს, ამის გამო დრიაგინმა მეციხოვნეთა ბატალიონის იქ მდგომი გუნდის დასახმარებლად გამოიწვია კავკასიის მსროლელთა მე-7 ბატალიონის როტა. როცა ჯარისკაცები შეეცადნენ გაეწმინდათ მოედანი მუშებისაგან, ამ უკანასკნელებმა ქვები დაუშინეს. მუშები ცდილობდნენ წაერთმიათ იარაღი ჯარისკაცებისათვის, გაისმოდა ყვირილი: „დასცხეთ, წაართვით იარაღი, ისინი ვერ გვესვრიან“. მოედანზე მყოფ მუშებს შეუერთდნენ საეტაპო ნაწილში მყოფი პატიმრები, რომლებიც იქიდან ქვებს ისროდნენ და რომლებმაც ბოლოს მოახერხეს საპატიმროს ეზოდან გამოსვლა, დასასრულ ჯარმა სროლა ასტეხა და 14 მუშა მოჰკლა და ბევრი დასჭრა“.*) (იხ. 1902 წ. 15 ოქტომბრის „ისკრა“ № 26).

ამ დღეებში ამხანაგი სტალინი უდიდეს პოლიტიკურ მუშაობას ეწევა, სწერს პროკლამაციებს, ლოზუნგებს, აწყობს მათს დაბეჭდვას არალეგალურ სტამბაში (რომელიც მან 1902 წ. იანვარს დაარსა ბათომში) და გავრცელებას ბათომის მუშებს შორის, აგრეთვე მათ დაგზავნას საქართველოს უახლოეს რაიონებში (გურია, იმერეთი, სამეგრელო).

განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ბათომის 1902 წლის 9 მარტის ამბების გამო ამხანაგ სტალინის დაწერილი პროკლამაცია, რომელიც მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდა რევოლუციური ბრძოლისაკენ ცარიზმის დასამხობად.

9 მარტის მსხვერპლთა დაკრძალვის დღეს სტალინი აწყობს მანიფესტაციას, რომელიც გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

ბათომის ამბები მთელს ამიერ-კავკასიაში რევოლუციური ტალღის აზვირთების წინამორბედად გადაიქცა. ამ ამბებმა უდიდესი გამარევოლუციურებელი გავლენა მოახდინეს საქართველოს სოფელზე (დასავლეთი საქართველო).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს ბათომში მყოფი კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი არამცთუ არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ბათომის მუშების რევოლუციურ ბრძოლაში, არამედ მათ არაერთხელ მიუგზავნეს კაცები ამხანაგ სტალინს და თვითონ პირადად ურჩევდნენ მას წასულიყო ბათომიდან, ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ იგი ე. ი. სტალინი, ვერ შესძლებს არალეგალური სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსებას და ბათომის მუშების ამოძრავებას პოლიტიკური ბრძოლისათვის, ხოლო, რაც მთავარია, ამას ისინი იმიტომ სჩადიოდნენ, რომ ეშინოდათ, ამხანაგ სტალინის არალეგალურმა მუშაობამ უსიამოვნება არ შეგვამთხვიოს და დევნა არ დაგვიწყონო.

**ამგვარად, ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მოაწყო ამხანაგმა სტალინმა და მან პირველმა აამხედრა ბათომის მუშები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისათვის. ამხანაგმა სტალინმა ბათომის მოწინავე მუშებთან ერთად შესძლო ბათომის მუშათა ფართო მასები ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში.**

ბათომში ამხანაგი სტალინის მუშაობის შესახებ მეფის ოხრანკა შემდეგს იუწყებოდა:

„1901 წლის შემოდგომაზე რ. ს. დ. მ. პ. თბილისის კომიტეტმა ქალაქ ბათომში ქარხნის მუშებს შორის პროპაგანდის გასაწევად გაგზავნა ერთერთი თავისი წევრი თბილისის სასულიერო სემინარიის მე-6 კლასის ყოფილი მოსწავლე იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი. ჯუღაშვილის მოღვაწეობის მეოხებით... ბათომის ყველა ქარხანაში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაარსება, რომლებსაც პირველ ხანებში თბილისის კომიტეტი მეთაურობდა. სოციალ-დემოკრატიულმა პროპაგანდამ უკვე გამოიღო ნაყოფი 1902 წელს ქალაქ ბათომში როტშილდის ქარხნის მუშათა ხანგრძლივი გაფიცვისა და ქუჩებში მომხდარი არეულობის სახით“. (საქართველოს ცენტრალური არქივი. მოხსენება ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწისა ბათომის ოლქში, საქმე № 1011).

ბათომში მუშაობის დროს ამხანაგ სტალინს მჭიდრო კავშირი ჰქონდა თბილისის პარტიულ ორგანიზაციასთან, ხშირად ჩამოდიოდა თბილისში და უძღვებოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობას.

1902 წლის 5 აპრილს (18 აპრილს) ამხანაგი სტალინი დააპატიმრეს ბათომის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის სხდომაზე მუშებთან — კ. კანდელაკთან, დ. დარახველიძესთან და სხვ. ერთად და მოათავსეს ბათომის საპატიმროში.

საპატიმროში ამხანაგმა სტალინმა შესძლო კავშირის გაბმა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გარეთ დარჩენილ წევრებთან. სტალინი ციხიდან ხელმძღვანელობდა მათს მუშაობას. ამავე დროს დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა დაპატიმრებულთა შორის. ამხანაგმა სტალინმა ბათომის საპატიმროში დაჰყო 1902 წლის 5 აპრილიდან 1903 წლის 19 აპრილამდე, ხოლო 1903 წლის 19 აპრილს იგი ქუთაისის საპატიმროში გადაიყვანეს.

ამხანაგი სტალინი ქუთაისის საპატიმროშიც, ისე როგორც ბათომის საპატიმროში, დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა პატიმართა შორის, ამყარებს კავშირს პოლიტიკური პატიმრების ყველა საკანთან, ეწევა მათ შორის ლენინურ-ისკრული იდეების პროპაგანდას, მკაცრად ამხელს „მესამე დასის“ უმრავლესობის, გაზეთ „კვალის“ და ნოე ჟორდანიას ოპორტუნიზმს, ჰქადაგებს პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეებს და გლეხთა მოძრაობისათვის პროლეტარული ხელმძღვანელობის გაწევის აუცილებლობას.

1903 წლის ნოემბერს ამხანაგი სტალინი უკანვე გადაჰყავთ ბათომის საპატიმროში, საიდანაც მას 1903 წლის ნოემბრის დამლევს ასახლებენ ციმბირში (ირკუტსკის გუბერნია).

○

ამოღებულია ამხ. ლ. ბერიას მოხსენებიდან: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. რედ.

*) ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ბათომის ოლქში როტმისტრი ჯაყელი 1905 წ. 16 ოქტომბერს № 1134-ით სწერდა ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს: „...9 მარტს მოხდა პირველი შეტაკება ჯარებსა და ბრბოს შორის საეტაპო ნაწილთან, ამასთან მოკლულ იქნა 15 მუშა და დაიჭრა 20-მდე კაცი“. საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველაზე საზიზღარი როლი მუშათა დახოცვაში აქ ოფიცერმა ანთაძემ შეასრულა. ლ. ბ.



ი. სტალინი (ბათომში მუშაობის პერიოდი)

# ლენინგრადის რკინიგზელთა წერილი

## სსრ კავშირის ხალხთა ბელადს — რევოლუციის ლოკომოტივის დიდ მემანქანეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ჩვენ, ლენინგრადის რკინიგზელებმა, ისე როგორც რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშაკმა, დიდი კმაყოფილების გრძნობით წავიკითხეთ ჩვენი გზათა სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის პატაკი რკინიგზის ტრანსპორტის მიერ წლიური გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ.

დღეს ჩვენ, ლენინგრადის საორთქლმავლო დეპოების სტახანოველები, კრივონოსელები და დამკვრელები, შევიკრიბენით, რათა განვიხილოთ, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ჩვენ 1937 წელს, რომ **მეორე სტახანოვური წელი** გადავაქციოთ სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობის ახალი აყვავებისა და ტრანსპორტის აღმავლობის წლიწადად.

პირველს ჩვენს სიტყვას, ღრმა სიყვარულის, პატივისცემისა და ერთგულების სიტყვას, ჩვენ მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, სოციალიზმის დიადი კონსტიტუციის შემოქმედსა და შემქნელს, ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

ჩვენ, რკინიგზელები, თქვენი ხელმძღვანელობით ახალი ადგილები გავხდით. თქვენ დაუღალავად გვასწავლიდით, გვაღფრთოვანებდით. თქვენ ჩვენ გაგვათბეთ თქვენი დიადი გულის სიმხურვალით, როგორც სწორად ამბობს ჩვენი სახალხო კომისარი ამხანაგი **ლ. მ. კაგანოვიჩი**, ტრანსპორტზე მიღწეული გამარჯვებანი სტალინური გამარჯვებანია.

მრავალი სიძნელე იდგა და ჯერ კიდევ დგას ტრანსპორტის მუშაობის შესახებ თქვენი მითითებათა შესრულებისათვის ჩვენი ბრძოლის გზაზე.

ზამთრის პირველმა თვეებმა, როდესაც ტრანსპორტი ერთგვარ სიძნელეებს წააწყდა, დაგვანახეს, თუ კიდევ რა ბევრი უნდა ვიმუშაოთ და რა შეუპოვრად უნდა ვიმუშაოთ, რომ განვამტკიცოთ გამარჯვებანი, გავამრავლოთ ისინი და წინ წავწიოთ ტრანსპორტი იმ გზით, რომელიც თქვენ გვიჩვენეთ.

ჩვენს ქვეყანაში ტრანსპორტს, რომელიც ერთ მთელად აკავშირებს მრავალრიცხოვან ოლქებსა და რაიონებს, როგორც თქვენ ამბობდით, უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. მთელი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით გიცხადებთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, რომ **რკინიგზელები**, რომლებმაც თავისი საყვარელი სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით უკვე განვლეს ბრძოლისა და გამარჯვებათა ძნელი და სახელოვანი გზა, არ უმტყუნებენ თავის ქვეყანას, რომელიც სტალინური კონსტიტუციის დროშით კომუნიზმისაკენ მიდის.

უკვე ახლა, ამ დღეებში, მიღებულ სამეურნეო ღონისძიებათა და სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობის ახალი აღმავლობის შედეგად, ჩვენ თავს ვაღწევთ იმ სიძნელეებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ ბოლო დროს.

ჩვენი ღრმა რწმენა, რომ ტრანსპორტი შემდგომაც ივლის აღმავლობის გზით, დამყარებულია სტახანოვურ - კრივონოსული მოძრაობის სიძლიერეზე, ჩვენი რიგების დარაზმულობაზე ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** გარშემო.

როდესაც ზამთრის პირველ თვეებში რკინიგზელთა ნაწილმა ჩამორჩენა იწყო, და აქა-იქ თავი წამოჰყვეს მეზღვარეებმა, ამოძრავდა მიმალული მტერი, — ჩვენი სახალხო კომისრის საბრძოლო მოწოდების პასუხად რკინიგზის დიადი კონვეიერის ყველა კუთხეში სხვადასხვა პროფესიის მუშაკთა წრიდან გამოვიდნენ ასობითა და ათასობით ახალ-ახალი სტალინელი მოწაფენი — სტახანოვურ-კრივონოსული შრომის გმირები.

ამხელს რა თავიდან ბოლომდე ყალბ, რეაქციულ, მეზღვარულ შეხედულებებს, რომელნიც მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა მუშაობის გაუარესებას ხსნიან ნარევ ნახშირზე მითითებით, გამოდის სმოლენსკის დეპოს მემანქანე ამხანაგი **კატშენი** და, წინააღმდეგ ღრმად შემცდარი წარმოდგენისა, თითქოს ქვაბის ფორსირება აბსოლუტურად დამოკიდებული იყოს ნარევ ნახშირისგან, მას მატარებლები დაჰყავს, რომელიც გნებავთ ნახშირით და დროსაც იგებს.

მას მიჰბაძეს ლენინგრადის მემანქანეებმა **აკიმოვმა, ნეტუნაევმა, ბელიაკოვმა, ფილინმა**, დონეცის მემანქანეებმა **კრივონოსმა** და სხვებმა, შორეული აღმოსავლეთის გზების მემანქანეებმა **ზეუანოვმა და ბოიარინცევმა**, მთელი რკინიგზის ქსელის ასობით მემანქანეებმა.

ბიუროკრატები და მათი დამქაშები — წარმოებაში მყოფი დოყლაპიები — ფიქრობდნენ, რომ ზამთრის პირობებში შეუძლებელია ორთქლმავალთა რემონტის დაჩქარება და რემონტის ხარისხის გაუმჯობესება. მაშინ ტომსკის რკინიგზის შორეულ დეპო ტაიგაში ორთქლმავალთა რემონტზე მომუშავე კომპლექსური ბრიგადების ბრიგადირებმა ამხ. **სოფრონოვმა, დობროვოლსკიმ და პეტროვმა** საქმით დაამტკიცეს, რომ სავსებით შესაძლებელია გამრეცხი რემონტიდან ორთქლმავლების სისტემატური გამოშვება ერთ ცვლაში, ხოლო ცალკეულ დღეებში ორ-ორი ორთქლმავლის გამოშვებაც ცვლაში, და ამასთან ისინი უზრუნველჰყოფდნენ რემონტის მაღალ ხარისხს. ჩვენმა ლენინგრადის მერემონტე ბრიგადებმა დაიწყეს „ფდ“ ორთქლმავლის შეკეთება 5 საათის განმავლობაში.

დონეცის გზის ლიმან-ჩრდილოეთის დეპოში ორთქლმავლის საუკეთესო და სწრაფი რემონტისათვის კომპლექსური ბრიგადების გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების დროშა აღმართა სერგეი ივანეს-ძე **ძიუბამ**, სტალინსკის გზის პოსტიშევის დეპოში — კონსტანტინე ილარიონის-ძე **ბასოვმა**, ძერჟინსკის სახელობის გზის ორიოლის დეპოში — ვასილ ანასიმეს-ძე **მურზალევსკიმ**, ოდესის რკინიგზის კოტოვსკის დეპოში — პეტრე კონსტანტინეს-ძე **გერმანმა**, შორეულ აღმოსავლეთის რკინიგზის რუჟინოს დეპოში — დიმიტრი ხრისანფეს-ძე **ანსონენკომ** და მრავალმა სხვამ.

და დღეს უკვე ასობით ზეინკლები და ბრიგადირები, მისდევენ რა მოწინავეთა მაგალითს, მაღალხარისხოვნად არემონტებენ ორთქლმავალს ერთ ცვლაში და უფრო ნაკლებ ხანშიც.

როდესაც მატარებელთა შკვეთრი და შეუფერხებელი მიმოსვლისათვის ბრძოლაში მოლოტოვის სახელობის გზის ხილკოვსკის განყოფილების დისპეტჩერმა ამხ. **დანილკინმა** 25 დეკემბერს მიაღწია ცალიერი მატარებლის 670 კილომეტრით გარბენას, 24 დეკემბერს 756 კილომეტრით, 26 დეკემბერს — 785 კილომეტრით და 28 დეკემბერს 873 კილომეტრით გარბენას — დისპეტჩერთა წრიდან მაშინვე ასობით გამოიყვნენ მატარებელთა სწრაფი წაყვანის ახალი შესანიშნავი ორგანიზატორები.

ჩვენი გზის დისპეტჩერმა ამხ. **ანდრეევმა** არა მარტო მიაღწია განრიგის დიდი გადაჭარბებით შესრულებას, არამედ უზრუნველჰყო მატარებელთა 100 პროცენტით მიმოსვლა განრიგის მიხედვით. ხოლო 5 იანვარს მოსკოვ-დონბასის რკინიგზის პაველეცკის განყოფილების დისპეტჩერმა **ფილატოვმა** დანილკინთან და ანდრეევთან შეჯიბრებაში მიაღწია ცალიერი მატარებლის სადღეღამისო გარბენას 989 კილომეტრის მანძილზე.

ნამდვილი სტახანოვურ - კრივონოსული მუშაობის ასეთივე ახალი მაღალი ნიმუშები გვაქვს შემდგენთა, მსინჯველთა, კონდუქტორთა, სადგურების მუშაკთა, ლიანდაგის მუშაკთა შორისაც. შეჯიბრება ტრანსპორტზე ფართოვდება მეფოლადელთა და მრეწველობის სხვა დარგების მოწინავე მუშათა ძლავრ მოძრაობასთან ერთად.

6 იანვარს სელექტორის შესახებ 30 რკინიგზის მეთაურთა, პოლიტმუშაკთა და სტახანოველ-კრივონოსელთა თათბირზე, რომელიც გზათა სახალხო კომისარმა ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩმა** ჩაატარა, ჩვენი ოქტომბრის გზის ხელმძღვანელებმა და სტახანოველებმა იკისრეს ვალდებულება ყოველდღეღამეს დატვირთონ სულ მცირე 3.400 ვაგონი, ე. ი. გეგმით გათვალისწინებულზე 460 ვაგონით მეტი დღეღამეში, და ყოველდღე განტვირთონ სულ მცირე 6.000 ვაგონი.

ჩვენ, ქალაქ ლენინგრადის დეპოების მემანქანენი, მემანქანეთა თანაშემწენი, ცეცხლფარეშები, ზეინკლები და რემონტის კომპლექსური ბრიგადების ბრიგადირები, ინჟინრები და ტექნიკოსები მთლიანად მხარს ვუჭერთ ამ განცხადებას და ვკისრულობთ ვალდებულებას იანვრის 1-ლ დღეებიდანვე უზრუნველვყოთ:

ორთქლმავალთა ტექნიკური სიჩქარე — 34 კილომეტრი.

ორთქლმავლის საშუალო სადღეღამისო გარბენა იანვარ-თებერვალ-მარტში — 300 კილომეტრი.

გაურეცხავად გარბენა დავალებული 3.800 კილომეტრის ნაცვლად — 5.000 კილომეტრი.

თვითეული ორთქლმავლის სარეცხი რემონტი ერთ ცვლაში რემონტის მაღალი ხარისხის დაცვით.

ბოლო მოვუღოთ მატარებელთაშორისო რემონტს.

ჩვენ შეგნებული გვაქვს ამ დასახული ამოცანის მთელი პასუხისმგებლობა, მით უფრო, რომ იგი უნდა შესრულდეს მძიმე პირობებში, რომლებსაც ზამთარი უქმნის ტრანსპორტს.

ჩვენ გვესმის, რომ მოგველის მედგარი და შეუპოვარი ბრძოლა დისციპლინის შემდგომში განმტკიცებისათვის, ჩვენს მუშაობაში კულტურულობის ამაღლებისათვის, მუშაობის მეორე — უმაღლეს კლასში გადასვლისათვის.

მაგრამ, ვეყრდნობით რა ჩვენი ბრძოლის მთელ გამოცდილებას, ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა ინიციატივას, ჩვენ სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ** პროფესიებს შორის, ცალკეულ მუშაკებსა, ბრიგადებსა, ცვლებსა და საამქროებს შორის სოციალისტური შეჯიბრების სულ უფრო-და-უფრო განვითარების გზით, ლენინგრადის საოლქო კომიტეტისა და მისი სახელოვანი ხელმძღვანელის ამხ. ა. ა. ჟდანოვის ხელმძღვანელობით, 1937 წელს ლენინგრადის დეპოები გადავაქციოთ მთლიანად სტახანოვურ-კრივონოსულ დეპოებად.

**ჩვენ ტექნიკური სიჩქარის, რემონტის ხარისხის და მუშაობის უავარიობის მისაღწევად სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ლენინის რკინიგზის მოსკოვის დამხარისხებელ დეპოს და მოსკოვის სამგზავრო დეპოს.**

**ჩვენს მთავარ ამოცანად ვისახავთ ჩავაბათ სოციალისტურ შეჯიბრებაში ლენინგრადის კვანძის ყველა მუშაკი უკლებლივ.**

**არცერთი მუშაკი, რომელსაც ნორმები ათვისებული არ ჰქონდეს,** — აი ლოზუნგი, რომლითაც ჩვენ, ლენინგრადის რკინიგზელები ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე სტახანოვურ წელს.

ჩვენ მოწოდებით მივმართავთ რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშასა და მეთაურს ისე გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება განყოფილებებსა, დეპოებსა, სადგურებსა, დისტანციებსა, საორთქლმავლო ბრიგადებსა, რემონტის კომპლექსურ ბრიგადებს შორის, რომ 1937 წელს ჩვენში არ იყოს ჩამორჩენილი უბნები.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა მეთაურს, ინჟინერს, ტექნიკოსს და ყველა რკინიგზელ მუშას ნამდვილი ბოლშევიკური აღგზნებით მხარი დაუჭირონ **ტრანსპორტის დამკვრელთა და სტახანოვურ - კრივონოსელთა ახალ სტალინურ გაწვევას**, რომელიც ტრანსპორტზე დაიწყო დიადი სტალინური კონსტიტუციის მიღების აღსანიშნავად.

ჩვენ, ლენინგრადელი რკინიგზელები, მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ რომ ჩვენი სახელოვანი, მებრძოლი, დაუღალავი ხელმძღვანელის, ლაზარე მოსეს-ძის მოწოდებას — გავხადოთ იანვარ-თებერვალ-მარტი ტრანსპორტზე შეჯიბრების ახალი აღმავლობის თვეებად, აიტაცებს რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშაკი და რომ იგი ცხოველ გამოხმაურებას ჰპოვებს ყველა პროფესიის რკინიგზელთა შორის.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ამხელს და მოსპობს რა მტრის ნაბოლარათა ნაშთებს, რკინიგზელთა არმია სტალინური კონსტიტუციის დროშით გასწევს წინ ახალი გამარჯვებებისაკენ და ღირსეულად შეასრულებს ხალხთა საყვარელი ბელადის, — დიდი **სტალინის** წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.

გაუმარჯოს დამკვრელთა და სტახანოველ - კრივონოსელთა ახალ სტალინურ გაწვევას რკინიგზის ტრანსპორტზე!

გაუმარჯოს სტახანოვურ - კრივონოსული მოძრაობის მამას — ჩვენს ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს ამხანაგ **სტალინს**!

გაუმარჯოს დიდი **სტალინის** სახელოვან თანამებრძოლს ჩვენს საყვარელ სტალინელ სახალხო კომისარს, ჩვენს ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩს.

წერილს ხელს აწერს ქალაქ ლენინგრადის საორთქლმავლო დეპოების 470 მემანქანე, მემანქანის თანაშემწეები, ცეცხლფარეშები, რემონტის კომპლექსური ბრიგადების მუშები, ტექნიკოსები, ინჟინრები, მეთაურები.

# სსრ კავშირის პროკურატურაში

**მოსკოვი**, 10 იანვარი. (საქდესი). სსრ კავშირის პროკურატურამ დაამთავრა საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის დელეგატის მართამ ვლადიმირის ასულ პრონინას მხეცურად მოკვლის საქმის გამოძიება.

სამართალში მიცემული არიან, როგორც ბრალდებულნი, ამხ. პრონინას მკვლელნი — ა. ე. როზოვი, ვ. კ. ფედოროვი, დ. ს. ეშჩერვინი და მათი დამხმარენი მ. ს. გულიაევი, ი. ე. გულიაევი და ი. პ. კარპოვი.

სსრ კავშირის პროკურორის მიერ დამტკიცებული საბრალმდებლო დასკვნა, საქმესთან ერთად, გადაცემულია რსფსრ უზენაეს სასამართლოში. საქმეს მოისმენს რსფსრ-ს უზენაესი სასამართლოს გამსვლელი სესია მელეკესში უზენაესი სასამართლოს წევრის ამხ. რუკავიცინის თავმჯდომარეობით.

სახელმწიფო ბრალმდებლად ამ საქმეზე გამოვა რსფსრ-ს პროკურორის მოვალეობათა ამსრულებელი ამხ. ფ. ე. ნიურინა.

პროცესი დაიწყება 17 იანვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი სტალინი — ორგანიზატორი ბათომის ლენინურ-

## მოგონებიდან დიდ ბელადზე



პუშკინის ქუჩა წითელი (ყოფ. საეტაპო) ყაზარმების რაიონში. 1902 წლის 9 მარტს ამ ქუჩაზე ბათომის მუშებმა, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრაციას სროლა აუტეხეს მეფის ჯალათებმა.
ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

## ამხანაგ სტალინის ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობის მომხრეებთან ბათომში

ილია შარაშიძე

როტშილდის ქარხნის ყოფილი მუშა.

1901 წლამდე, სანამ ბათომში ამხანაგი სტალინი არ ჩამოვიდა, ბათომის ქარხნების მუშები მოკლებული იყვნენ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ჩვენ არავითარ პოლიტიკურ ლიტერატურას, არავითარ ჟურნალსა და გაზეთს არ ვიცნობდით და არ ვკითხულობდით. მხოლოდ ზოგიერთი ჩვენგანი იცნობდა წიგნებს საფრანგეთის რევოლუციაზე, ნინოშვილისა და სხვა ქართველი მწერლების მოთხრობებს. ლეგალურ გაზეთებსაც კი „კვალსა“ და „ივერიას“ ცოტა მუშა კითხულობდა.

მუშებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით, ბათომის ინტელიგენციამ, გახსნა საკვირაო სკოლა, რომელშიც ჩვენ ვმეცადინეობდით ორ-სამ საათს კვირაში და ამ საქმეს ვუთმობდით ჩვენს ხანმოკლე დასვენებას.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ მეცადინეობა სკოლაში მეტად მოწყენილად, არასაინტერესოდ მიმდინარეობდა. ჩვენთან მეცადინეობდნენ კარლო ჩხეიძე, მღვდელი სიმონ თოთიბაძე, ისიდორე რამიშვილი და სხვ. ისინი წერა-კითხვას გვასწავლიდნენ და გვირჩევდნენ წაგვეკითხა მხოლოდ ლეგალური წიგნები, ჟურნალები, გაზეთები. საუბარში ისინი სრულიად არ ეხებოდნენ პოლიტიკურ საკითხებს, რომლებიც მუშებს ინტერესებდათ და აღელვებდათ.

მახსოვს, ერთხელ მივმართე კარლო ჩხეიძეს ემბნა ჩვენთვის თბილისის დეპოს და რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა 1900 წლის გაფიცვა. „ჩვენ ვცხოვრობთ აუტანელი ექსპლოატაციის პირობებში — ვუთხარი მას, — და როდემდის გაგრძელდება ასე?“. ამაზე ჩხეიძემ მიპასუხა: „გაფიცვა ადვილი საქმე როდია; დიდი სისულელეა, რომ იგი თბილისში წამოიწყეს. ჩვენ რომ გაფიცვები ვიწყოთ, კაპიტალისტები დაშინდებიან და აღარ გახსნიან ქარხნებსა და ფაბრიკებს. გაფიცვა მხოლოდ მაშინ იქნება სასარგებლო, როცა კაპიტალიზმი მომაგრდება, როცა გლეხები მასობრივად მიაწყდებიან ქალაქს სამუშაოს საძებნელად და მას ვერ მიიღებენ. აი მაშინ შეიძლება გაფიცვებზე ლაპარაკი, ახლა კი მათზე ოცნებაც არაა საჭირო, ეს შორეული მომავლის საკითხია“.

ეს იყო 1901 წელს, ბათომში ამხანაგ სოსო ჯუღაშვილ-სტალინის ჩამოსვლამდე რამდენიმე თვით ადრე.

კარლო ჩხეიძის პასუხმა, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილა, და ამის შემდეგ საკვირაო სკოლაში მეცადინეობა მალე შეწყდა. საკვირაო სკოლას მუშებმა არალეგალური წრეები ამჯობინეს, რომელთა მოწყობაც ამხანაგმა სოსომ დაიწყო.

ამ წრეებში ამხანაგი სოსო უდიდესი დამაჯერებლობით უხსნიდა მუშებს ყველა იმ საკითხს, რომლებიც მათ აღელვებდათ და რომლებზედაც ისინი მანამდე პირდაპირ პასუხს ვერ ღებულობდნენ. ყოველივე იმას, რასაც მანამდე კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი გვეუბნებოდნენ, ძირფესვიანად აბათილებდა ამხანაგ სოსოს მიერ მოცემული ახსნა-განმარტება და მითითებები.

ერთხელ როგორღაც, წრეში მეცადინეობისას, ამხანაგ სტალინს შევეკითხე: „რა გზით შეგვიძლიან ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება?“. — ამაზე მან მიპასუხა: „მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება თვით მუშებზეა დამოკიდებული. ეს თქვენი საქმეა. ხოლო იმისათვის, რომ მის განხორციელებას მიაღწიოთ, უნდა დაირაზმოთ, შემჭიდროვდეთ, პროტესტი განაცხადოთ ძალადობის წინააღმდეგ, მოაწყოთ გაფიცვები, დემონსტრაციები, გააჩაღოთ პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ“.

ამხანაგ სტალინის ასეთი მითითება ნათელ წარმოდგენას გვაძლევდა იმაზე, თუ როგორ უნდა გვემოქმედა.

ჩვენ დავირაზმეთ ამხანაგ სტალინის ირგვლივ და მისი ხელმძღვანელობით დავიწყეთ ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში იგი მუდამ მუშებთან იყო, მათთან ერთად ინაწილებდა ყველა მათს გაჭირვებასა და საბრძოლო შეტაკებათა საფრთხეს.

ჩვენ, ბათომის მუშები, ამხანაგ სტალინთან გაცნობის პირველი დღეებიდანვე დავრწმუნდით, რომ იგი სრულიად არ ჰგავდა კ. ჩხეიძეს და ი. რამიშვილს და ნამდვილად გვასწავლიდა ჩვენი მუშური საქმისათვის ბრძოლას. და როცა იმავე ჩხეიძემ და რამიშვილმა დაინახეს, თუ რა უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს ამხანაგი სოსო მუშებში, მათ მის წინააღმდეგ გააჩაღეს აგიტაცია. თავს ესხმოდა რა ამხანაგ სტალინს, ისიდორე რამიშვილი, მაგალითად, ამბობდა: „მას არა აქვს მუშაობის სანქცია, იგი თვითნებურად აწარმოებს მუშაობასაო“.

ჩვენზე, მუშებზე, ასეთი აგიტაცია არავითარ გავლენას არ ახდენდა. ჩვენ ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ სიმართლე სტალინის მხარეზე იყო. იგი ჩვენ მიგვაჩნდა მუშათა განთავისუფლების საქმის, მუშათა კლასის გამარჯვების უდიდეს ხელმძღვანელად.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხ. ლ. ბერიამ თავის ისტორიულ წიგნში — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ბოლომდე ცხადჰყო მესამე დასელების უმრავლესობის წარმომადგენელთა დამპალი, ლიბერალური პოზიცია და მათი უპრინციპო ბრძოლა ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ.

### ნატალია კირტაძე-სიხარულიძე

როდესაც მეხსიერებაში აღვადგენ ხოლმე 1902-1903 წლების პერიოდში ამხანაგ სტალინის რევოლუციური ბრძოლის ცალკეულ მომენტებს და პირველ შეხვედრებს მასთან, დაპატიმრებათა დროს, მაგონდება, თუ რა გულისხმიერებითა და მზრუნველობით, რა დაუღალავი ყურადღებით ეპყრობოდა თავის ამხანაგებს ჩვენი დიდი ბელადი. სტალინურმა მზრუნველობამ ადამიანზე მთელი თავისი ძლიერებით იჩინა თავი პატიმრობის მძიმე პირობებში, რაც განსაკუთრებით აუტანელი იყო ჩვენთვის, პატიმარი ქალებისათვის.

ამხანაგი სტალინი, შემოქმედი ახალი კონსტიტუციისა, რომელშიაც აღიბეჭდა ოქტომბრის დიდი მონაპოვარი-ქალთა სრული თანასწორუფლებიანობა, — ჯერ კიდევ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე გვიჩვენებდა ქალის — კაპიტალისტური წყობილების მონა-ქალის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მაგალითებს, აღგვაგზნებდა ჯერ კიდევ მცირერიცხოვან მუშა რევოლუციონერ-ქალებს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბათომის მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება დავიწყე 1901 წელს. პოლიტიკურ მუშაობაში ჩამაბა მუშამ ალექსი გოგიბერიძემ. ერთხელ მანვე მიჩვენა სტალინის დაწერილი პროკლამაციები; მაშინ სტალინს ჯერ კიდევ არ ვიცნობდი.

ამხანაგმა სტალინმა იმ დროისათვის ბათომის უდიდეს საქარხნო საწარმოებში უკვე შექმნა სოციალ-დემოკრატიული წრეები და მათ თვითონვე ხელმძღვანელობდა.

1902 წლის თებერვალ-მარტში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოეწყო დიდი გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 5.000-ზე მეტი კაცი.

სწორედ ამ გაფიცვასა და დემონსტრაციებთან დაკავშირებით მალე დააპატიმრეს ამხანაგი სტალინი.

ერთი წლის შემდეგ (1903 წლის გაზაფხულზე) მეც დამაპატიმრეს და მომათავსეს ბათომის საპყრობილეში, რომელშიაც დაპატიმრებული იყო ამხანაგი სტალინი.

აქ გავიცანი იგი.

აი როგორ მოხდა ეს. ერთხელ მომიახლოვდა უცნობი პატიმარი და მითხრა: „ამხანაგი სოსო გთხოვს აიხედოთ მაღლა, ფანჯარაში“. მე გამიელვა აზრმა: „ეს ახალგაზრდა ჯაშუში ხომ არ არის მეთქი“. და ვუპასუხე, არავითარ სოსოს არ ვიცნობ-მეთქი.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ამხანაგმა სტალინმა თვითონ შემოიხედა ჩვენს ფანჯარაში და გვკითხა: „მოწყენილი ხართ, ამხანაგებო?“.

საპყრობილეში ყოფნისას, ამხანაგ სტალინს მიუხედავად მის მიმართ გამოყენებული სასტიკი რეჟიმისა, შეეძლო იქიდანაც ხელმძღვანელობა გაეწია ბათომის მუშათა რევოლუციური ბრძოლისათვის.

„საპატიმროში ამხანაგმა სტალინმა შესძლო კავშირის გაბმა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გარეთ დარჩენილ წევრებთან. სტალინი ციხიდან ხელმძღვანელობდა მათს მუშაობას. ამავე დროს დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა დაპატიმრებულთა შორის“. (ლ. ბერია. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა 1935 წ., გვ. 33).

დაპატიმრებული ამხანაგებისადმი გამოჩენილი მზრუნველობისათვის ამხანაგი სტალინი ყველა პოლიტიკურ პატიმარს ძალიან უყვარდა.

ერთხელ, როდესაც სასეირნოდ გაგვიყვანეს, შევჩერდი იმ საკანის ფანჯარასთან, რომელშიაც ამხანაგი სტალინი იჯდა და შევეცადე გამოველაპარაკებოდი მას. ამის გამო ზედამხედველმა, რომელიც მახლდა, ხმლის ქარქაში შემომკრა. საპყრობილის მსახურის ამ საქციელმა დიდად აღაშფოთა ამხანაგი სტალინი და მან საპყრობილის ადმინისტრაციას მოსთხოვა ზედამხედველის დათხოვნა.

1903 წლის 21 აპრილს ყველა პოლიტიკური პატიმარი გაიძახეს საპყრობილის კანტორაში ქუთაისის ციხეში გასაგზავნად. ყარაულის უფროსი-ოფიცერი შეუდგა ხელებზე ბორკილების დადებას. ამხანაგ სტალინმა მას მკვახედ შენიშნა: „ჩვენ ქურდები არა ვართ, რომ ხელებზე ბორკილებს გვადებთ“. ოფიცერმა მოგვხსნა ბორკილები და ჩვენი ბარგიბარხანით ქუჩაში გავედით.

აქ ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა ახალი მოთხოვნა: ბარგისათვის დაექირავებინათ ურემი, ჩემთვის — ქალისათვის კი — ეტლი. ამაზე ჯერ უარი გვითხრეს, მაგრამ როდესაც ხმამაღლა დავიწყეთ პროტესტის გამოცხადება, ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

22 აპრილს ქუთაისში ჩაგვიყვანეს. სადგურზე, ვაგონიდან გამოსვლისას, ამხანაგმა სტალინმა შესძახა: „წინ გაატარეთ ნატაშა, დაე, ყველამ დაინახოს, რომ ქალებიც იბრძვიან ამ ძაღლების წინააღმდეგ“.

მე წინ გამატარეს.

ქუთაისის ციხეში ცალკე საკანში მომათავსეს. დარდმა დამრია ხელი, არ ვიცოდი რა მომელოდა და ტირილი დავიწყე. ეს გაიგო ამხანაგმა სტალინმა და იმწამსვე გამომიგზავნა ბარათი: „რას ნიშნავს, არწივო, შენი ცრემლები. ნუ თუ მოგტეხა საპყრობილემ“.

ქუთაისის საპყრობილეში 7 თვე გავატარე. შემდეგ გამანთავისუფლეს ნიკო ტომარაძესთან და სილიბისტრო ლომჯარიასთან ერთად.

ბათომიდან დაბრუნებისას რამდენიმე ხნის შემდეგ მივიღეთ წერილი ამხანაგ სტალინისაგან.

„მე მასახლებენ, შემხვდით საპყრობილესთან“, — გვწერდა იგი.

ბათომის საპყრობილეში, სადაც ამხანაგი სტალინი კვლავ ჩამოიყვანეს გადასახლებაში გაგზავნამდე, ვინახულეთ იგი, შემდეგ კი გავაცილეთ შორეულ ციმბირში.

თუ არა ვცდები, ეს იყო 1903 წლის ნოემბერში. იმ დროსვე გადაასახლეს დანარჩენი პოლიტპატიმრებიც გურიის სხვადასხვა რაიონიდან.

ერთხელ, 1904 წლის დამდეგს, შუაღამე გადასული იყო, რომ კარის კაკუნი მომესმა. ვეკითხები: „ვინა ხარ“. — „მე ვარ, გააღე“. — „ვინ შენა“. — კვლავ შევეკითხე. — „მე, სოსო“.

მე არ დავიჯერე, სანამ მან არ მითხრა ჩვენი პაროლი: „ათასჯერ გაუმარჯოს“.

ვკითხე, თუ რანაირად მოხვდა ბათომში, „გამოვიქეციო“, — მიპასუხა ამხანაგმა სოსომ.

იგი მალე თბილისში გაემგზავრა. იქიდან მისგან წერილებს ვღებულობდით. მაშინ ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა კავკასიის საკავშირო კომიტეტს.

1904 წლის გაზაფხულზე ამხანაგი სოსო კვლავ ჩამოვიდა ბათომში. მაშინ ბარცხანაში, ილიკო შარაშიძის სახლში იგი დისკუსიებს მართავდა მენშევიკებთან.

1905 წელს ამხანაგ სტალინს შევხვდი ჭიათურაში, აქ მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ჭიათურის სამაზრო ბოლშევიკური ორგანიზაცია. იმ დროს ამხანაგ სტალინის სახელი ყველა მუშას პირზე ეკერა.

„კობა ტყავს აძრობს მენშევიკებს“, — ამბობდნენ ჭიათურის მუშები.

ცარიზმის ნაციონალურ - კოლონიური ჩაგვრისა და მემამულეთა და ბურჟუაზიის მიერ მშრომელთა სასტიკი ექსპლოატაციის წლებში სტალინის სახელი აღფრთოვანებდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მშრომელთ თვითმპყრობელობის დასამხობად, უკეთესი ცხოვრებისათვის საბრძოლველად. ლენინ-სტალინის პარტიის დროშით, საქართველოს და ამიერ-კავკასიის მშრომელებმა, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა მჭიდრო ოჯახში, მიაღწიეს იმას, რომ მთლად მოსპეს ნაციონალური ჩაგვრა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და გაანთავისუფლეს ქალი.

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი სტალინის ხელმძღვანელობით აშენებენ ახალ ბედნიერ ცხოვრებას.

## მშრომელთა დემონსტრაცია ბათომში

**ბათომი, 11 დეკემბერი.** (ტელეგრაფით „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). დიდი სტალინის მიერ რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათომის პირველი კომიტეტის დაარსების 35 წლისთავისადმი მიძღვნილი დემონსტრაცია 13 იანვარს ასე ჩატარდება:

სალამოს 5 საათსა და 30 წუთზე გაიმართება ბათომის მშრომელთა დიდი დემონსტრაცია რევოლუციონერ მუშათა იმ პოლიტიკური დემონსტრაციის მარშრუტით, რომელიც 1902 წლის 9 (22) მარტს რსდმპ ბათომის პირველმა ორგანიზაციამ დიდი სტალინის მეთაურობით მოაწყო.

**შ. ფურცხვანიძე.**



PARIS ... 
Второй годъ изданія.
ИСКРА
РОССІЙСКАЯ СОЦІАЛЬ-ДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РАБОЧАЯ ПАРТІЯ
№ 26 15-го октября 1902 года. № 26
ПОЛИТИЧЕСКАЯ БОРЬБА И ПОЛИТИКАНСТВО.

გაზ. „ისკრა“, რომელშიაც მოთავსებული იყო წერილი 9 მარტის ამბების შესახებ.

პორფილე ლომჯარია

## დიდმა სტალინმა დაგვრაზმა ცარიზმთან და ბურჟუაზიასთან საბრძოლველად

ჩემს მეხსიერებაში ხორცს ისხამს ახალგაზრდა ამხანაგი სოსოს მკვეთრი სახე, რომელმაც 35 წლის წინათ ჩვენ, ბათომის მუშები, გამოგვაღვიძა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლისათვის.

მე, 15 წლის მოზარდი, ჩემმა უფროსმა ძმამ, როტშილდის ქარხნის მუშამ, სილიბისტრომ სოფ. ლიხაურიდან ბათომში ჩამომიყვანა. ბათომში მე ძმასთან ერთად ვცხოვრობდი თვით სილიბისტროს მიერ აშენებულ სახლში, სოუქ-სუს სასაფლაოს ახლოს. იმ დროს ბათომი სოფელს ჰგავდა. აქა-იქ მხოლოდ იწყებდნენ ახალი შენობების აგებას. იმდროისვე შენდებოდა რკინიგზის ვაგზალიც.

სამრეწველო გამოცოცხლებას იგრძნობდით მხოლოდ როტშილდის, მანთაშევის, სიდერიდისის, კაპლანის, ხაჩატურიანცისა და სხვ. ქარხნებში, რომლებიც ახლად იყვნენ აგებული. ბათომიდან საზღვარგარეთ ნავთი გაჰქონდათ.

ამ ქარხნებში მუშებად იყვნენ გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს გლეხები. მრავალი მათგანი საშოვარისათვის ქალაქში ჩამოდიოდა მოსავლის აღების შემდეგ; ქარხნებში მუშაობდნენ გაზაფხულის მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე.

მე რამდენიმე ხნის განმავლობაში ვიმუშავე სხვადასხვა ადგილას და, ბოლოს, მოვეწყე როტშილდის ქარხნის სამჭედლო სამქროში.

ეს ქარხანა თავისი მოწყობილობით მაშინ ყველაზე უკეთესად ითვლებოდა. მაგრამ ჩვენ აუტანელ პირობებში ვმუშაობდით. სანიტარული ზედამხედველობის ხსენებაც არ იყო, ასეთსავე მდგომარეობაში იყო საექიმო დახმარებაც; მუშებს უხეშად ეპყრობოდნენ. ხშირად ადმინისტრაცია მუშებს სცემდა. თუმცა მუშები დაზღვეულად ითვლებოდნენ, მაგრამ თუ მანქანით დასახიჩრებული მუშა (ასეთი შემთხვევები ხშირი იყო) ადმინისტრაციას მიჰმართავდა დაზღვევის ფულის მისაღებად, უარით ისტუმრებდნენ.

გვაწვალებდნენ ჯარიმებითაც. ვაის რომ წვერი მოსტყდომოდა ან იარაღი დაჩლუნგებულიყო, იმ წამსვე მის ღირებულებას ხელფასიდან გვიქვითავდნენ.

მუშათა მდგომარეობა წლიდან წლამდე, თვიდან თვემდე უარესდებოდა.

1901 წლის ერთ ავდრიან, ნოემბრის ღამეს ჩემი ძმა სილიბისტრო სახლში გვიან დაბრუნდა. მასთან მოვიდა ყაბალახმოხვეული ორი კაცი. სილიბისტრო იმ წამსვე ფადარიგს შეუდგა, რომ მოსვენების საშუალება მისცემოდათ.

„ისინი რაც შეიძლება კარგად უნდა მივიღოთ; ერთი თბილისიდან არის ჩამოსული, განათლებული კაცია“ — აგვიხსნა მან.

ჩემი რძალი დაფაცურდა და სტუმრებს ცალკე ოთახი დაუთმო. ჩამოსული, რომელსაც სოსოს ეძახდნენ (ამხანაგი სტალინი), იმ დროიდან ჩვენთან დარჩა საცხოვრებლად. ამხანაგ სოსოსთან ერთად მოსული მეორე კაცი გამოდგა ბათომის მუშა კოწია კანდელაკი.

ერთხელ საღამოთი ამხანაგმა სტალინმა შეჰკრიბა რამდენიმე ყველაზე უფრო აქტიური მუშა და აუხსნა მათ თავისი ჩამოსვლის მიზანი.

ამხანაგი სოსო ამბობდა: „მუშები საზოგადოების საძირკველს წარმოადგენენ, ისინი ჰქმნიან მსოფლიოს ყველა ღირებულებასა და სიკეთეს, მაგრამ ეს ღირებულებანი ბურჟუაზიის ხელშია, რომელიც ფუფუნებით ცხოვრობს, მუშები კი შიმშილობენ. ეს წყობილება რომ შეიცვალოს — მუშები უნდა გაერთიანდნენ და იბრძოლონ მეფის, მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების რევოლუციურად დამხობისათვის“.

ამავე კრებაზე ამხანაგმა სტალინმა შეჰქმნა მოწინავე მუშათა არალეგალური წრე, რომელშიაც მან დაიწყო სისტემატური მეცადინეობა. რომელ ქარხნიდან არ მოდიოდნენ სოსოსთან მუშები სამეცადინოდ!..

ახლოვდებოდა ახალი წელი. ამხანაგ სოსოს ინიციატივით სხვადასხვა ქარხნის მუშები ახალი წლის შეხვედრის საბაბით, ემზადებოდნენ კრების ჩასატარებლად.

დაიწყო ფაცაფუცი. დიდ ოთახში გრძელი სუფრა გაიშალა. ქარხნებიდან მოვიდნენ ამხანაგები: პ. ქურიძე, ტ. გოგიბერიძე, მ. კ. ცერცვაძე, ჩარკვიანი, ტ. კანდელაკი, გ. კალანდაროვი, პ. ქიქავა, პ. ნინიძე, გ. კალაძე, ფ. ლომთათიძე, დ. ლომთათიძე, ქ. დუდუჩავა და სხვ. სულ შეიკრიბა 25-30 კაცი.

პირველი სიტყვა ამ დაუვიწყარ კრებაზე წარმოსთქვა ამხანაგმა სტალინმა. იგი კარგად ლაპარაკობდა, მგრძნობიარედ: „მიმოიხედეთ გარშემო. ეს გემები, ქარხნები, მთელი ეს სიმდიდრე — განა მუშის ხელმა არ შექმნა? მუშას კი ლუკმა-პურიც არა რჩება. იგი ჰქმნის, სხვები კი სარგებლობენ...“

ჩვენი „ახალწლის ღამე“ ტრიბუნად გადაიქცა. ამხანაგი სოსო ბრძოლისაკენ მოგვიწოდებდა. ჩვენ აღფრთოვანდით და ერთხმად შევფიცეთ ამხანაგ სოსოსაც და ერთმანეთსაც სამარის კარამდე გვებრძოლა მუშათა საქმისათვის.

ამხანაგ სტალინის ამ სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბათომის ქარხნების მუშათა გაერთიანებისა და დარაზმვისათვის ცარიზმთან და ბურჟუაზიასთან საბრძოლველად. ამ კრებაზე მოხდა ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

ამის შემდეგ კრებები უფრო ხშირად იმართებოდა. ვიკრიბებოდით ხან სოუქ-სუს სასაფლაოზე, ხან ჩვენს ბინაზე. წრეები მრავლდებოდა და ახალი წევრები ემატებოდა. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მანთაშევის ქარხნის მუშები იანვარში ორჯერ გაიფიცნენ და ორჯერვე თავისი ბრძოლა გამარჯვებით დაამთავრეს.

მალე ამის შემდეგ ამხანაგი სოსო თბილისში გაემგზავრა დაზგის ნაწილების ჩამოსატანად, რაც საჭირო იყო მის მიერ იმავე დროს შექმნილი სტამბისათვის.

26 თებერვალს საღამოთი სილიბისტროსაგან შევიტყვეთ, რომ 389 მუშას ქარხნიდან დათხოვნას უპირებდნენ. ამ ამბავმა ყველა აალელვა. იმ დროს ამხანაგი სოსო ქალაქში არ იყო და მუშებმა არ იცოდნენ რა ექნათ.

27 თებერვალს დილით წაიკითხეს განცხადება, რომელშიაც მოყვანილი იყო დათხოვნილთა სია; დათხოვნილთა უმრავლესობას შეადგენდნენ ძველი მუშები და წრეების აქტიური წევრები. მუშებმა ადმინისტრაციას ერთხმად წარუდგინეს დათხოვნილთა უკან მიღების მოთხოვნა. ადმინისტრაცია დათხოვნას წარმოების შემცირებით ხსნიდა. მაშინ ჩვენ დავტოვეთ ქარხნის ეზო და გაფიცვა დავიწყეთ. ამავე დროს, თბილისში ამხანაგ სოსოსთან გაგზავნა კაცი, რომელმაც აცნობა მას მომხდარი ამბავი. ამხანაგი სტალინი ჩამოვიდა, შეგვკრიბა და გაფიცულების სახელით შეადგინა მოთხოვნათა სია ადმინისტრაციისათვის წარსადგენად. მაგრამ ეს მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს და ჩვენ დავადგინეთ გაფიცვა განგვეგრძო.

გაფიცულთა კრებები იმართებოდა სოუქ-სუს სასაფლაოზე და ძმათა დარახველიძეთა ბინაზე. ამ კრებებზე ამხანაგი სოსო გვაძლევდა მითითებებს, თუ როგორ გვეწარმოებინა საგაფიცვო ბრძოლა.

მალე გავიგეთ, რომ ქუთაისიდან ჩამოვიდა გუბერნატორი გაფიცული მუშების დასაწყნარებლად.

იმავე ღამეს ამხანაგმა სტალინმა იხმო გაფიცულნი და განუმარტა მათ გაფიცვის მნიშვნელობა, გუბერნატორის ჩამოსვლის მიზეზი და ის თუ მუშებს როგორ უნდა ეჭიროთ თავი გუბერნატორთან მოლაპარაკების დროს: „როდესაც მოსალაპარაკებლად მიხვალთ, ყველას როდი მოგცემენ ლაპარაკის საშუალებას. ამიტომ დელეგაცია უნდა აირჩიოთ“, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა.

დელეგაციაში აირჩიეს 35 კაცი. ამხანაგმა სოსომ თვითეულ მათგანს განუმარტა, თუ რა და როგორ ელაპარაკა. ერთმა უნდა ილაპარაკოს მუშების დათხოვნაზე, მეორემ — ჯარიმებზე, მესამემ — მუშებისადმი უხეშ მოპყრობაზე და სხვ. კერძოდ, მე გუბერნატორის წინაშე უნდა მელაპარაკნა მუშების დაზღვევის საკითხზე.

მეორე დღეს მივედით ქარხანაში. გუბერნატორს გარს ეხვივნენ ბათომის მოხელენი, პოლიცმეისტერი და ჟანდარმები. აგვათვალ-ჩაგვათვალიერა და განკარგულება გასცა: „აბა, ამოირჩიეთ თავი კაცები და სთქვით, რა გსურთ“. „თავი კაცები რა არის, — ჩვენ ყველანი თანასწორად გაჭირვებული და ყველა ერთნაირი ვართ“, — განაცხადეს მუშებმა.

გუბერნატორმა ამაზე გვიპასუხა: „მაინც ყველა ერთად ხომ არ ილაპარაკებთ. გამოდით რამდენიმე კაცი და აგვიხსენით საქმის ვითარება“.

მაშინ მოსალაპარაკებლად ჩვენ გამოვყავით გუშინ დასახელებული პირები, რომლებმაც რიგ-რიგობით დაიწყეს ლაპარაკი ისე, როგორც ამხანაგი სოსო გვასწავლიდა.

გუბერნატორთან მოლაპარაკებამ არავითარი შედეგი არ მოიტანა.

საღამოთი ამხანაგმა სტალინმა კვლავ კრება მოიწვია. „აი, ხომ ხედავთ, გუბერნატორი ქარხნის ადმინისტრაციას ემხრობა, — სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ახლა თქვენ თვითონ დარწმუნდით, რომ კაპიტალისტები და თვითმპყრობელობა ერთად მოქმედებენ“, — გვითხრა ამხანაგმა სოსომ.

ამის შემდეგ, მგონი მესამე დღეს, 7 მარტს, ღამით დელეგაციაში შემავალი ყველა 32 კაცი დააპატიმრეს.

ვზივართ საპყრობილეში და ვფიქრობთ: როგორ და რას მოიმოქმედებს ახლა ჩვენი ხელმძღვანელი სოსო.

8 მარტს დილით ვხედავთ, საპყრობილისაკენ მოდიან მუშები და იძახიან: „გამარჯობათ ამხანაგებო“. იმ წამსვე გაჩნდნენ ბოქაული და უბნის ზედამხედველნი. მუშებმა ჩვენი განთავისუფლება მოითხოვეს. გამოიძახეს გუბერნატორის თანაშემწე და პოლიცმეისტერი. ხალხი კი გუგუნებს: „გამოუშვით ჩვენი ძმები“.

უცებ აღებენ საპყრობილის კარებს. არ ვიცით, საითკენ მივყევართ — შეგვაერთეს დემონსტრანტებთან, შემოგვარტყეს ჯარები და წაგვიყვანეს. გავიარეთ ბაზარი, ქაზარმი და მივუახლოვდით, „საეტაპო ნაწილს“, სადაც დემონსტრანტების უმრავლესობასთან ერთად დაგვამწყვდიეს.

მეორე დღეს, დილის 9 საათზე, გვესმის ხმაურობა გარედან, ვხედავთ ქუჩაზე დიდძალ მუშებს: რა შედარებაა გუშინდელთან: ბათომის ყველა მუშა გამოვიდა, რომ მოითხოვოს ჩვენი განთავისუფლება. ქარხნების მუშების გარდა, აქ იყვნენ ხელოსნებიც, მათ შორის მეიარაღენიც, რომლებსაც სახელოსნოები ბაზართან ახლოს ჰქონდათ. გამოჩნდნენ გუბერნატორის თანაშემწე, პოლიცმეისტერი და სხვ. მოვიდა სამხედრო ნაწილი კაპიტანი ანთაძის მეთაურობით.

ჩვენ გარეთ მივიწევთ, გვინდა დემონსტრანტებს შევუერთდეთ. ვამტვრევთ ყაზარმის ალაყაფის კარებს, და აი მრავალი პატიმარი უკვე ქუჩაშია. საშინელი ხმაურობაა. უცებ გაისმის ბრძანება: „ცეცხლი!“ ვიღაცამ დაიყვირა: „უტყვიო ვაზნებია, ნუ გეშინიათ!“ დაიწყო სროლა. ადამიანები ეცემიან, სისხლისაგან იცლებიან. მაშ უტყვიო ვაზნები არა ყოფილა! ნამდვილი ჯოჯოხეთია.

სროლა შესწყდა. მოედანი დაცარიელდა. მიწაზე ყრიან მოკლული და დაჭრილი მუშები. მოისმის კვნესა.

ამხანაგი სტალინი ხუნებს დაჭრილს...

მეორე დღეს საპყრობილეში მოგვიტანეს პროკლამაცია. ამხანაგები მიხვდნენ, რომ პროკლამაცია ამხანაგი სოსოს დაწერილი იყო. ამ პროკლამაციაში ამხანაგი სტალინი წყევა-კრულვას უთვლის მუშათა მკვლელებს და მოგვიწოდებს შეურიგებელი ბრძოლისაკენ ცარიზმთან.

უნებლიედ გვდის ცრემლი და გულიდან აღმოგვხდება ჯალათებისადმი წყევა-კრულვა, როდესაც ვიგონებთ მოკლულ და დასახიჩრებულ ამხანაგებს. მეფის ჯალათებმა მოჰკლეს 14 და დასჭრეს 54 კაცი.

ამხანაგი სოსოს მეთაურობით მოეწყო მოკლულთა დაკრძალვა, რომელიც გადაიქცა ბათომის მუშათა მძლავრ დემონსტრაციად.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ გამოგვიძახეს ციხის კანცელარიაში, სადაც გამოგვიცხადეს, რომ ყველას ეტაპით ჩვენს სოფლებში გვასახლებდნენ.

ამხანაგმა სოსომ საქმე ისე მოაგვარა, რომ გამგზავრებისას შევძელით თან წაგვეღო სოფელში პროკლამაციები 9 მარტის ამბების შესახებ.

სოფელში შემოგვეხვივნენ გლეხები, მათ დიდად აინტერესებდათ ბათომის ამბები. ჩვენ მათ ვესაუბრებოდით, ვუკითხავდით ამხანაგი სტალინის დაწერილ პროკლამაციებს. თვითეული ფრაზა მრისხანების ცეცხლს აღვივებდა გულში. წყევა-კრულვა ისმოდა მეფის მთავრობის მიმართ, ქალები სტიროდნენ.

მე მალე ბათომში დავბრუნდი. ამხანაგ სოსოს რომ შევხვდი, მან დაწვრილებით გამომკითხა გლეხების მდგომარეობა სოფელში და მათი სულიერი განწყობილება 9 მარტის ამბებთან დაკავშირებით.

ერთხელ საღამოთი ჩვენთან მოვიდნენ ამხანაგი სტალინი და კოწია კანდელაკი. თურმე სტამბა, რომელიც მოთავსებული იყო დარახველიძის ბინაზე (სადაც ამ დროს ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა), ჯაშუშებს შეუნიშნავთ და ამიტომ იგი უნდა გადატანილიყო სხვა უფრო საიმედო ადგილას.

[illegible] ზე გადმოიტანეს ჩვენს ბინაზე და დაუყოვნებლივ კვლავ ააწყეს. მგონია, ამხანაგმა სოსომ იმავე ღამეს მოასწრო რიგაცის დაბეჭდვა. ამ დროს მე, ქიშვარდი ცერცვაძე და დათიკო ჩარკვიანი ეზოში ვდარაჯობდით.

ერთ დილას, როდესაც ამხანაგი სოსო და სილიბისტრო გატაცებულნი იყვნენ ფურცლების ბეჭდვით, ჩვენ კი, ჩვეულებისამებრ, ჩვენი პოსტები გვეჭირა, უცებ მოულოდნელად შორიდან გამოჩნდა ბოქაული ჩხიკვაძე უბნის ზედამხედველებით. იმ წამსვე გავაფრთხილეთ ჩვენები, რომ მუშაობა შეეწყვიტათ. ამხანაგი სოსო ოთახში დაიმალა, სილიბისტრო კი ეზოში გამოვიდა ბოქაულის შესახვედრად. „გამარჯობა ლომჯარია, — სთქვა ბოქაულმა, სად ცხოვრობს აქ შენთან ჩარკვიანი? მგონია მოგვიხდება შენი სახლის დანგრევა, რომელიც ყველა სოციალისტის ბუდედ გადაიქცა“.

სილიბისტრომ შეიყვანა ისინი არა იმ ოთახში, სადაც ამხანაგი სტალინი იმალებოდა და სტამბა იყო მოთავსებული, არამედ სხვა ოთახში. დაათვალიერეს ოთახები. ვერაფერი ნახეს და ხელცარიელი წავიდნენ.

ნახევარი საათი არც კი იყო გასული, რომ მოირბინა შეშინებულმა კოწია კანდელაკმა, — მას ეგონა, რომ ამხანაგი სოსო დააპატიმრეს და სტამბა აღმოაჩინესო. მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ სტამბა სხვა ადგილას გადაგვეტანა. სილიბისტრო მოელაპარაკა თავის მამობილს — აფხაზ ხაშიმ სმირბას, რომელიც ცხოვრობდა სოფელ მახმუდიეში და იმავე ღამეს დაზგა დაშლილად გადავიტანეთ ჯერ ილარიონ კეჭაყმაძესთან სოუქ-სუს სასაფლაოზე, მეორე დღეს კი, მე, ხაშიმის შვილმა, ჰამიდმა და იმისმა სიძემ დაზგა გადავიტანეთ ხაშიმის სახლში.

ამხანაგი სოსო მოდიოდა აქ, ხაშიმის სახლში პროკლამაციების საბეჭდავად. ქალაქში პროკლამაციები იგზავნებოდა დაწნული კალათებით, რომლებშიც ზემოდ ბოსტნეული ელაგა.

„ამგვარად, — როგორც ამბობს ამხ. ლ. ბერია თავის წიგნში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მოაწყო ამხანაგ სტალინმა და მან პირველმა აამხედრა ბათომის მუშები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# -ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა

## ჩვენ გვხელმძღვანელობდა დიდი სტალინი

### კოტე კალანდაროვი

ჩემი ცხოვრება მუშა-პროლეტარისა დაიწყო 17 წლის ასაკიდან, როდესაც მე, მშობლების სიკვდილის შემდეგ, კახეთის სოფლიდან თბილისს ჩამოვედი და აქ სამუშაოდ შევედი კერძო საზეინკლო სახელოსნოში. სამი წლის შემდეგ, 1897-1898 წლებში სამუშაოდ გადავედი კარაპეტოვის ხიდმშენებელ ქარხანაში, სადაც პირველად ჩავები რევოლუციურ მოძრაობაში.

კარაპეტოვის ქარხანაში სტიქიურად იფეთქა გაფიცვამ. ადმინისტრაციას წაუყენეს მოთხოვნები ხელფასის მომატების, მუშებთან ადმინისტრაციის უხეში მოპყრობის შეწყვეტისა და სხვ. შესახებ. მაგრამ გაფიცულნი დამარცხდნენ, რადგან გაფიცული იყო მხოლოდ საიარაღო საამქრო და ჩვენ ერთსულოვნად, ორგანიზებულად ვერ ვმოქმედებდით.

1898 წელს ამავე ქარხანაში ამხანაგებმა ჩამაბეს ამხანაგ სოსოს (სტალინის) მიერ მოწყობილ სოციალ-დემოკრატიულ წრეში.

„...თბილისის ცენტრალურმა სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა, — სწერს ამხ. ლ. ბერია, — უდიდესი რევოლუციურ - პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობა შეასრულა...

მარტო ამხანაგ სტალინს რვაზე მეტი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე ჰყავდა“.

(ლ. ბერია — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. გვ. 27-28).

1900 წელს სამუშაოდ გადავედი თბილისის რკინიგზის დეპოში. ამ წელს, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ცენტრალურმა სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში დიდი გაფიცვა ჩაატარა. გაფიცვაში მონაწილეობისათვის დამაპატიმრეს და საპყრობილეში ჩამსვეს.

საპყრობილედან განთავისუფლების რამდენიმე თვის შემდეგ ბათომს გადავედი.

ბათომში მოვეწყვე მანთაშევის ქარხანაში. ვცხოვრობდი პუშკინის ქუჩაზე კოწია კანდელაკთან ერთად. ჩვენი საამქროს ინიციატივით ქარხანაში რამდენჯერმე დაიწყო გაფიცვები. მაგრამ ეს გაფიცვები არაორგანიზებული ხასიათისანი იყვნენ და ამიტომ დადებითს შედეგებს ვერ იძლეოდნენ.

1901 წელს, ნოემბრის დამლევს, ბათომში ჩამოვიდა ამხანაგი სოსო. იგი დაბინავდა კოწია კანდელაკთან, სადაც მეც ვცხოვრობდი.

ამხანაგ სოსოს ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე ბათომში რევოლუციური მუშაობა გაჩაღდა. ამხანაგ სოსოს ხელმძღვანელობით საწარმოებში მოეწყო სოციალ-დემოკრატიული წრეები, რომლებშიც ებმებოდნენ მოწინავე მუშები.

1901 წლის დამლევს ამხანაგმა სტალინმა გადასწყვიტა ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად გაეერთიანებინა თვისი შექმნილი მუშათა წრეები.

მან წინადადება მოგვცა ახალი წლის შეხვედრის სახით გაგვემართნა ცალკე ქარხანათა წრეების წარმომადგენელთა კრება. ამხანაგ სოსოს წინადადებას მხარი დაუჭირეს ჩვენთან მოსულმა ამხანაგებმა ქურიძემ, კალაძემ.

31 დეკემბერს, როცა შეღამდა, გავემართეთ მისი სახლისაკენ. იქ ხალხი უკვე შეკრებილიყო. ყველას ძალიან გაეხარდა ამხანაგ სტალინის მოსვლა. შემოვუსხედით მაგიდას. ოთახი დიდი იყო და მაგიდა მთელი ოთახის სიგრძეზე იყო გაჭიმული.

ამხ. მ. გაბუნიამ წინადადება შემოიტანა დაგველია ამხანაგ სტალინის სადღეგრძელო, მაგრამ მან ამაზე უარი სთქვა და თვითონ აიღო სიტყვა. მთელი საღამოს განმავლობაში ამხანაგმა სოსომ დაახლოვებით 4-5-ჯერ ილაპარაკა, ყველა მისი სიტყვა პოლიტიკური ხასიათისა იყო. ამხანაგი სოსო აღნიშნავდა, რომ ცარიზმთან და ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ერთი კაცი ვერაფერს გახდება, მასა კი თავისი მიზნების მისაღწევად ყველაფერს შესძლებსო. „ამიტომ საჭიროა, — გვეუბნებოდა ამხანაგი სტალინი, — შევქმნათ მუშათა პარტია და ორგანიზებულად გავჩაღოთ ბრძოლა მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. ჩვენი ძალა ჩვენს კავშირშია და მხოლოდ ჩვენი ერთიანობა შეგვაძლებინებს დავამსხვრიოთ ის ბორკილები, რომლებითაც არსებული წყობილება გვბოჭავსო“.

ამხანაგი სოსო დამაჯერებლად და შთაგონებულად ლაპარაკობდა. სერიოზულ საკითხთა განხილვასთან ერთად, ამხანაგი სტალინი იმ საღამოს ბევრს ოხუნჯობდა. ყველა მხნედ იყო განწყობილი და მთელი ღამის განმავლობაში არავინ დაღლილა. გათენებისას ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „დადგება დრო, როდესაც კაპიტალიზმი დაემხობა და ძალაუფლებას სათავეში მუშათა კლასი ჩაუდგებაო“.

განთიადზე დიდი სიფრთხილით დავიშალენით.

ჩვენი ბინიდან ამხანაგი სოსო რამდენიმე ხნის შემდეგ ძმათა ლომჯარიებთან გადასახლდა, ხოლო მერე ცხოვრობდა ძმათა დარახველიძეების ბინაზე. ეს გადასვლა იმან გამოიწვია, რომ ჩვენს მეზობლად დაბინავდა საპოლიციო უბნის ზედამხედველი ინწკირველი.

ბათომში ჩამოსვლისთანავე ამხანაგი სტალინი შეუდგა არალეგალური სტამბის მოწყობას. ამხანაგ სოსოს დავალებით მე ქარხანაში დავამზადე სტამბისთვის საჭირო ზოგიერთი ნაწილი. ამ ნაწილებს ქარხნიდან ვეზიდებოდით სანაგვე ურმით და ვაწარებდით ამხანაგ სტალინს. რამდენიმე ხნის შემდეგ ამხანაგმა სოსომ წამიყვანა დარახველიძესთან დაზგის ასაწყობად.

1902 წლის თებერვალს როტშილდის ქარხნის ადმინისტრაციამ გამოაკრა განცხადება 389 მუშის დათხოვნის შესახებ სამუშაოს შემცირებასთან დაკავშირებით. ამან მუშებში ძლიერ დიდი აღშფოთება გამოიწვია. დასათხოვნთა შორის უმთავრესად დასახული იყვნენ მოწინავე მუშები.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობითა და მითითებით, მუშებმა მოითხოვეს მუშების დათხოვნის გაუქმება და გამოაცხადეს გაფიცვა.

ამასთან დაკავშირებით მუშათა უბან ბარცხანაში 7 მარტს მოვიდა ურიადნიკი ლ. გურიელი და დაიწყო გაფიცვის წამომწყებთა დაპატიმრება. მან დააპატიმრა 32 კაცი, მათ შორის მეც მოვხვდი.

მეორე დღეს, 8 მარტს, ბათომის ყველა ქარხნის მუშები, ამხანაგ სოსოს მეთაურობით, გაემართნენ საპყრობილისაკენ და მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება.

პოლიცია დათანხმდა გადაეყვანა დაპატიმრებული ამხანაგები საპყრობილიდან ეგრეთწოდებულ საეტაპო პუნქტში. მაგრამ წინადღით დაპატიმრებულებთან ერთად პოლიციამ საეტაპო პუნქტის ყაზარმებში მოათავსა 8 მარტის დემონსტრაციის მონაწილე მუშათა ერთი ნაწილიც.

9 მარტს ბათომის საწარმოთა მუშები, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, კვლავ გამოვიდნენ ქუჩაში და მოითხოვეს დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება. როდესაც შეკრებილნი უკვე მიადგნენ საეტაპო პუნქტის ჭიშკარს, მათ გარს შემოერტყა ჯარის რაზმი კაპიტან ანთაძის მეთაურობით და, იარაღით გასწორების დამუქრებით, მოსთხოვა დაშლილიყვნენ. მაგრამ მუშები კვლავ დაჟინებით მოითხოვდნენ თავისას. ანთაძის ბრძანებით ჯარისკაცებმა ტყვია დაგვიშინეს, და ამის შედეგად დაიღვარა მუშების სისხლი. მაგრამ იმ დღესვე, საღამოს, დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ, მუშებს შორის უკვე ავრცელებდნენ პროკლამაციებს, ალსავსეს უდრეკი ნებისყოფით.

ეს პროკლამაცია დაწერილი იყო ჩვენი მოძღვარის მიერ, როგორც ჩვენ მაშინ ვუწოდებდით ამხანაგ სტალინს.

ერთი კვირის შემდეგ საეტაპო წესით ჩამიყვანეს ჩემს სოფელში, მაგრამ სამი დღის მერე იქიდან თბილისს გავემგზავრე. რამდენიმე დღემ რომ განვლო, კვლავ გავემართე სამუშაოდ ბათომისაკენ, სადაც გავიგე ამხანაგ სოსოს დაპატიმრების ამბავი.

საპყრობილეში ყოფნისას ამხანაგი სოსო განაგრძობდა ბათომის მუშების რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობას. ამხანაგი სოსო საპყრობილედან სწერდა პროკლამაციებს, რომლებშიაც მოუწოდებდა მუშებს გადაჭრით დაეცვათ თავისი მოთხოვნები. როტშილდის ქარხნის მუშები განაგრძობდნენ გაფიცვას.

მუშების ეს მედგარი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა. როტშილდის ქარხნის მუშათა ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

ამგვარად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მტკიცდებოდა ბათომის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ამგვარად ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით სწავლობდნენ მუშები ბურჟუაზიის დამლევას.



მუშათა დემონსტრაცია ბათომში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 1902 წელს.

## ჩვენ ვიბრძოდით დიდი სტალინის ხელმძღვანელობით

### პავლე დოლბაძე

1888 წელს მე დავიწყე მუშაობა ბათომს რიხნერის ქარხანაში. მუშების ხელფასი მაშინ ძალიან მცირე იყო. ჩვენ მოვითხოვეთ ხელფასის მომატება დღეში 10 კაპეიკით, მაგრამ უარი გვითხრეს. და აი მაშინ გადავწყვიტეთ პატრონებზე ზეგავლენა მოგვეხდინა გაფიცვის გამოცხადებით. მაგრამ გაფიცვა მიმდინარეობდა არაორგანიზებულად. მუშები იძულებული იყვნენ შეეწყვიტათ იგი და დაეწყოთ მუშაობა წინანდელ პირობებში.

1892 წელს შევედი მანთაშევის ქარხანაში. შრომის პირობები არც იქ იყო უკეთესი, ვმუშაობდით 14-16 საათს და გროშებს ვღებულობდით, სულ მცირე უყურადღებობისათვის ჯარიმას გვადებდნენ, ათასგვარ დაცინვას ვიტანდით მოიჯარადრეებისა და ადმინისტრაციის მხრით.

როცა 1900 წელს რუსეთის ქალაქებში საგაფიცვო ტალღა აგორდა, ჩვენ ინსტიქტურად ვიგრძენით, რომ მუშათა საქმისათვის საერთო ბრძოლაში ჩვენც, ბათომელ მუშებსაც უნდა მიგვეღო მონაწილეობა.

1901 წლის დამლევს ჩვენთან, ბათომში, ჩამოვიდა ამხანაგი სტალინი. იგი გამაცნო კოწია კანდელაკმა. ამხანაგმა სტალინმა სწრაფად გააბა კავშირი ჩვენ ქარხანასთან და მოაწყო იქ სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელშიც შედიოდნენ ძმები დარისპან და ილარიონ დარახველიძეები, დომენტი ვადაჭკორია, მ. გაბუნია, ვ. ჯიბუტი, ა. გაბუნია, ი. ჩიქოვანი და გოგიბერიძე.

ჩვენს წრეს ხელმძღვანელობდა თვითონ ამხანაგი სტალინი, გვასწავლიდა რევოლუციურ ბრძოლის ანაბანას. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ შევიმუშავეთ მთელი რიგი ეკონომიური მოთხოვნები, რომლებიც წავუყენეთ ჩვენი ქარხნის ადმინისტრაციას. მოვითხოვდით ღამის მუშაობის მოსპობას, კვირაობით ღასვენების დაწესებას და მუშებთან თავაზიან მოპყრობას.

ქარხნის ადმინისტრაციამ ყველა ამ პუნქტზე უარით გვიპასუხა. მაშინ ერთერთ საღამოს, 1902 წლის იანვარში ჩვენ თვითნებურად ჩავაქრეთ ლუმელები, გავაჩერეთ მანქანები და შინ წავედით.

მეორე დღეს წაგვათრიეს საპოლიციო სამმართველოში, სადაც ბოქაულმა ჩხიკვიშვილმა და ჟანდარმთა უფროსებმა შაბელსკიმ და ჯაყელმა წინადადება მოგვცეს დაუყოვნებლივ დაგვეწყო მუშაობა. ჩვენ უარი ვთქვით. იმავე დღეს მე და კიდევ რამდენიმე მუშა დაგვაპატიმრეს და ბათომიდან გადაგვასახლეს იმ სოფლებში, საიდანაც ოდესღაც ქალაქისაკენ გავეშურეთ სამუშაოდ.

მიუხედავად რეპრესიებისა, მუშებმა მიაღწიეს ხელფასის მომატებასაც და გაფიცვის დღეების ანაზღაურებასაც.

1902 წლის თებერვლის დამლევს იფეთქა გაფიცვამ როტშილდის ქარხანაში. ქარხნის მუშებმა, რომელთაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, ადმინისტრაციას წაუყენა მთელი რიგი მოთხოვნები.

დაიწყო მუშათა მოლაპარაკება ქარხნის ადმინისტრაციასთან, რაშიც ჩაერია ქუთაისიდან ჩამოსული გუბერნატორი. მუშები მაგრად იყვნენ და არავითარ დათმობაზე არ თანხმდებოდნენ. მაშინ დაიწყო დაპატიმრებანი.

8 მარტს როტშილდის ქარხნის მუშები, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, საპყრობილისაკენ გაემართნენ და დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება მოითხოვეს.

გუბერნატორის განკარგულებით დემონსტრანტების ნაწილს ალყა შემოარტყა პოლიციამ. ისინი მოთავსებულ იქნენ ეგრეთწოდებულ საეტაპო ყაზარმაში. იქვე გადაიყვანეს საპყრობილიდან ის ამხანაგებიც, რომლებიც წინადღეს დააპატიმრეს.

საღამოს ამხანაგმა სტალინმა მოიწვია ბათომის სოციალ-დემოკრატიული წრეებისა და უდიდესი ქარხნების მუშათა წარმომადგენლების გაერთიანებული კრება.

მიაწოდა რა ინფორმაცია შეკრებილთ განვლილი დღის ამბების შესახებ, ამხანაგმა სტალინმა წინადადება შეიტანა, საჭიროა ხვალ ბათომის საწარმოთა ყველა მუშა გამოვიდეს ქუჩაში, კატეგორიულად უნდა მოვითხოვოთ ყველა დაპატიმრებულის განთავისუფლებაო.

9 მარტს, დილის 9 საათიდან მუშები გამოვიდნენ ქუჩაში. ჩვენს შორის იყო ამხანაგი სტალინი.

დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ ჩვენი მოთხოვნის პასუხად გაისმა ძახილი: „დაიშალენით!“ როცა ამან ვერ გასჭრა, ატყდა სროლა.

— ნუ გეშინიათ, ფუჭი ვაზნებია, თაა სროლა! დაიძახა ვიღაცამ.

მაგრამ ამ დროს იგრიალა თოფებმა, 14 კაცი მკვდარი დაეცა მიწაზე, ბევრი დაიჭრა.

დემონსტრაციის დახვრეტამ დიდი მრისხანება და აღშფოთება გამოიწვია მუშებში.

ჩვენ, ბათომელი მუშები, ბედნიერი ვართ და ვამაყობთ, რომ ჩვენი პირველი მასწავლებელი და ორგანიზატორი იყო ხალხთა დიდი ბელადი, ბედნიერი სოციალისტური ცხოვრების შემომქმედი, ჩვენი საყვარელი ამხანაგი სტალინი.



ამხანაგ სტალინის მიერ 1901 წ. 31 დეკემბერს (ძვ. სტილით) ახალწლის შეხვედრის სახით მოწყობილი კრების მონაწილე ძველ ბათომელ მუშათა ჯგუფი. სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: კონსტანტინე კალანდაროვი, გერასიმე კალაძე, პორფილე ქურიძე, პორფილე ლომჯარია და ქიშვარდი ცერცვაძე, დგანან: მირიან ხომერიკი და თეოფილე გოგიბერიძე.

ფოტო სტ. ლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

### ილარიონ დარახველიძე

## ამხანაგ სტალინის რევოლუციური მუშაობა ბათომში

ცხრა წლისა ვიყავი, როდესაც ოზურგეთიდან ბათომს ჩამიყვანეს და დამტოვეს ბიძაჩემთან, პროფესიით მეჩექმესთან, რათა მეჩექმეობა შემესწავლა.

ორ წელს ვსწავლობდი ამ საქმეს, მაგრამ ამან ვერ გამიტაცა და ვთხოვე ბიძას სკოლაში მივებარებინე წერა-კითხვის შესასწავლად. სწავლაშიაც არაფერი არ გამომივიდა. ადვილი საქმე არ იყო მაშინ სკოლაში მოწყობა, ესეც არ იყოს სახსრებიც არ გამაჩნდა. ბოლოსდაბოლოს, აძულებული გავხდი დავმდგარიყავი მზეთავად რიხტერის ნავთის ქარხანაში. ეს იყო 1887 თუ 1888 წელს. 1890 წელს გადავედი სიდერიდისის ქარხანაში, სადაც 1896 წლამდე ვმუშაობდი მრჩილავად. შემდეგ იმავე სამუშაოზე გადავედი მანთაშევის ქარხანაში, სადაც მრჩილავადვე მუშაობდა ჩემი ძმა დარისპანი.

მე და ჩემს ძმას მაშინ გვეჭირა ოთახი გ. სოლორაშვილის დედის ოჯახში. აქ 1900 წელს გავეცანი ევგენია და გრიშა სოლორაშვილებს, მიხაკო კალანდაძეს, გერონტი ტუსკიას და სხვებს, რომლებიც მაშინ „მესამე დასელებს“ ემხრობოდნენ. მაგრამ მუშებს შორის ეს პირნი არავითარ რევოლუციურ მუშაობას არ ეწეოდნენ.

ჩვენ იმ წლებში გაგონილი გვქონდა თბილისის მუშების გაფიცვების ამბავი, მეწარმეებთან მათი ბრძოლის ამბავი, მაგრამ ჩვენ თვითონ ამ მიმართულებით ჯერ არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო. ბათომის მუშათა ცალკეული ჯგუფების სტიქიურად დაწყებული გაფიცვები მუდამ მარცხით თავდებოდა, რადგან ჩვენ სულაც არ ვყოფილვართ დარაზმულნი.

ამაში, როგორც სამართლიანად სწერს თავის ისტორიულ წიგნში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ საქართველოსი და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელი ამხ. ლ. ბერია, თავს იჩენდა „მესამე დასელთა“ უმრავლესობის წარმომადგენლების კარლო ჩხეიძისა და ისიდორე რამიშვილის გავლენა, რომელნიც უარჰყოფდნენ არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას.

1901 წლის ნოემბრის დამლევს ჩვენ გავიგეთ, რომ თბილისიდან ჩამოვიდა პროპაგანდისტი და რომ საჭიროა დავსახოთ რამდენიმე საიმედო ამხანაგი წრის შესაქმნელად.

ჩვენ დავსახეთ მთელი რიგი ამხანაგები და მათთან ერთად შევიკრიბენით დომენტი ვადაჭკორიას ბინაზე, რომელიც თბილისის ქუჩაზე იყო.

ამ კრებას დავესწარით მიხა გაბუნია, ანდრო გაბუნია, იულო ჩიქოვანი, ვალოდია დათუაშვილი, ვლადიმერ ჯიბუტი, დარისპან დარახველიძე, პავლე დოლბაძე, დომენტი ვადაჭკორია, ნოე ჩხეიძე და მე.

კოწია კანდელაკთან ერთად კრებაზე გამოცხადდა ჩვენთვის უცნობი სტუდენტი, რომელსაც ეცვა ლურჯი ხალათი და ნაცრისფერი სერთუკი.

კოწია კანდელაკი მალე სადღაც წავიდა, უცნობმა კი დაგვიწყო ამის ახსნა, თუ როგორ შენდება გემები, ფაბრიკები და ქარხნები და როგორ შიმშილობენ და გაჭირვებული არიან ისინი, ვისი ხელითაც ყოველივე ეს იქმნება. ჩვენ, შეკრებილებმა,—განაგრძობდა იგი,—უნდა დავრაზმოთ არა მარტო მანთაშევის ქარხნის მუშები, არამედ ყველა დანარჩენიც კაპიტალისტებთან საბრძოლველად.

კრების დასასრულს უცნობმა მოგვმართა აღმაფრთოვანებელი სიტყვებით. მაშინვე დავნიშნეთ მეცადინეობის დღეები—დღეგამოშვებით საღამოობით.

კრების დამთავრებისას პავლე დოლბაძე წავიდა უცნობთან ერთად, როგორც პავლესგან გავიგეთ, მას იგი მიეყვანა მუშათა სხვა წრეებში.

პირველ მეცადინეობათა შემდეგ დოლბაძემ დამავალა მომეძებნა ბინა კოწია კანდელაკისათვის და თბილისიდან ჩამოსული პროპაგანდისტისათვის.

მე და ჩემი ძმა დარისპანი წავედით ქალაქის განაპირა უბანში— „ჭაობში“ (ამჟამად სტალინის სახელობის რაიონი), ჩვენი ნაცნობის მათე რუსიძის სახლში. მის მეზობლად ცხოვრობდნენ ჩვენი ამხანაგები გერონტი კალანდაძე, ივლიანე შაფათავა და პავლე თორაძე. რუსიძესთან ჩვენ დავიქირავეთ 3 ოთახი და იმავე დღეს იქ გადავედით მე, დარისპანი, კოწია კანდელაკი და ჩვენი წრის ხელმძღვანელი ამხანაგი სოსო. ასე ვუწოდებდით მაშინ ჩვენს დიდ მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

სოსომ აგვიხსნა, რომ იგი თბილისიდან ჩამოვიდა ბათომის მუშებს შორის მუშაობის საწარმოებლად.

ამხანაგი სოსოს ჩამოსვლის შემდეგ პირველად დაიწყო მუშების დარაზმვა. ყველა ქარხნიდან ჩვენთან ბინაზე მოდიოდნენ მუშები, რათა მიეღოთ რჩევა-დარიგება წრეების მოწყობის შესახებ.

ამხანაგი სტალინი მუშებთან საუბარში და წრეებში მეცადინეობისას ამბობდა, რომ მუშათა კლასმა უნდა შეჰქმნას თავისი მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია, უნდა გაუძღვეს ხალხს ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, დაამხოს მეფის თვითმპყრობელობა, დაამყაროს დემოკრატიული რესპუბლიკა და შეჭიდროვებული რიგებით დაიძრას წინ, ბედნიერი სოციალისტური მომავლის მოსაპოვებლად.

1901 წლის 31 დეკემბერს ამხანაგ სტალინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ყალიბდება ბათომის სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაცია.

1902 წლის იანვარს ჩვენმა წრემ, რომელსაც ამხანაგი სოსო ხელმძღვანელობდა, მანთაშევის ქარხანაში ჩაატარა პირველი გაფიცვა.

ამხანაგ სოსოს ხელმძღვანელობით ჩვენ შევიმუშავეთ მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებიც წარვუდგინეთ ქარხნის ადმინისტრაციას. ამ მოთხოვნებიდან მე დამახსოვდა: კვირაში ერთხელ მთელი დღის დასვენება, ღამის სამუშაოების გაუქმება, ჯარიმების გაუქმება და მუშებთან თავაზიანი მოპყრობა ადმინისტრაციის მხრით.

წრის წევრებმა მუშებს წინასწარ განუმარტეს ამ მოთხოვნათა მნიშვნელობა და დედაარსი, ხოლო შემდეგ, ერთ საღამოს საყვირით გამოაცხადეს მუშაობის დამთავრება არა ათ საათზე, არამედ საღამოს ექვს საათზე და ჩააქრეს ყველა ღუმელი.

მიუხედავად ქარხნის დირექტორის ტერ-აკოფოვის ყვირილისა, მუშებმა თავი მიანებეს მუშაობას და დაიშალნენ.

მეორე დღეს ჩვენ დაგვიბარეს პოლიციის ნაწილში ბოქაულ ჩხიკვაძესთან, რომელთანაც იმ დროს იმყოფებოდნენ ჟანდარმები შაბელსკი და ჯაყელი. ისინი ემუქრებოდნენ ქართველ მუშებს ციმბირში გადასახლებას, ხოლო სომეხ მუშებს — თურქეთში გადასახლებას, საიდანაც ისინი ბათომში იყვნენ გამოქცეული; წინადადება მოგვცეს დაუყოვნებლივ შევდგომოდით მუშაობას წინანდელ პირობებში. როდესაც ამ მუქარამ არ გასჭრა, მათ დააპატიმრეს რამდენიმე მუშა და საპყრობილეში გაგზავნეს. მაგრამ ჩვენზე ამანაც ვერ მოახდინა გავლენა. ამხანაგ სოსოს ხელმძღვანელობით შეუპოვრად ვიცავდით ჩვენს მოთხოვნებს.

ათი დღის შემდეგ ქარხნის ადმინისტრაციამ დაიწყო ჩვენთან მოლაპარაკება. და მაშინ ამხანაგმა სოსომ გვირჩია, რომ უკვე წაყენებული მოთხოვნებისათვის მიგვემატებინა კიდევ მთელი რიგი ახალი მოთხოვნები: გაფიცვის დღეებში გაცდენილი დროის ანაზღაურება და ხელფასის გადიდება 30 პროცენტით.

გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

ამ დროისათვის მუშებს შორის ამხანაგ სტალინს უკვე დიდი ორგანიზაციული მუშაობა ჰქონდა ჩატარებული. თვითეული ათი კაცის სათავეში იდგა ეგრეთწოდებული ათისთავი, რომელიც მათ წარმომადგენლად ითვლებოდა. თვითეული ქარხანა შეადგენდა რაიონულ ორგანიზაციას, რომლის წარმომადგენლები დაკავშირებული იყვნენ ამხანაგ სოსოსთან და ქარხნის ათისთავებთან.

მანთაშევის ქარხნიდან რაიონულ ორგანიზაციაში შედიოდნენ დომენტი ვადაჭკორია და პავლე დოლბაძე, როტშილდის ქარხნიდან—სილიბისტრო ლომჯარია, პასეკის ქარხნიდან—ფილიპე ქიქავა და სხვ.

ამხანაგ სოსოს რჩევით მოეწყო საწევრო შესატანთა შეგროვება. თვითეულ მუშას ხელფასის ყოველ მიღებაზე შეჰქონდა ერთი აბაზი, შემდეგ კი მანეთიდან 2 კაპიკი. ამ შესატანს აგროვებდნენ ათისთავები, გადასცემდნენ რაიონულ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ხოლო ეს უკანასკნელნი აბარებდნენ ბათომის ორგანიზაციის ხაზინადარს.

ამავე დროს ამხანაგი სოსო აჩაღებს მუშაობას როშტილდის ქარხნის მუშებს შორის, რომლებთანაც კავშირი აქვს სილიბისტრო ლომჯარიას, გერასიმე კალაძის და ივანე მგელაძის საშუალებით.

გაფიცვა როშტილდის ქარხანაში დაიწყო 1902 წლის თებერვალს. გაფიცვასთან დაკავშირებით 7 მარტს მუშებს შორის მოხდა დაპატიმრებანი. ამხანაგმა სოსომ იმავე დღეს საღამოს ჩვენს ბინაზე მოიწვია ბათომის უდიდეს საქარხნო საწარმოთა ორგანიზაციის წარმომადგენელთა თათბირი.

განსახილველად დასმული იყო დაპატიმრებული მუშების განთავისუფლების საკითხი.

ამხანაგმა სტალინმა წინადადება მოგვცა მოგვეთხოვა მათი განთავისუფლება საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებით და დემონსტრაციების მოწყობით. რა თქმა უნდა,—ხაზს უსვამდა იგი,—იქნებ ამისთვის მსხვერპლის გაღება დაგვჭირდეს, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაჩეროს ჩვენი დასახული მიზნის მიღწევაში.

ამხანაგ სოსოს წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრეს დ. ვადაჭკორიამ და ბეგლარ მელიამ. ყველა დანარჩენმა კი მხარი დაუჭირა ამხანაგ სტალინის წინადადებას.

დავადგინეთ საყოველთაო გაფიცვა გამოგვეცხადებინა მეორე დღესვე. გადაწყდა შევეკრიბა ყველა მუშა პუშკინის ქუჩაზე, წითელ ყაზარმებთან, სადაც მოთავსებული იყვნენ 7 და 8 მარტს დაპატიმრებული მუშები.

9 მარტის დემონსტრაციას, რომელიც დამთავრდა სისხლისმღვრელი შეტაკებით ჯარებთან, ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. ამხანაგი სტალინი სულ მუდამ მუშებს შორის იმყოფებოდა, ხელში დაჭრილი გერონტი კალანდაძე თვითონ მან გაიყვანა ხალხიდან და ჩვენს ბინაზე მოიყვანა. მახსოვს, რომ იმ დღეს მას ეცვა მუშის ხალათი და მოკლე პიჯაკი.

ჯერ კიდევ გაფიცვამდე ამხანაგი სტალინის დავალებით კოწია კანდელაკმა და კოტე კალანდაროვმა ჩვენს ბინაზე მოიტანეს სტამბის ცალკეული ნაწილები. საბეჭდი დაზგა ააწყო კოტე კალანდაროვმა. მასზე მუშაობდა ორი ამხანაგი, ერთი სომეხი, რომელსაც ჩვენ ვეძახდით „გიორგის“, და მეორე ქართველი—სილია. გიორგის გვარი არ ვიცოდი, ვინაიდან სასტიკი კონსპირაციის მოსაზრებებით ამხანაგების გვარებს არ ვკითხულობდით; როგორც შემდეგ გავიგეთ სილია ყოფილა თოდრია.

ამ დაზგაზე ჩვენ დავბეჭდეთ 9 მარტის ამბებთან დაკავშირებით ამხანაგ სტალინის დაწერილი პროკლამაცია. ეს პროკლამაცია ვრცელდებოდა როგორც ბათომში, ისე სხვა ქალაქებშიც.

რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით ჟანდარმერია დიდ აქტივობას იჩენდა. ჩვენ გავიგეთ, რომ პოლიცია უთვალთვალებდა ჩვენს ბინას. ამხანაგმა სოსომ გვირჩია სტამბისათვის სხვა სადგომი მოგვეძებნა. ჯერ გადავწყვიტეთ გადაგვეტანა იგი სილიბისტრო ლომჯარიასთან. მაგრამ, რამდენადაც ლომჯარია პოლიციას „არაკეთილსაიმედოთა“ სიაში ჰყავდა შეტანილი, ჩვენ ამ განზრახვაზე ხელი ავიღეთ. სტამბა გადავიტანეთ ილარიონ კეჟაყმაძესთან — სოუქ - სუსაფლაოს დარაჯთან, აქედან კი მთაზე, სასაფლაოს პირდაპირ, აფხაზ ხაშიმ სმირბასთან.

5 აპრილს, ღამის პირველ საათზე ჩვენს ბინას თავს დაესხნენ ჟანდარმები და დააპატიმრეს ამხანაგი სტალინი და მასთან ერთად კოწია კანდელაკი, დარისპან დარახველიძე და სოსოსთან მოსული გიმნაზიელი ვანო რამიშვილი—მოწაფეთა არალეგალური წრის წევრი.

ამ დღეს ჩვენ გვქონდა კრება, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე სომეხი მედროგეები. მე იმათ ვუთარგმნიდი იმას, რასაც ამხანაგი სტალინი ქართულად ლაპარაკობდა.

ჩემი ძმა და ვანო რამიშვილი თითქმის დაპატიმრებისთანავე გაანთავისუფლეს, ხოლო ამხანაგი სტალინი და კანდელაკი დიდხანს ისხდნენ ჯერ ბათომის საპყრობილეში, შემდეგ კი ქუთაისისაში.

1903 წელს ამხანაგი სტალინი ქუთაისის საპყრობილიდან კვლავ ბათომს დააბრუნეს და აქედან გემით ციმბირს გაგზავნეს. მას შემდეგ იგი არ მინახავს 1904 წლამდე, როდესაც ბათომში დაბრუნებისას ჩემთან მოვიდა. მაშინ იგი ცხოვრობდა დ. ვადაჭკორიასთან.

ამ ჩამოსვლისას ამხანაგი სტალინი დიდხანს არ დარჩენილა ბათომში. სად გაემგზავრა, არ ვიცი.

ჩვენთან იგი კვლავ ჩამოვიდა 1905 წელს, ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაცხოველებული სადისკუსიო ბრძოლის პერიოდში...

O

როდესაც ვიხსენებ ამხანაგ სტალინის წარსულ რევოლუციურ მოღვაწეობას ბათომში, ბედნიერი ვარ აღვნიშნო, რომ პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ხელმძღვანელობით მოგვიხდა ჩვენ, ბათომის მუშებს, პირველად ჩაბმა ცარიზმთან და ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. ჩვენ ვიყავით ლენინ-სტალინის მიერ შექმნილი დიადი რევოლუციური პროლეტარული არმიის ერთერთი პატარა რაზმი. ამ არმიამ გაიმარჯვა და ახლა პროლეტარიატის ბელადისა და მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხორცშესხმულია ის ოცნება, რომლის განხორციელებისათვის საბრძოლველად მოგვიწოდებდა ჩვენ ამხანაგი სტალინი 35 წლის წინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიადი ისტორიული იუბილე

## მოგონებანი დიდ სტალინზე

1901 წელს ვმუშაობდი ბათომში, როტშილდის ქარხანაში, სადაც ერთხელ — ეს იყო წლის დამლევს — ქ. კანდელაკმა მაცნობა, თბილისიდან ჩამოვიდა ახალგაზრდა პროპაგანდისტი ბათომში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესაქმნელადაო.

მალე ქ. კანდელაკმა გამაცნო იგი. ახალგაზრდა პროპაგანდისტი აღმოჩნდა ამხანაგი სოსო ჯუღაშვილი, ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ჩვენი გაცნობის პირველსავე დღეს ამხანაგმა სტალინმა წინადადება მომცა: დამისახელეთ, თუ ქარხნის რომელი მუშები შეიძლება ჩავაბათ იმ წრეში, რომელსაც ახლა ვადგენთო. ეს დავალება მე სწრაფად შევასრულე. წრეში შევიდნენ: ი. მანჯგალაძე, ს. შანიძე, ე. კოპალეიშვილი, შ. კოპალაძე, მე და კიდევ მთელი რიგი ამხანაგები როტშილდის ქარხნიდან.

ქარხნების მუშათა გარდა, ამხანაგი სოსო ცდილობდა ჩაება წრის მუშაობაში რკინიგზის მუშებიც. მალე ჩვენ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შევძელით სოციალ-დემოკრატიული წრის მოწყობა რკინიგზაზე.

ამხანაგ სტალინის ჩამოსვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ სოციალ-დემოკრატიული წრეები შეიქმნა ბათომის ყველა დიდ ქარხანაში.

დადგა 1901 წლის 31 დეკემბერი. ამ საღამოს ამხანაგ სტალინის ინიციატივითა და მითითებით ბათომის ქარხნების, სტამბისა და რკინიგზის მუშებმა, ახალი წლის შეხვედრის საბაბით, ს. ლომჯარიას სახლში მოაწყეს კრება.

ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა: „გამარჯვების მისაღწევად მუშებმა პირველ რიგში უნდა შექმნან მტკიცე არალეგალური მუშათა პარტია, რომელშიაც უნდა შევიდეს ყველა აქტიური და მუშათა კლასის საქმის ერთგული ამხანაგი. ასეთი ორგანიზაციის საძირკველი, — სთქვა მან, — უკვე არსებობს. ეს არის მუშათა წრეები ცალკეულ საწარმოებში, რომლებიც ახლა საჭიროა გავაერთიანოთ ერთ მძლავრ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად. იდექით მტკიცედ, ამხანაგებო, სიმართლე ჩვენს მხარეზეა, ჩვენი ძალა თვით ჩვენშია და ჩვენი გამარჯვება ჩვენზეა დამოკიდებული".

ამხანაგ სტალინის სიტყვას ყველა დამსწრე უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა. ჩვენ ყველამ იქვე შევფიცეთ ერთმანეთს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ იმ დიადი საქმისათვის, რომლის შესასრულებლად წაგვიყვანს ჩვენი ნიჭიერი მასწავლებელი და ორგანიზატორი.

„ბათომის მუშებისათვის შენ ნამდვილი ჩირაღდანი გახდი და, ჩვენ გვინდა, რომ შენ მუდამ გვინათებდე მუშათა კლასის ბრწყინვალე მომავლისათვის ბრძოლის გზას",—დასძინა სილიბისტრო ლომჯარიამ, მიმართა რა ამხანაგ სტალინს.

ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა დამშვიდებით, დინჯად, წარმტაცად. იგი გვაფრთხილებდა, რომ მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში აუცილებლად იქნება მსხვერპლი; ამხანაგი სტალინი მოგვიწოდებდა — ვიყოთ ბრძოლაში გაბედული და მედგარი და ამას ისეთი გრძნობით გვეუბნებოდა, რომ მიხა გაბუნიამ მოულოდნელად წამოიძახა: „ღმერთმა ნუ მომკლას ჩემს ლოგინშიო".

გათენებისას ამხანაგმა სტალინმა ფანჯარაში გაიხედა და გვითხრა „აი თენდება კიდეც. მაშ ვუსურვოთ ერთმანეთს მოვსწრებოდეთ იმ დღეს, როცა თავისუფლების მზე სამუდამოდ ამობრწყინდება ჩვენს თავზე".

ამხანაგ სტალინთან ეს შეხვედრა ყველა ჩვენთვის დაუვიწყარი დარჩა. ბათომის საწარმოთა აქტივისტი მუშები აქ პირველად გაეცნენ ერთმანეთს. ჩვენ იმედით შევყურებდით მომავალს და უსაზღვრო ნდობით ვეკიდებოდით ჩვენს საყვარელ ორგანიზატორს და ხელმძღვანელს — ამხანაგ სტალინს.

იმ საღამოს ამხანაგი სტალინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ბირთვი.

იმ საღამოს ამხანაგმა სტალინმა ჩვენთან აგრეთვე განიხილა არალეგალური სტამბის ორგანიზაციის საკითხი.

როდესაც შემდგომ დღეებში ჩვენი არალეგალური ორგანიზაციის მუშაობა საკმაოდ ფართოდ გაიშალა, ამხანაგმა სტალინმა წინადადება მოგვცა დაგვეწყო მუშაობა დასავლეთ საქართველოს სოფლებშიაც. „ბათომი, — სთქვა მან, — უნდა გახდეს მთელი დასავლეთ საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ცენტრი".

სოფელთან კავშირის დასამყარებლად მან თვითონ შეარჩია საიმედო ამხანაგები და მისცა მათ კონკრეტული დავალებანი.

ბათომის მუშებში რევოლუციური მუშაობის გამოცოცხლება ყველასათვის თვალსაჩინო გახდა. მეფის ხელისუფალნი და კაპიტალისტები შეშფოთდნენ, მუშებს არაერთხელ გამოუძახეს პოლიციის უფროსის სამმართველოში და ურჩევდნენ, არ დაერღვიათ ქარხნებში მუშაობის ხორმალური მსვლელობა.

თებერვლის დამლევს როტშილდის ქარხანაში გამოაკრეს განცხადება, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ 15 მარტიდან სამუშაოდან ითხოვენ 389 მუშას, ვითომდა შეკვეთების უქონლობის გამო. ჩვენ გავემართეთ ადმინისტრაციასთან და მოვთხოვეთ მას გაეუქმებინა ღამის ცვლა, რითაც თავიდან ავიცილებდით რამდენიმე ასი მუშის დათხოვნას.

ამაზე უარი გვითხრეს. მაშინ ჩვენ გამოვაცხადეთ გაფიცვა.

მთაზე, გემსაშენის მახლობლად (სასაფლაოს ზემოთ) გაიმართა გაფიცვის ხელმძღვანელთა კრება. ამხანაგმა სტალინმა, რომელიც ამ კრებას დაესწრო, ხაზგასმით აღნიშნა: ჩვენს დაწყებულ გაფიცვას სერიოზული ხასიათი აქვს და დიდი სიმტკიცე და შეუპოვრობა უნდა გამოვიჩინოთო. მისი მითითებით შემუშავებულ იქნა მოთხოვნები, რომლებიც ქარხნის ადმინისტრაციისათვის უნდა წარგვედგინა.

გაფიცვამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ ქუთაისიდან ჩამოვიდა გუბერნატორი. მაგრამ მისმა მოლაპარაკებამ მუშებთან არავითარი შედეგი არ გამოიღო, ჩვენ მტკიცედ ვიდექით ჩვენს მოთხოვნებზე.

ამის შემდეგ, 7 მარტს დააპატიმრეს 32 მუშა.

ამ დროისათვის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ლიმან-შვილეში, იმ ბინაზე, სადაც თვითონ ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა, სავსებით მოეწყო ბათომის არალეგალური სტამბა. ამ სტამბაში მაშინ იბეჭდებოდა ფურცლები და პროკლამაციები, რომლებიც მოუწოდებდნენ მუშებს: მტკიცედ იყავით კაპიტალისტებთან ბრძოლაშიო.

8 მარტს როტშილდის ქარხნის გაფიცული მუშები, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, მწყობრი რიგებით მივიდნენ ბათომის საპატიმროსთან და მოითხოვეს წინადღით დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება. ამის პასუხად, ხელისუფალთა ბრძანებით პატიმრები ციხიდან საეტაპო ყაზარმაში გადაიყვანეს და მათთან ერთად იქვე ჩასვეს კიდევ 300-ზე მეტი კაცი დემონსტრანტთა რიცხვიდან.

ამან კიდევ უფრო მეტი აღშფოთება გამოიწვია მუშებში.

იმავე დღეს საღამოს ამხანაგმა სტალინმა მოიწვია აქტივის კრება, რომელზედაც, მისი წინადადებით, გადაწყდა: მოვაწყოთ 9 მარტს ბათომის ყველა საწარმოს მუშათა დემონსტრაცია, გავემართოთ საეტაპო ყაზარმებისაკენ და მოვითხოვოთ დაპატიმრებულ ამხანაგთა განთავისუფლება.

9 მარტს შესდგა მუშათა მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომელიც ყაზარმებთან მივიდა. დაპატიმრებულ მუშათა განთავისუფლების მოთხოვნის პასუხად, გამოწვეულმა სამხედრო ნაწილმა სროლა აგვიტეხა. მე მარცხენა ხელში დავიჭერი.

5 აპრილს ამხანაგი სტალინი დააპატიმრეს. იგი ციხის საიდუმლო საკანში ჰყავდათ და ამიტომ ადვილი არ იყო მასთან კავშირის გაბმა. მაშინ მე შემდეგ ხერხს მივმართე.

ჩემს მეზობლად ცხოვრობდა შეშის ერთერთი საწყობის პატრონი, რომელიც შეშას აწვდიდა ციხეს და რომელსაც პოლიტიკასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა. მე მივმართე მას თხოვნით, როგორმე შევეყვანე საპატიმროს ეზოში, ისეთ დროს კი, როდესაც პატიმრები სასეირნოდ გამოჰყავდათ. მან მითხრა, რომ ციხის ეზოში ერთი კაცი დანარჩენ პატიმრებისაგან განცალკევებით გამოჰყავთო. მისი აღწერით მე მივხვდი, რომ იგი ამხანაგ სტალინზე ლაპარაკობდა.

შეშის საწყობის პატრონმა დახმარება გამიწია და დამპირდა, რომ თავის მაგივრად გამგზავნიდა ციხეში, როგორც მედროგეს.

ახლა საჭირო იყო კიდევ შეეთანხმებინა ამხანაგ სტალინთან ჩვენი შეხვედრის საათი.

ამ მიზნით მე გავიცანი ერთერთი ჩვენი მუშის ძმა (ირანელი ვაჭარი), რომელსაც სხვადასხვა პროდუქტი დაჰქონდა ციხეში პატიმრებისათვის. მე ვთხოვე მას, გადაეცა წერილი ერთერთ პატიმრისათვის და აეწერა ახალგაზრდა სტალინის გარეგნობა. ცოტა მერყეობის შემდეგ მედუქნე დათანხმდა ჩემი თხოვნის შესრულებაზე.

წერილში მე ვაცნობებდი ამხანაგ სტალინს, შემოვალ ციხის ეზოში, როგორც მედროგე-მეთქი. ამხანაგმა სტალინმა მიპასუხა, რომ იგი სასეირნოდ გამოჰყავთ დღის 3 საათზე.

და აი, ერთხელ უახლოეს დღეს, დღის სრულ 3 საათზე, მე შეშით დატვირთული დროგით საპატიმროს ეზოში შევედი. რამდენიმე წუთის შემდეგ ზედამხედველის თანხლებით გამოჩნდა ამხანაგი სტალინიც.

შეშის გადმოტვირთვის დროს თითქოს შემთხვევით გავაბი ლაპარაკი. ზედამხედველი რუსი იყო, ქართული არ იცოდა. ამხანაგმა სტალინმა მოასწრო გადმოეცა ჩემთვის: „დაპატიმრებულებს საჯარო სასამართლოს გადასცემენ. საჭიროა ვექილების მოწვევა. მიმართეთ თბილისში, თბილისელი ამხანაგები გაჰკეთებენ ყველაფერს, რაც კი საჭიროა".

ამგვარად, კონსპირაციის ყოველგვარი საშუალების გამოყენებით ჩვენ განვაგრძობდით კავშირს ამხანაგ სტალინთან.

ამხანაგმა სტალინმა ბათომის ციხეში მთელ ერთ წელიწადს დაჰყო.

1903 წლის 1 მარტს დაიწყო 9 მარტის დემონსტრაციის მონაწილეთა პროცესი. თბილისელი ამხანაგების მეცადინეობის შედეგად ბათომელი მუშების დასაცავად ჩამოვიდნენ საუკეთესო ვექილები. მოსკოვიდან და პეტერბურგიდან — მურავიოვი, სტალი და ანდრონიკაშვილი, თბილისიდან — ნ. ელიავა, ქუთაისიდან — გელაზაროვი და სხვ.

პროცესმა 8 დღეს გასტანა. 8 მარტს საღამოს გამოტანილ იქნა განაჩენი. მუშებს ჩაუთვალეს ერთი წლის პატიმრობა და ყველანი გაანთავისუფლეს. ამხანაგ სტალინის საქმე კი ცალკე იქნა გამოყოფილი.

ამხანაგ სტალინთან ერთად ჩვენ ყველანი ბათომის საპატიმროდან ეტაპით გაგვგზავნეს ქუთაისის საპატიმროში.

სამი თვის შემდეგ დაპატიმრებულთაგან სამი კაცი გაანთავისუფლეს, ხოლო ამხანაგი სტალინი გადაასახლეს ირკუტსკში. იგი გაგზავნეს ზღვით, ბათომით.

შემდეგი ჩვენი შეხვედრა ამხანაგ სტალინთან მოხდა 1905 წელს ბარცხანაში, — ბათომის გარეუბანში. მენშევიკებთან სადისკუსიო კრების დროს.

**გერასიმე კალაძე**



სახლი. ბათომში, ცხაკაიას ქუჩაზე, № 100, სადაც 1902 წელს დაპატიმრებამდე ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა (ახლანდელი სახე)
ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)



ბათომი. მანთაშევის ყოფილი ქარხანა

## პროკლამაცია, დაწერილი ამხანაგ სტალინის მიერ

### „მთელი ქვეყნის მუშებო, შეერთდით"

**ამხანაგებო — მუშებო!**

სულ ოთხი თვე გავიდა მას აქეთ, რაც ხანგრძლივი ძილის შემდეგ ბათუმის მუშამ პირველად აღიმაღლა ხმა სიმართლისა და კავკასიელ თანამოძმეებთან ერთად ზიზღი გამოუცხადა თავის მჩვლეფლებს და მათ მფარველ თვითმპყრობელობას, რომლის სისხლით მოსვრილ ტახტს კიდევაც შესწირა 17 ამხანაგი, ამ მსხვერპლმა უბრალოდ არ ჩაიარა, მან აშკარად დაუმტკიცა ბათუმელ მუშას, რომ გვირგვინოსანი მთავრობა თავისი „ქრისტეს მოყვარე მხედრობითურთ" მუდამ მჩარცველების მფარველია და მუშების ოფლით გასუქებულ კაპიტალისტების ჯიბეს ეთამაშება. მართველობამ პირველად და უკანასკნელათ აიხადა ჩადრი და ბათუმის მუშას წარმოუდგა მთელი თავისი საზიზღრობით. იმ დროს, როდესაც მანთაშოვის ზაოდის მუშები იბრძოდნენ თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, იგი ჩაერია მუშების მოულოდნელად და თავისავე პირით განაცხადა: „რადგან შენ, მიუხედავათ პიროტყვული ცხოვრებისა, მაინც შეიგენი შენი მდგომარეობა, მაშ ეხლა მე გაგიმასპინძლდები ციხეებით და მათრახებითო"...

შემდეგ, მანთაშოვის მუშების გამარჯვებისა, ბრაზმორეული მთავრობა ხაზეინებთან ერთად ჯერაც არ გამორკვეულიყო ღრმა ფიქრებიდამ. როდესაც როტშილდის ზავოდის მუშები გაიფიცნენ 368 ამხანაგების დათხოვნის თაობაზედ.

აქ იგრძნო მთავრობამ თავისი მოწოდება და დღეს მთელმა კავკასიამ და რუსეთმაც კარგათ იცის თუ როგორ ღირსეულად შეასრულა იგი. ამასთანავე კარგათ ვიცით ისიც, თუ რა გმირობა გამოიჩინეს ბათუმელმა მუშებმა თავის სისხლის მწოველებთან ბრძოლაში, თებერვლის დამლევ და მარტის პირველ რიცხვებში, როდესაც როტშილდის ზაოდის მუშათა ბრძოლა მთელ ბათუმელ მუშათა ბრძოლათ გარდაიქცა. რით დააგვირგვინა მთავრობამ ეს ბრძოლა? რით უპასუხა მან მუშებს მათ სამართლიან მოთხოვნილებებზედ?—ტყვიით და 350 კაცის იატაპით გაგზავნით სოფლებში.

მეგობრებო თავზარდაცემულმა მთავრობამ კავკასიის და რუსეთის ყოველ კუთხეში ატეხილი ბრძოლით, უკანასკნელ ზომას მიმართა, რომ ჩვენში ჩაექრო ნაპერწკალი თვითცნობიერებისა, რომ გაეტეხა ჩვენი ერთობა—გაგვგზავნა სოფლებში, სწორეთ იმ სოფლებში, რომლიდგანაც მისივე წყალობით შიმშილს გამოვექეცით.

რომელ ჩვენთაგანს არ ახსოვს ის განსაცდელი, რომელიც იატაპში გაიარა და ის გახრეკილი სოფელი, ჩვეულებრივი ხალხის კვნესა, რომელიც მოსვენებას არ გვაძლევდა ამ სამ თვეს. სამი თვის შემდეგ მთავრობამ, დარწმუნებულმა, რომ ჩვენ კვლავ მზათა ვართ წინანდელ პირობებში ქედ მოხრილი ვიმუშაოდ, დაგვიბარა სოფლებიდგან. ზაოდის ადმინისტრაცია ახალი დირექტორით სათავეში დღე-დღეზედ ელოდებოდა ჩვენგან ბოდიშის მოხდას, მაგრამ როდესაც მათ მოლოდინზე გულცივობით უპასუხეთ, მაშინ თვით დირექტორმა იკადრა ჩვენთან მობრძანება მოსალაპარაკებლათ და ჩვენ სამართლიან მოთხოვნილებებზედ ეშმაკური ღიმილით და შეპირებით გვიპასუხებდა. ბოლოს კი თავისივე პირით წარმოსთქვა: „თქვენ ხართ კლიტე, რომლითაც დღეს ზავოდი დაკეტილია და თქვენს დაკეტილს მხოლოდ თქვენვე გააღებთ, თორემ მე არ ძალმიძს მისი გაღებაო".

იმედ დაკარგული ჩვენი სიმგრით იგი ატრიალებდა ჩვენში ჯაშუშებს, ვითომდა ზოგი იკეტება და ყველა გაფიცულ მუშებს რუსეთში გზავნიანო. როდესაც არც ამ ზომებმა იმოქმედა და არც დირექტორის მეორეთ მოსვლამ, მაშინ მან უკანასკნელ ზომას მიმართა, რომლითაც აშკარად დაგვიმტკიცა თავისი მელიაობა: გამოეცხადა პრიკაშჩიკებს სიტყვიერი რასჩოტი და მოსთხოვა ნამსახურებითი სია, ვითომ და ზავოდს კეტავდა. ამავე დროს კი ჩვენთან ცდილობდა მორიგებას. დაბოლოს ჩვენივე თანხმობით მოხდა მორიგება. შაბათს 22 ივნისს მუშაობა განახლდა შემდეგ პირობებში:

სამუშაო დღე იქნა შემოკლებული ნახევარი საათით, რომელიც დილის საუზმეზე გადავიდა; დადგინდა კვირაუქმეების წინა დღით 8 საათის სამუშაო დღე—მთელი დღის ქირით; 350 კაცს, რომლებიც იატაპით იყვნენ გაგზავნილი თითოს მიეცა ნაღდური 50 მან., 250 კაცს, რომლებიც იატაპით არ იყვნენ გაგზავნილნი მიეცათ თითოს 40 მანეთი; 200 ბავშვს 25 მან., თითეულს დღიურ მომუშავეს მოემატათ ხელფასის მიხედვით 20, 15 და 10 კაპ. ჯორიდებზეც იქნა მომატებული და მოისპო ყოველივე ვიჩიტკები. აგრეთვე ზაოდმა უნდა შემოიღოს აბანო მუშებისათვის.

მეგობრებო! აი ასეთი გამარჯვებით გათავდა ჩვენი ხანგრძლივი გაფიცვა, ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ იყო მომართული: ჯაშუშების მხნე ქადაგება, პოლიციის ძალა, ზავოდის ხრიკები, შიმშილი და სხვ. მაგრამ ყველა ამაებმა მხოლოდ გაგვამაგრა, და აშკარად დაგვანახვა რომ ჩვენ—მუშები მარტონი ვართ, რომელთაც უნდა მოვსპოთ დღევანდელი ცხოვრების უკუღმართობა, რომ ჩვენი ძალა ჩვენს კავშირშია და მხოლოდ ჩვენს ერთობას შეუძლია დაგლიჯოს ის ჯაჭვები, რომლითაც შებოჭვილი ვართ დღევანდელი წესწყობილებისაგან. დღეს კავკასიელი თანამოძმეები გვილოცავენ ბრწყინვალე გამარჯვებას და საზოგადოებაც აშკარად ხედავს თუ რა ძალას წარმოვადგენთ ჩვენ.

ნუ დაგავიწყდებათ, მეგობრებო, რომ ეს უფლებები, რომლებიც მანთაშოვის ხაჩატრიანცის ზაოდის მუშებმაც მოითხოვეს ამ დღეებში, ბრძოლის ნაყოფია და მხოლოდ მაშინ აქვსთ მათ ძალა, როდესაც ჩვენ მზათა ვართ მათ დასაცველად კაპიტალისტებისა და მთავრობის მახეებისაგან.

მაშ ძმებო, ჩვენი გამარჯვებით გამხნევებულებმა, მთლად ბათუმელ მუშათა კავშირით შეერთებულებმა შორეულ თანამოძმეთა ხმას ჩვენი ძლიერი ხმაც მივაწვდინოთ:

„ბრძოლა და ბრძოლა მედგარი,
ეს ჩვენი წმინდა ვალია.
აწმყოს დაეცა თავზარი
ახლოს სჩანს მომავალია!"

**გაუმარჯოს პატიოსან მებრძოლთ და ჩვენს კავშირს!**

**ძირს თვითმპყრობელობა!**

**გაუმარჯოს დემოკრატიულ კონსტიტუციას!**

საუკუნოდ იყოს ხსენება ჩვენი ძვირფასი მეგობრებისა.

ბათუმელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი 29 ივნისი 1902 წ.

პორფილე ქურიძე

## ამხანაგი სტალინი—ბათომის მუშათა ბრძოლის ორგანიზატორი

როტშილდის ქარხანაში მუშაობა 1888 წელს დავიწყე. იქ გავეცანი ივანე მგელაძეს.

ივანემ გამაცნო ბათომის ინტელიგენცია: ბესარიონ კალანდაძე, მისი ძმები გერონტი და მიხაკო კალანდაძეები, შემდეგ კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი, გრიშა სოლორაშვილი, ევგენი სოლორაშვილი და სხვ. ამ პირებმა მოაწყეს საკვირაო სკოლა ჯერ ბათომში, შემდეგ ბარცხანაში. საკვირაო სკოლაში როტშილდის ქარხნიდან დაიარებოდნენ მუშები: ივანე მგელაძე, ივანე დუდუჩავა, იოსებ დუდუჩავა, ფარნაოზ დუდუჩავა, გერმანე ხვიჩია, მიხაკო ფირცხალაიშვილი და სხვ. სკოლაში ასწავლიდნენ ისიდორე რამიშვილი და კარლო ჩხეიძე.

1900 და 1901 წლებში ბათომის მუშებს შორის იზრდება უკმაყოფილება საწარმოთა პატრონების წინააღმდეგ. ჩვენ 15-16 საათს ვმუშაობდით, ხოლო დღიური ხელფასი ძალიან უმნიშვნელო გვქონდა შექმნილი მდგომარეობიდან ვერავითარ გამოსავალს ვერ ვხედავდით.

ჩვენი მასწავლებლები—კ. ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი და სხვ. უარჰყოფდნენ მუშათა არალეგალური პოლიტიკური ორგანიზაციის აუცილებლობას, გამოდიოდნენ რევოლუციური სავაფიცვო ბრძოლის წინააღმდეგ, ამბობდნენ, რომ ეს ვერ გამოიწვევს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებასაო!

ქ. ბათომში მუშათა ბრძოლა მხოლოდ ამხანაგ სტალინის ჩამოსვლის შემდეგ იწყება.

1901 წლის დამლევს ჩემთან მოვიდა კოწია კანდელაკი და მითხრა: „ჩამოვიდა კაცი, რომელსაც სურს მუშაობა მუშებს შორის". ეს ვაცნობეთ რამდენიმე საიმედო ამხანაგს და შევიკრიბენით ჩვენს ოთახში. მოვიდა ამხ. სოსო (სტალინი).

პირველსავე საუბარში ამხანაგმა სტალინმა განგვიმარტა ჩვენი სიღარიბისა და ჩაგვრის მიზეზები; იგი ამბობდა, რომ მუშათა და გლეხთა აუტანელი მდგომარეობის მიზეზს წარმოადგენს მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობა. იგი გვიხსნიდა, რომ მუშათა კლასი მოწოდებულია დაამხოს საძულველი თვითმპყრობელობა, დაამყაროს დემოკრატიული რესპუბლიკა და იბრძოლოს შემდეგ სოციალისტური წყობილებისათვის, სადაც არ იქნებიან არც ღარიბები, არც მდიდრები, არც ნაციონალური ჩაგვრა, სადაც გაბატონებული იქნება თავისუფალი შრომა. მისმა სიტყვამ ძლიერ იმოქმედა ჩვენზე.

ამ კრების შემდეგ, ამხანაგ სტალინის მითითების თანახმად, ჩვენ მოვაწყეთ წრეები და დავაარსეთ სალარო. წრეები იქმნებოდა 10 კაცისაგან ათისთავის მეთაურობით. მოკლე ხნის განმავლობაში ამხანაგმა სოსომ ჩვენს ქარხანაში მოაწყო 11 წრე. ერთი ღამის განმავლობაში ამხანაგ სოსოს რამდენიმე ადგილას უხდებოდა მეცადინეობის ჩატარება.

როცა საკვირაო სკოლის მასწავლებლებმა შეიტყეს, რომ თბილისიდან ჩამოვიდა პროპაგანდისტი, რომელიც მუშებთან მეცადინეობს, სთხოვეს ამხანაგ სოსოს მისულიყო მათთან.

ჩვენ, მუშები, აგრეთვე ვურჩევდით ამხანაგ სოსოს წასულიყო და გასცნობოდა მათ, მაგრამ მან გვითხრა:—„მე მათთან არ წავალ, ისინი კაბინეტის ხალხია და გაურბიან ნამდვილ პოლიტიკურ ბრძოლასო".

ამის შემდეგ ბათომის ინტელიგენციასა და ამხანაგ სოსოს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ჩვენ სოსოს მომხრეებს „სოსოისტებს" გვეძახდნენ.

თავის მუშაობაში სოსო პირველ რიგში აყენებდა პოლიტიკურ ბრძოლას მეფის ხელისუფლებისა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ. ინტელიგენტები კი „მესამე დასიდან" კ. ჩხეიძე, რამიშვილი და სხვ. მეტ ყურადღებას აქცევდნენ მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს და ამის მიღწევას ისინი ფიქრობდნენ მშვიდობიანი გზით.

1901 წლის დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ამხანაგმა სოსომ წინადადება მოგვცა—მოვაწყოთ ახალი წლის შეხვედრა საქარხნო წრეების წარმომადგენლებთან ერთად.

ახალწლის ღამეს სილიბისტრო ლომჯარიას ბინაზე შეიკრიბნენ ამხანაგები ყველა ქარხნიდან. დამსწრეთა შორის იყვნენ: ქ. კანდელაკი, ქ. კალანდაროვი, დათიკო ჩარკვიანი, ქიშვარდი ცერცვაძე, თეოფილე გოგიბერიძე, იოსებ დუდუჩავა, ივანე დუდუჩავა, გერასიმე ხვიჩია, გერასიმე კალაძე, დავით ლომთათიძე, ფრიდონ ლომთათიძე, სილიბისტრო და პორფილე ლომჯარიები, მიხა გაბუნია, პავლე დოლბაძე, სილიბისტრო თოდრია და სხვ.

თამადად ავირჩიეთ მიხა გაბუნია. მას უნდოდა პირველად ამხანაგ სტალინის სადღეგრძელო დაელია, მაგრამ ამხანაგმა სტალინმა უარჰყო ეს და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ლაპარაკობდა იმაზე, რომ მუშები უნდა დაირაზმონ და გაერთიანებული რიგებით იბრძოდნენ ცარიზმისა და ბურჟუაზიის დასამხობად. თავისი სიტყვა ამხანაგმა სოსომ ასე დაამთავრა—„ვიბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენ გვჩაგრავს, და რუსეთის მუშათა კლასთან ერთად წითელი დროშებით წავიდეთ მტრის წინააღმდეგ, რათა გამარჯვებულნი დავბრუნდეთ ბრძოლის ველიდან. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს სიკვდილისა. მაშ შევწიროთ ჩვენი სიცოცხლე მუშათა განთავისუფლების საქმეს".

ამხანაგ სოსოს ამ შესანიშნავი სიტყვებით აღელვებულმა მიხა გაბუნიამ წამოიძახა: „ღმერთმა ნუ მომკლას ჩემს ლოგინშიო".

ამ კრებაზე ჩამოყალიბდა ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.

გათენებისას ამხანაგმა სტალინმა მოგვმართა:—„თენდება. აი ასე ნათელი იქნება ჩვენი ცხოვრება მომავალში, როდესაც მოვიპოვებთ ყველა უფლებას და თავს დავაღწევთ ამ აუტანელი მდგომარეობის კლანჭებს. და თუ ჩვენ ვერ მოვესწრებით ბედნიერ დღეს,—ჩვენი შვილები და შვილიშვილები მაინც მოესწრებიან მას. მაშინ არ იქნება მუშათა ექსპლოატაცია, კლასობრივი ბრძოლა და გაიმარჯვებს საყოველთაო შრომა, სასიხარულო ცხოვრება".

ჩვენ გვიყვარდა სოსო და გვჯეროდა მისი, ვინაიდან იგი მთელი სულითა და გულით მუშების ერთგული იყო.

მუშების პირველი შეტაკება ადმინისტრაციასთან როტშილდის ქარხნის ხანძართან დაკავშირებით მოხდა. ცეცხლი გაუჩნდა ხე-ტყის მასალის საწყობს; ძნელი იყო მისი ჩაქრობა. გააჩერეს ქარხანა და გამოიყვანეს მუშები ხანძრის ჩასაქრობად; ხანძრის ჩაქრობისათვის ადმინისტრაცია ფულის მოცემას დაგვპირდა, მაგრამ როცა ჩვენ ხანძრის შემდეგ კუთვნილი თანხა მოვითხოვეთ, ადმინისტრაციამ უარი გვითხრა. ამხანაგ სოსოს რჩევით, ჩვენ საღამოს. მუშაობის შემდეგ შევიკრიბენით კანტორის წინ და გაფიცვის მუქარით მოვითხოვეთ დაპირებული ფულის მოცემა. მახსოვს, ადმინისტრაცია იძულებული გახდა დათანხმებულიყო და ხანძრის ჩაქრობის თვითეული მონაწილესათვის მიეცა ორორი მანეთი. ორი მანეთი ხვდა ამხანაგ სოსოსაც. მაგრამ მან ეს ფული არ აიღო და გადმოგვცა ჩვენ სალაროში გადასაცემად.

ამის შემდეგ ადმინისტრაციამ იწყო შემჩნევა, რომ ჩვენ რაღაც უჩვეულოდ გვიჭირავს თავი, რომ ჩვენ უკვე აღარა ვართ ყურმოჭრილი მონები.

მალე როტშილდის ქარხანაში მოხდა გრანდიოზული გაფიცვა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ 26 თებერვალს ღამით გამოაცხადეს 389 მუშის დათხოვნა სამუშაოს შემცირების გამო. ვხედავდით, რომ ითხოვდნენ აქტიურ და მოწინავე მუშებს, რომლებიც ადმინისტრაციას „საშიშად" მიაჩნდა.

1902 წლის 27 თებერვალს ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეცხადებინა გაფიცვა ყველა საამქროში. დაუყოვნებლივ გავგზავნეთ კაცი ამხანაგ სოსოსთან, მაგრამ იგი თბილისში წასული აღმოჩნდა. გვესაჭიროებოდა ხელმძღვანელი, საჭირო იყო მოთხოვნების წარდგენა, გვჭირდებოდა რჩევა-დარიგება და მითითებანი, ხოლო სოსო არ იყო. მეორე დღეს ამხანაგი სოსო ჩამოვიდა და მაშინვე მოგვიყარა თავი თათბირზე ლომჯარიას ბინაზე. ჩვენ ვუამბეთ მას ყველაფერი. ძალიან გაეხარდა, როცა შეიტყო, რომ ასე ერთსულოვნად გამოვაცხადეთ გაფიცვა.

ამხანაგმა სოსომ შეადგინა ჩვენი მოთხოვნები. ამ მოთხოვნების ძირითადი პუნქტები იყო: 1) სამუშაო დღის შემცირება, 2) ხელფასის გადიდება, 3) მუშებთან თავაზიანი მოპყრობა, 4) გაცდენილი დროის ანაზღაურება და ა. შ. უკანასკნელ მოთხოვნას სოსომ მიაწერა: „როცა ვმუშაობთ, ხელფასს ვღებულობთ, მაგრამ როცა სამუშაო არ არის, ქარხნის ადმინისტრაცია მაშინაც ვალდებულია მისცეს მუშებს ხელფასი".

თათბირის მონაწილენი ამ აზრს არ იზიარებდნენ, ამბობდნენ—ადმინისტრაცია ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებსო. „მეც ვიცი, რომ არ დააკმაყოფილებს,—სთქვა სოსომ, — მაგრამ დაე იყოს მიწერილი ბოლოში. ნუ ფიქრობთ, რომ ეს რაღაც დიდი რამ არის, ეს—თვითეული ცხოველის უფლებაა". ამხანაგი სოსო გვირჩევდა ბოლოს ასე მიგვეწერა: —„თქვენ გყავთ ცხენები, რომლებსაც ჰკვებავთ, როცა ამუშავებთ, მაგრამ როცა ისინი არ მუშაობენ, თქვენ მაშინაც აძლევთ მათ საკვებს. ჩვენ, ადამიანები, მოვითხოვთ ასეთსავე უფლებას".

სოსოს სიტყვებმა ისე აგვაფრთოვანა, რომ თეოფილე გოგიბერიძემ თავი ვერ შეიკავა და წამოიძახა: „ღმერთმა გაცოცხლოს, სად იყავი აქამდის!?".

ამხანაგი სოსო მკვეთრად განირჩეოდა სხვა განათლებული ადამიანებისაგან. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენ, მუშებმა, მას, ასეთ ახალგაზრდას, „მოძღვარი" ვუწოდეთ.

მეორე დღეს შეგვატყობინეს, ქუთაისიდან ჩამოვიდა გუბერნატორი სმაგინი, ქარხანაში დგას ქვეითი ჯარი და უნდა გამოვცხადდეთ ქარხანაშიო. ამხანაგმა სოსომ დაწვრილებით აგვიხსნა, თუ როგორ უნდა დაგვეჭირა თავი გუბერნატორთან მოლაპარაკების დროს.

ჩვენ შევიკრიბენით დიდ საწყობში. აქ იყვნენ გუბერნატორი, ქარხნის ადმინისტრაცია და ჩაფრების უფროსი—ცნობილი ლევან გურიელი. ჩვენ მოვითხოვთ, რომ გურიელს გუბერნატორისათვის წაეკითხნა და გადაეთარგმნა ჩვენი მოთხოვნები.

გურიელი კითხულობს ჩვენს მოთხოვნებს, ადმინისტრაცია უსმენს, გუბერნატორი კი ტუჩებს იკვნეტს. უკანასკნელი მოთხოვნის წაკითხვის დროს მან ვერ მოითმინა და დაიყვირა: „სად გინახავთ, რომ მუშა არ მუშაობდეს და ფულს ღებულობდესო" და მოკლედ მოგვიჭრა: „გიბრძანებთ, ხვალ, როგორც კი ქარხანაში საყვირს მისცემენ, ყველა გამოცხადდეს და დაიკავოს თავისი ადგილი. ვინც ამას არ შეასრულებს, ის ციმბირში იქნება გადასახლებული".

იმავე ღამეს დააპატიმრეს 32 მოწინავე მუშა.

ამხანაგ სოსოს რჩევის თანახმად გადაწყდა მეორე დღეს შევკრებილიყავით ყველა მუშა და მოგვეთხოვა დაპატიმრებულთა განთავისუფლება. 8 მარტს გამოვედით მთელი ქარხნის მუშები, გავიარეთ ბაზარი და, მივუახლოვდით რა პოლიციის სამმართველოს, მოვითხოვეთ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება. მაგრამ ამაზე უარი გვითხრეს.

ამის შემდეგ გავემართეთ საპატიმროსაკენ და მივუახლოვდით კარებს. აქ გარს შემოგვერტყნენ ჯარისკაცები. მოვიდა გუბერნატორის თანაშემწე დრიაგინი. ჩვენ მოვითხოვეთ ან გაანთავისუფლეთ დაპატიმრებული ამხანაგები, ან ჩვენც დაგვაპატიმრეთო. ჯარისკაცებს უბრძანეს კონდახებით ვეცემნეთ. ჯარისკაცები დაგვერივნენ, მაგრამ ვერ შესძლეს ჩვენი გაფანტვა. შემდეგ გამოგვიცხადეს, დაპატიმრებულ ამხანაგებს საეტაპო ყაზარმებში გადავიყვანთო. დემონსტრანტები ყაზარმებისაკენ გაემართნენ.

ამხანაგი სოსო ჩვენთან იყო და გაგვაფრთხილა: „ნუ გაიქცევით, თორემ გესვრიან". სოსომ წინადადება მოგვცა დაგვეწყო სიმღერა. მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით რევოლუციური სიმღერები და ვიმღერეთ „ალი ფაშა".

საეტაპო ყაზარმის ეზოში პოლიცია და ჯარისკაცები გარს შემოერტყნენ დემონსტრანტთა ნაწილს. დემონსტრანტებიდან 300-ზე მეტი კაცი ყაზარმებში დაამწყვდიეს. ეს იყო 8 მარტი.

9 მარტს დილიდან მუშებმა იწყეს თავმოყრა ქუჩაში, სადაც ყაზარმები იყო მოთავსებული. ჩვენ, დაპატიმრებულები, მივხვდით, რომ სოსოს მოეწყო გაფიცვა ყველა ქარხანაში და გამოეყვანა მუშები, რომლებიც მოითხოვდნენ ჩვენს განთავისუფლებას.

ჩვენ ყაზარმის მეორე სართულზე ვიდექით და ყველაფერს ვხედავდით. მოდის გუბერნატორის თანაშემწე. მოჰყავთ ჯარისკაცები. მუშები დაჟინებით მოითხოვენ ჩვენს განთავისუფლებას. გუბერნატორის თანაშემწე დრიაგინი უპასუხებს, რომ მას არაფრის გაკეთება არ შეუძლიან, სანამ არ მიიღებს განკარგულებას ქუთაისიდან. დაპატიმრებულთა ნაწილმა ჩამოგლიჯა საეტაპო ყაზარმების კარები და შეუერთდა დემონსტრანტებს. კაპიტანი ანთაძე ცხენიდან ჩამოხტა და უბრძანა ჯარისკაცებს ესროლათ. გაისმა შეძახილები:—„ნუ გეშინიანთ, ფუჭი ვაზნებს ისვრიან". შემდეგ მე დავინახე, თუ როგორ დაეცა მიწაზე რამდენიმე მუშა.

მეორე დღეს საეტაპო ყაზარმებში მოიტანეს პროკლამაციები. ყველა მიხვდა, რომ პროკლამაციები დაწერილი იყო სოსოს მიერ და დაბეჭდილი იმ დაზგაზე, რომელიც მან ეს-ეს არის თვითონვე ჩამოიტანა თბილისიდან. ამხანაგი სოსო გვამხნევებდა, მთავრობას კი წყევაკრულვას უთვლიდა უდანაშაულო და უიარაღო მუშათა სისხლის დაღვრისათვის, პროკლამაციის ქვეშ იყო წარწერა—„რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათომის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი".

9 მარტის ამბების შემდეგ გამოცემულ ერთ პროკლამაციაში, რომელიც ჩვენს სოფელში მოიტანეს, წავიკითხე:—„ვიდრე როტშილდის ქარხნის თუნდაც ერთი გაფიცული მუშა ცოცხალია, ქარხნის მუშაობის განახლებას ვერავინ შესძლებსო".

ივნისში ჩვენ წინადადება მოგვცეს: დაბრუნდით ბათომს და გამოცხადდით ქარხანაშიო. ქარხნის ახალ დირექტორს გადაეწყვიტნა მიეღწია მუშებთან შეთანხმებისათვის მოლაპარაკების გზით.

ჩემთან ბინაზე მოვიდნენ მიშა დავითაშვილი, გ. ელისაბედაშვილი და სხვ. ამხანაგები, რომლებიც სოსომ თბილისიდან დაიბარა თავისი დაპატიმრების შემდეგ. ისინი დაგვეხმარნენ ახალი მოთხოვნების შედგენაში. თითქმის ყველა ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

ჩვენ განვაგრძობდით კავშირს ამხანაგ სოსოსთან.

იგი საპატიმროდანაც უწევდა ხელმძღვანელობას ჩვენს ბრძოლას.

1903 წლის შემოდგომაზე ამხანაგი სტალინი გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც გამოიქცა 1904 წლის დამდეგს და დაბრუნდა ჩვენთან ბათომში. მან მაშინვე განუმარტა მუშებს, ბათომის კომიტეტში მოიკალათეს მენშევიკებმა და ნოე რამიშვილს, როგორც მის სხვა მეგობრებს, არ უნდა ენდოთო.

მალე ამხანაგი სოსო თბილისს გაემგზავრა და სათავეში ჩაუდგა რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის საკავშირო კომიტეტს.

B. № 176

МИНИСТЕРСТВО ЮСТИЦІИ.
ГЛАВНОЕ ТЮРЕМНОЕ УПРАВЛЕНІЕ.
Дѣлопроизводство IV
административно-хозяйственное

17 Августа 1903 года.

№ [illegible]

Господину Военному Губернатору Батумской области

На основаніи ВЫСОЧАЙШАГО повелѣнія, послѣдовавшаго 9 Іюля 1903 года по всеподданнѣйшему докладу Министра Юстиціи крестьянинъ Іосифъ Виссаріоновъ ДЖУГАШВИЛИ за государственное преступленіе, подлежитъ высылкѣ въ Восточную Сибирь подъ гласный надзоръ полиціи срокомъ на три года.

Вслѣдствіе сего Главное Тюремное Управленіе имѣетъ честь покорнѣйше просить Ваше Превосходительство сдѣлать распоряженіе о высылкѣ поименованнаго Джугашвили, содержащагося въ Батумскомъ тюремномъ замкѣ въ вѣдѣніе Иркутскаго Военнаго Генералъ-Губернатора, черезъ Новороссійскъ, Ростовъ, Царицынъ и Самару съ очередной арестантской партіей.

Прилагаемое при семъ извѣщеніе Департамента Полиціи за № 9520 подлежитъ возвращенію, по предъявленіи названному лицу, непосредственно въ означенный Департаментъ.

За Начальника Главнаго Тюремнаго Управленія [подпись]

Вѣрно: Дѣлопроизводитель [подпись]

# ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲛᲐ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲔᲜᲢᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲢᲐᲚᲦᲐ

**ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 10 იანვარი.** (საქინფორმი). ქალაქის ყველა საწარმოსა და დაწესებულებებში და ახალმშენებლობებზე გაიმართა მრავალრიცხოვანი დიდი პარტიული კრებები, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის მიერ რსდმპ ბათუმის ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი კომიტეტის ორგანიზაციისადმი. პარტიის წევრთა ასი პროცენტით დასწრების გარდა, კრებაზე მოვიდა აგრეთვე ბევრი კომკავშირელი და უპარტიო.

ბათუმის ნავთსახდელ ქარხნებში კრებაზე გამოვიდა 1901 წლის 31 დეკემბრის იმ საღამოს მონაწილე, როცა ჩამოყალიბდა ბათუმის პირველი კომიტეტი, ამხ. ლომჯარია. სხვა საწარმოებში გამოვიდნენ ძველი მუშები, რომელნიც მეცადინეობდნენ ბელადის წრეებში და მუშაობდნენ დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ყველა გამოსვლაში, აგრეთვე რეზოლუციებში ბათუმის მშრომელებმა კიდევ ერთხელ ცხადჰყვეს უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, მისი მესაჭისადმი, რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მივყევართ — დიდ სტალინისადმი.

წლისთავის დღესასწაულობამ ახალი საწარმოო ენტუზიაზმი გამოიწვია ბათუმის საწარმოებში, რომელთა კოლექტივებმა იკისრეს მთელი რიგი ახალი ვალდებულებანი.

○

**ᲡᲝᲮᲣᲛᲘ, 11 იანვარი.** (საქინფორმი) 300-ზე მეტი პარტკომის მდივანი პარტორგები, აგიტატორები, წამკითხველ-მესაუბრენი და პროპაგანდისტები, შეიკრიბნენ პროფსაბჭოს დარბაზში, რათა მოესმინათ მოხსენება ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ ბათუმის ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი კომიტეტის ორგანიზაციის 35 წლისთავის შესახებ.

ამ ისტორიულ ამბისადმი უდიდეს ინტერესის მაჩვენებელია უამრავი შეკითხვები, რომლებიც მომხსენებელს მისცეს ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

**ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ, 11 იანვარი** (საქინფორმი). დიდი აღტკინებით ჩატარდა რაიონული პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის მიერ რსდმპ ბათუმის ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი კომიტეტის ორგანიზაციის 35 წლისთავისადმი.

პარტაქტივის კრებამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა უფრო ღრმად შესწავლილ იქნეს ამხ. ლ. ბერიას მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის საკითხისათვის“.

მქუხარე ტაშის გრიალში დამსწრეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს საქართველოს და ამიერკავკასიის მებრძოლ ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას.

○

**ᲒᲝᲠᲘ, 11 იანვარი** (საქინფორმი). გორის რაიონის პარტიული ორგანიზაცია დიდი სტალინის მიერ რსდმპ ბათუმის ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი კომიტეტის ორგანიზაციის 35 წლისთავს აღნიშნავს ამხ. ლ. ბერიას მოხსენების ღრმად შესწავლით პარტგანათლების ქსელში.

აგიტატორები და წამკითხველები აწყობენ საუბრებსა და ამხ. ლ. ბერიას მოხსენების „ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის საკითხისათვის“ პირველი განყოფილების წაკითხვას.

საკონსერვო და ხე-ტყის სახერხი ქარხნების პარტიულმა კაბინეტებმა მოაწყეს ამ შესანიშნავი წლისთავისადმი მიძღვნილი სპეციალური კუთხეები, რომლებიც ასახავენ დიდი სტალინის ცხოვრებასა და მუშაობას ბათუმში.

ᲞᲠᲝᲙᲚᲐᲛᲐᲪᲘᲐ, ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

# მთელი ქვეყნის მუშებო შეერთდით

**ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ ᲛᲣᲨᲔᲑᲝ!**

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც საზიზღარმა და პატიოსან მუშათა სისხლის მსმელმა მთავრობამ მკაფიოთ დაგვიმტკიცა თავისი სისაძაგლე, მტარვალობა და ფლიდობა. მან, როგორც ერთად-ერთმა ძლიერმა მტერმა მუშათა კეთილდღეობისამ, არ დაგვტოვა ჩვენც დაუსჯელი: შემდეგ პატიოსნური და მოქალაქეობრივი სიმამაცისა, რაიც გამოვხატეთ ჩვენი სისხლის მწოველ როტშილდთან ბრძოლაში, მთავრობამ, ამ კაპიტალისტების მონამ, ზოგნი დაგვაპატიმრა, ზოგნი, რომ შევეშინებინეთ დაგვითხოვა ზაოდიდან ულუკმა-პუროთ, მოგვიკლა გვერდში მყოფნი, სულით და გულით საყვარელნი, თანამოჭირნახულენი და თანამებრძოლნი მეგობარნი. აი რით გაგვიმასპინძლდნენ ჩვენ მუშებს ზაოდის ადმინისტრაცია და მისი მცველი მთავრობა, როდესაც სიმართლეს ვლაღადებდით და ჩვენს საკეთილდღეოთ თავისუფლათ ვიბრძოდით, სისხლი და შურის ძიება იმ მთავრობას, რომელიც უდიერათ ქელავს ჩვენს მოქალაქობრიობას, სისხლი იმ სამართალს, რომელიც სცდილობს ჩვენს დამონებას და სულის შეხუთვას!

რით სურს მთავრობას დაგვაჩუმოს ჩვენ? ძალმომრეობით? რით სურს გაუმასპინძლდეს ჩვენს სიმშილს? ტყვიით? არა, ვერ გაგვაჩუმებს ჩვენ მისი ხიშტები, ვერ დაახშობს მისი სიმკაცრე ჩვენში თავისუფლების მოყვარულობას, გავმხნევდეთ ძმებო, სიმართლე ჩვენსკენაა, ჩვენი ძალა ჩვენშია და ჩვენი კეთილდღეობაც ჩვენზეა დამოკიდებული. ძმებო, ერთათ და ერთხმათ მოვსთხოვოთ ჩვენს მუქთახორებს შემდეგი: სანამ ზაოდს სამუშაო აქვს უნდა ყველანი გვამუშაოს და, როდესაც დროებით შეჩერდება მუშაობა—ნახევარი ჯამაგირი გვეძლიოს; მოგვცეს ნაცდური და პრაგონი, დაჭერილი ამხანაგები (დათხოვნილნიც) იქნენ მიღებულნი ზაოდში დაუბრკოლებლათ, მაშინვე როდესაც იგინი ადგილს მოითხოვენ; უთავბოლოთ არ გვშტრაფავდნენ, შტრაფი არ აღემატებოდეს ჯამაგირის მესამედს და შტრაფისაგან აღებული ფული კანონისამებრ მოხმარდეს მუშებსვე, დაშტრაფულთა სია იქნას გამოკიდული მაშინათვე, რომ მუშამ პასუხი დროზე გასცეს. თუ ვინმეს გვითხოვენ, მაშინ უნდა კანონისამებრ გამოგვეცხადოს ორი კვირით ადრე და თუ ზაოდს არ სურს ჩვენი იქ მუშაობა, მაშინ მოგვცეს ორი კვირის ჯამაგირი, ყველა დღიურ მუშებს მოემატოს აბაზი ქირა. კვირა უქმეს წინა დღეს მუშაობა თავდებოდეს ნაშუადღევის ოთხ საათზე და იწყებოდეს ჩვეულებრივათ. სამუშაო დღე არ აღემატებოდეს ათ საათს და გამოკლებული ნახევარი საათი საუზმეს მოხმარდეს. ზაოდმა უთუოდ დაითხოვოს სამსახურიდამ: მიხაილ ცხოიძე და ედვარდ ხარაზოვი, დასასრულ დათხოვნილი იქნას სამსახურიდამ ის პირნი, რომელნიც უდიერათ ეპყრობიან, სცემენ, ქრთამს იღებენ მუშებისაგან და სხ. ყველა ეს აასრულოს ზაოდმა პირველსავე მოთხოვნისამებრ.

წვრილი მოთხოვნილებანი: ა. ყუტის განყოფილება.

1. ცარიელი ბანკების ვაგონეტკებით გადამზიდავთ მიემატოს ათას ბანკაზე ერთი კაპეიკი და მოეხსნათ ვიჩიტკა. 2. პაიალჩიკებს, ფეჩზედ მომუშავეთ მიეცეთ თანაშემწე ზაოდისაგან და მოესპოთ ვიჩიტკა, 3. რუჩკის მკეთებლებს მოემატოს 10 კაპ. ათასზე და მოეხსნას ვიჩიტკა, 4. კაპსოლის მუშებს მოემატოს 10 კაპ. ათასზე და მოეხსნას ვიჩიტკა, 5. ზაგიბკის, პრესის, კრიშკის და დონიშკის მუშებს მოეხსნას ვიჩიტკა, 6. რაზლივკის კაპსოლჩიკებს მოემატოს 10 კაპ. ათასზედ და მოეხსნას ვიჩიტკა, 7. კალის მდნობელთ მოემატოს ერთი კაპეიკი ფუთ გადამდნარ კალაზე.

ბ. ხერხის განყოფილება;

1. ფიცრის მომტან არტელს მოემატოს ათას იაშჩიკზე ერთი აბაზი, 2. ხერხსა და შალაშინს მოეხსნას ორი სმაზჩიკი და ერთი შორნიკი, რომელთაც ჯამაგირი აძლიოს ზაოდმა, ამათვე მოეხსნათ ვიჩიტკა, რომელიც ხმარდება იაშჩიკის დაპაჩინკებას. 3. ვალჩიკს მოემატოს სამი შაური ათასზედ. 4. ხუშტარას მოეხსნას შეწერილი დანის მლესავი და სმაზჩიკი, ზაოდმა აძლიოს მათ ჯამაგირი, მოეხსნას ვიჩიტკა და საქონელი იმავე ფასებში დარჩეს. 5. საჭედ სტანოკს მოეხსნას ვიჩიტკა, შეწერილი კაცები და წინანდელ ფასებში დარჩეს. 6. საბეჭდ სტანოკს მოემატოს 10 კაპ. ათას დაბეჭდილზე, 7. ტრაფარეტის აკორდებს მოემატოს ორი შაური ათასზედ.

ჯერ კიდევ არ დაგვვიწყებია და არც დაგვავიწყდება ის დრო როცა ამ მოთხოვნილებების გასაყვანათ, აწ განსვენებულნი მეგობარნი ჩვენთან ერთად იბრძოდნენ. ჯერედაც არ დაშლილა მათი გვამი საფლავში რომელნიც სიკვდილის დროსაც მომაკვდავი ტუჩებით ბრძოლას გვიანდერძებდნენ. არ დაგვავიწყდეს, რომ „ბრძოლას გაგრძელება“ უნდა და მამაცობაც ახლაა საჭირო, ამიტომ ერთათ ვეტაკნეთ ჩვენს მტერს და ერთადვე გამარჯვებულნი დავბრუნდეთ ბრძოლის ველიდან. „ასე ვიბრძოლოთ მანამდის ხმა ჩვენი ყველას მისწვდება, სანამდი მუშათა მკლავები ბრძოლისთვის გამოიწრთობა“. ვიბრძოლოთ მათ წინაამდეგ, ვინც ასე ჰქელავს ჩვენს პიროვნებას, და რუსეთში მყოფ მეგობრებთან ერთად, მუშების წითელ დროშის ქვეშ თამამათ შევსძახოთ:

**გაუმარჯოს პატიოსან მებრძოლთ, გაუმარჯოს ჩვენს კავშირს, გაუმარჯოს თავისუფლებას, სიმართლეს, თანასწორობას!**

**ძირს საზიზღარი თვითმპყრობელობა.**

**გაუმარჯოს დემოკრატიულ კონსტიტუციას!**

საუკუნოდ იყოს ჩვენი დაკარგული მეგობრების ხსენება.

**ბათომის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, 1902 წ. 10 ივნისი.**



ბათომი. სახლი, რომელშიც ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა მუშებთან — კალანდაროვთან და კანდელაკთან.

# ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

სოციალიზმის ინდუსტრიის დიდი სარდლის ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოწოდებას მეტალურგთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1937 წელს გაგრძელების შესახებ საქართველოში პირველად ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სტახანოველები გამოეხმაურნენ. მათ გამოიწვიეს ტყიბულის და ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროები, მაგრამ ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებიდან და ავჭალის თუჯისა და ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნიდან ჯერჯერობით გამოწვევაზე პასუხი არ ჩანს.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა უკვე ჩაება მეტალურგთა სოციალისტურ შეჯიბრებაში. „კომუნისტი“ გუშინ, 11 იანვარს, ტელეფონით დაუკავშირდა ქარხნის ტექნიკურ დირექტორს ინჟ. ილ. ნიჟარაძეს, მოგვყავს საუბარი.

**თბილისი, რედაქცია:** როგორ მიდის მეტალურგთა სოციალისტური შეჯიბრება?

**ამხ. ნიჟარაძე:** როგორც კი გავიგეთ ამხ. სერგო ორჯონიკიძის ბრძანება 1937 წელს მეტალურგთა სოციალისტური შეჯიბრების გაგრძელების შესახებ, მაშინვე მოვიწვიეთ მთელი ქარხნის ინჟინრებისა და სტახანოველების საქარხნო კრება. ქარხნის უფროსმა მდნობელებმა, მექურეებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა ერთხმად მოიწონეს სახალხო კომისრის ბრძანება და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ ჩელიაბინსკისა და ზაპოროჟსტალის მეტალურგიული ქარხნები.

**რედაქცია:** თქვენი ვალდებულებები გაუგზავნეთ ზაპოროჟსტალსა და ჩელიაბინსკს?

**ამხ. ნიჟარაძე:** დიახ, გავუგზავნეთ.

**რედაქცია:** როგორია ეს ვალდებულებანი?

**ამხ. ნიჟარაძე:** ჩვენი ვალდებულებაა 1937 წლის გეგმის შესრულება ვადაზე ადრე, საპროექტო სიმძლავრის ათვისება...

**რედაქცია:** [illegible]

**ამხ. ნიჟარაძე:** დღეისთვის 46,8 ტონა ფერომარგანეცის, 16,9 ტონა ფეროსილიცუმისა და 33,5 ტონა სილიკომარგანეცის გამოშვება. სულ წელს ქვეყანას უნდა მივცეთ 38.565 ტონა ფეროშენადნობი. ფულად გამოხატულებაში, გასაყიდი ფასის მიხედვით, ეს შეადგენს 66 მილიონ მანეთის პროდუქციას. ჩვენ წელს ვითვისებთ ახალშენადნობებს: სილიკოკალციუმს, მეტალურ ქრომს, მეტალურ მარგანეცს და ფერომოლიბდენს. შეჯიბრების შემდეგი მაჩვენებელია 1936 წელთან შედარებით თვითღირებულების შემცირება 15 პროცენტით, ყველა შენადნობზე ელექტროენერგიის ხარჯის შემცირება 10 პროცენტით, ტექნიკურ სწავლებაში 460 კაცის ჩაბმა და 1937 წელს ქარხანაში ახლად მიღებულ მუშათა მთელი 100 პროცენტის გატარება ტექნიკურ წრეებში, ტრამვატიზმის ნულამდე დაყვანა.

**რედაქცია:** ჩელიაბინსკიდან და ზაპოროჟსტალიდან თქვენს გამოწვევაზე პასუხი მიიღეთ?

**ამხ. ნიჟარაძე:** ჩვენ მათ გამოწვევა გავუგზავნეთ 7 იანვარს, პასუხი ჯერ არ მიგვიღია, პასუხს, ალბათ, ამ დღეებში გვაცნობებენ.

**რედაქცია:** ახლა რაზე მუშაობთ?

**ამხ. ნიჟარაძე:** საცდელ ქარხანაში ვადნობთ სილიკოკალციუმს, იგი გამოვადნეთ 8 ტონამდე, ვადნობთ ფერომოლიბდენსაც.

**რედაქცია:** მეტალურგთა შეჯიბრებას კარგი ცნობები მოაქვს, დნეპროპეტროვსკში, კომინტერნის სახელობის ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადემ ამხ. ჩაიკოვსკიმ მარტენის № 1 ღუმელზე 5 იანვარს საკავშირო რეკორდი დაამყარა, ღუმელის ერთი კვადრატული მეტრი ქვედიდან 18,6 ტონა ფოლადი მიიღო.

**ამხ. ნიჟარაძე:** დიდი გამარჯვებაა... გმადლობთ ახალი ცნობისათვის. ჩვენც მთელი ენერგიით ვიბრძოლებთ ახალი რეკორდებისათვის, შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

◇ ◇ ◇

# ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები ღებულობენ ჭიათურის მარგანეცის მაღაროელთა გამოწვევას 1937 წელს მეტალურგთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. ხელშეკრულების გასაფორმებლად ქვანახშირის მაღაროების დელეგაცია ტყიბულში მიემგზავრება 17 იანვარს.

**საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომი ვ. ᲨᲐᲢᲑᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**
**მაღაროების ტრესტის მმართველი ᲝᲣᲠᲝᲣᲨᲘᲫᲔ.**
**მაღარკომი ᲓᲐᲠᲐᲮᲕᲔᲚᲘᲫᲔ.**

◇ ◇ ◇

# ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲘᲡ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

## ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲮᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲡ

ცხაკაიას რაიონის კოლხიდის ზონის პარტორგანიზაციების ხელმძღვანელების, სოფსაბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირებისა და აგროპერსონალის თათბირმა განიხილა კოლხიდის ამოშრობილი ფართობების ასათვისებლად 1937 წელს ჩასატარებელი ღონისძიებანი. თათბირის მონაწილეებმა ვიკისრეთ შემდეგი ვალდებულებები:

15 მარტამდე დავამთავროთ კოლმეურნეობათა ტერიტორიაზე კოლხიდმშენის მიერ გაყვანილი წვრილი არხების მთლიანად გაწმენდა 167 კილომეტრის სიგრძეზე. ც. კ-ის აგვისტოს პლენუმზე ამხ. ლ. ბერიას მიერ მოცემული მითითებების თანახმად არხებზე მოვაწყოთ ბოგირები გადასასვლელები და ავლკვეთოთ არხების გაფუჭება-დანგრევის ყოველგვარი შემთხვევები.

არხების სრულ წესრიგში მოყვანის სამუშაოთა ვადაზე დამთავრებისა და არხების სანიმუშოდ შენახვისათვის სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ ხობის რაიონის კოლმეურნეობებს. არბიტრებად ვასახელებთ: საქ. მიწსახკომიდან ამხ. ბერიძეს, კოლხიდმშენიდან—ამხ. საჯაიას და „კომუნისტის“ რედაქციიდან ამხ. დ. კომახიძეს.

ამოშრობილი ფართობების გეგმიანად ათვისების მიზნით უკვე ვიწყებთ ტყეების გაკაფვას და ყამირების გატეხას.

**(ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ 45 ᲙᲐᲪᲘ).**

ᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲥᲝᲠᲥᲘᲐ

# ᲛᲖᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

(ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲔᲞᲝᲞᲔᲘᲓᲐᲜ)

**I.**

ბათომი საახალწლოდ ემზადება. მიდის ძველი წელი და მოდის ახალი. არავინ იცის რას მოიტანს ეს ახალი, მაგრამ მაინც სიმღერითა და სიხარულით ხვდებიან. ასეთია წესი. შუბლშეკრული არავინ უნდა შეხვდეს ახალ წელს: არც დიდი, არც პატარა, არც მდიდარი, არც ღარიბი.

ამიტომ ფუსფუსებს ძველი წლის მიწურულს ბაზარი და სავსე კალათები იგზავნება სახლებში. ზოგის კალათა დიდია, ზოგის პატარა. იმედს კი ყველგან ფართო თვალები გაუღია.

როტშილდის ქარხნის მუშის სილიბისტრო ლომჯარიას სახლშიც ფართო თვალებით შემოდის ახალი წელი. დილიდანვე დატრიალდნენ სილიბისტრო და მისი ცოლი: ეზო მოასუფთავეს, სახლი მორთეს, სუფრა გაშალეს. გრძელ მაგიდაზე ბოთლები გაამწკრივეს. მაგიდას სკამები მიუდგეს. სკამები რომ არ ეყოთ, ერთგან ტახტი მისწიეს: უფრო შინაურები აქ ჩამოსხდებიანო.

სავანგებოდ მოურთავს ოთახი დიასახლისს. ოთახის კედელზე ხალიჩა ჰკიდია. ხალიჩაზე სილიბისტროს იარაღი. ხალიჩის თავზე შუა ალაგას რუსთაველის დიდი სურათი. სურათის ქვეშ დიასახლისს ყვავილების კონა ჩამოუკიდნია. ოთახის მეორე კედელზე ჩონგური ჰკიდია. ჩონგურს ახლოს ბურბუშელას ფოჩებია. იქვე მარჯნისაგან მოქსოვილი ქოში ჰკიდია, ქოშში სურათიანი ღია ბარათები ძევს. აქვე ფოტოსურათებია ჩამწკრივებული. შუაში თვით სილიბისტროს სურათია. სილიბისტრო ახოვანი ვაჟკაცია, ტარიელსა ჰგავს. მჟღილის სისხო თვალები მამაცურად გამოიყურება. შავი ულვაშები ზევით აუგ-

ესაა. რამდენი ხანია საკვირაო სკოლაში დავდივართ და ასეთი ამბები, „მოძღვარი“*) რომ გვეუბნება, არავის უთქვამს.

— მართალი ხარ, თეოფილე! — უპასუხა მეორემ. — სოსოს რომ ყურს ვუგდებ, რაღაცა ცეცხლი მედება.

— ს.. ს.. ს., „მოძღვარი“-თქო, — გააფრთხილა თეოფილემ თანამგზავრი. — ქუჩაში ვართ. ეს ოხერი მთვარეც როგორ ანათებს!

ორმა ლანდმა შუკაში შეუხვია.

კიდევ ორი.

— იცი, მირიან! — ამბობს ერთი. — თვენახევარია, რაც ჩამოვიდა „მოძღვარი“, და რამდენი რამ გააკეთა. საქმე, ძმაო, კაცშია. თუ ხელმძღვანელი ვარგა, საქმეც გაიჩარხება.

— მჯერა, გერონტი! — უპასუხა მირიანმა. — მე განსაკუთრებით მომხიბლა მისმა სიტყვებმა: „ჩვენს საქმეში ლაჩრები არ გამოდგებიან“-ო. მართლაც, თუ ბრძოლა გინდა, იარაღისა არ უნდა გეშინოდეს.

— ხა.. ხა.. ხა.. შენ, მირიან, იარაღით მებრძოლი გახდები! აი, ნახავ.

— რა ვიცი. მხოლოდ ეს ვიცი, საითაც ის წამიყვანს, იქით წავალ.

მთვარემ თავი ჩარგო ღრუბლებში და ორივე ლანდი ბნელმა დაჰფარა.

კიდევ ორი. ესენი მტკიცედ მიდიან. ერთი დაჯერებულად ამბობს:

— ერთ თვეში ამდენი წრის დაარსება ცოტა საქმეა? ყველა დიდ ქარხანაში გვყავს წრე. ეს რომ კარლომ იცოდეს... რას იტყვი, ივანე?

— კარლო ჩვენ არალეგალური მუშაობისათვის არ გამოგვადგებაო, მითხრა „მოძღვარმა“, — დაემოწმა ივანე.

— მართალი უთქვამს. მათ ლექციებით უნდათ რევოლუციის მოხდენა.

— მართლაც ისტორიული. ეხ, დარისპან, იწყება... შეტევაზე გადავდივართ!.. — აღტაცებით სთქვა პორფილემ.

რომელღაც სახლში ფანჯარა ჭრიალით გაიღო და მოისმა ქალის ტკბილი, აბრეშუმივით რბილი ხმა:

„ოხ, მთვარევ, მთვარევ,
ჩაგრულთ იმედო!
მსურს ჩემი ტანჯვა, მთვარევ,
შენ გაგიბედო!“

— სჯობია მიხა იყოს, — სთქვა სილიბისტრომ. — მე ხშირად უნდა გავიდე გარეთ. იქით შევხედო, აქეთ შევხედო.

— მართალია! — დაუდასტურეს სილიბისტროს. — მიხას გაუმარჯოს, მიხას!

— ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, — გამოაცხადა მიხამ და წამოდგა. ჭიქა ასწია. — ძმებო, ეს ჩვენი შეხვედრა, ღმერთმა ჰქნას, ბედნიერი იყოს. დღეს ყველა ხვდება ახალ წელს. ჩვენც ვხვდებით ჩვენს რიგებში, ჩვენს ოჯახში. ძველმა წელმა

— ამხანაგებო! — დაიწყო სოსომ და ისე წარმტაცად და გასაგებად ააგო სიტყვა, თითქოს საუცხოოდ დაწერილი წიგნი გადაშალაო.

უსმენს კრება იმ დიდ წიგნს. თითქოს იფურცლება ის წიგნი, შრიალებს და მომჯადოებელი ცხადი სურათები თვალწინ უდგება კრებას.

აი ქარხანა. მუშა. კაპიტალისტი. ყველაფერს მუშა ჰქმნის, თვითონ კი არაფერი აქვს. რატომ? იმიტომ რომ მუშების ნა-

სუფრა მიხვდა და წამოიჭრა ფეხზე. და ისევ გაისმა „მრავალ-ჟამიერ“.

— ახლა განვაგრძოთ, — დაიწყო სოსომ.

და თითქოს კვლავ გადაფურცლა იმ წიგნის ახალი თავი:

ბათომის ს. დ. ლენინურ-ისკრული ორგანიზაცია.

**4.**

— დიასახლისი შემოვიდა და ფართო

დარჩა უკან და გაჰყვა ძველ წელს. მეორე ნაწილი გაიშალა წინ და შეეგება ახალ წელს. იმ ნაწილში, რომელიც უკან დარჩა, იყო სიბნელე, დამცირება, უუფლებობა, ყვლეფა და მონურად ქედის მოხრა თვითმპყრობელური მთავრობის წინაშე. იმ ნაწილში, წინ რომ იშლებოდა, იყო მეორე ცხოვრება, მზიანი, ფართოგზებიანი, ხიფათიანი, მაგრამ გმირული და სამართლიანი, ვაჟკაცური და მიმზიდველი. წინ იდგა მეფე ნიკოლოზი, გარს ეხვივნენ მე-

---

*) მოძღვარი — [illegible] 1901-2-3 წ. წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

# ტექნიკუმების, მუშფაკების, მოზრდილთა სკოლებისა და საბავშვო სახლების პედაგოგიური პერსონალისათვის შრომის ხელფასის მომატების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

I

1. მოემატოთ 1937 წლის 1 თებერვლიდან შრომის ხელფასი ტექნიკუმების (გარდა პედაგოგიური ტექნიკუმებისა, სადაც შრ მის ხელფასი მომატებულ.ია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი 1936 წლის 9 აპრილის დადგენილებით), საშუალო სამედიცინო და სამართლის სკოლების, სამხატვრო, მუსიკალური, თეატრალური და ქორეოგრაფიული სასწავლებლებისა და მუშფაკებას მასწავლებლებს, დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებს და დაწესდეს მათთვის შრომის ხელფასის შემდეგი განაკვეთები თვეში (მანეთებით):

| მუშაკთა კატეგორია | ქალაქებსა და მუშათა დაბებში — პედაგოგიური მუშაობის სტაჟით: 5 წელზე ნაკლები | 5 წლიდან 10 წ. | 10 წელზე მეტი | სასოფლო ადგილებში: 5 წელზე ნაკლები | 5 წ. 10 წლამდე | 10 წელზე მეტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა) დედაენის, ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების, უცხო ენების, აგრეთვე სპეციალური საგნების მასწავლებლები შესაბამის ტექნიკუმებსა, სკოლებსა, სასწავლებლებსა და მუშფაკებში: | | | | | | |
| I თანრიგი — რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ . . . . | 340 | 380 | 405 | 310 | 350 | 380 |
| II თანრიგი — რომელთაც უმაღლესი განათლება დასრულებული არ აქვთ . . . . . | 295 | 325 | 350 | 275 | 305 | 325 |
| ბ) ხაზვის, შრომის, ფიზკულტურის და სამხედრო საქმის მასწავლებლები: | | | | | | |
| I თანრიგი — რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ . . . . | 275 | 305 | 330 | 245 | 275 | 295 |
| II თანრიგი — რომელთაც უმაღლესი განათლება დასრულებული არ აქვთ . . . . . . . . . | 240 | 260 | 280 | 220 | 240 | 260 |

| მუშაკთა კატეგორია | სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვით: 300 კაცამ. | 300 კაცზე მეტი |
|---|---|---|
| გ) „ა“ პუნქტში აღნიშნულ სასწავლებელთა დირექტორები: | | |
| I თანრიგი — რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ . . . . | 475 | 570 |
| II თანრიგი — რომელთაც უმაღლესი განათლება დასრულებული არ აქვთ . . . . . . . | 310 | 380 |
| დ) „ა“ პუნქტში აღნიშნული სასწავლებელთა სასწავლო ნაწილის გამგეები: | | |
| I თანრიგი — რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ . . . . | 335 | 430 |
| II თანრიგი — რომელთაც უმაღლესი განათლება დასრულებული არ აქვთ . . . . . . . | 260 | 330 |

2. დაწესდეს იმ მასწავლებელთათვის, რომელთაც მხოლოდ საშუალო განათლება აქვთ, შრომის ხელფასის განაკვეთები 10 პროცენტით ნაკლები იმ მასწავლებელთა განაკვეთებზე, რომელთაც უმაღლესი განათლება დასრულებული არ აქვთ (II თანრიგი).

3. I მუხლში აღნიშნულ სასწავლებელთა მასწავლებლებისათვის ზემოთდაწესებული შრომის ხელფასის განაკვეთები გადახდილი იქნება დღეში 3 საათის სამასწავლებლო მუშაობისათვის.

მუსიკალურ, სამხატვრო, თეატრალურ და ქორეოგრაფიულ სასწავლებლებში ინდივიდუალურ-ჯგუფური სწავლებისათვის და ფიზკულტურის ტექნიკუმებში პრაქტიკული ვარჯიშობისათვის ზემოთდაწესებული განაკვეთები გადახდილი იქნება დღეში 4 საათის მუშაობისათვის.

4. გავრცელდეს ტექნიკუმების, საშუალო სამედიცინო და სამართლის სკოლების, სამხატვრო, მუსიკალური, თეატრალური და ქორეოგრაფიული სასწავლებლებისა და მუშფაკების მასწავლებლებსა, დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებზე შესაბამისად 3, 5, 6, 10 და 11 მუხლები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 9 აპრილის დადგენილებისა „მასწავლებლებისა და სხვა სასკოლო მუშაკებისათვის შრომის ხელფასის მომატების შესახებ“.

II

1. მოემატოთ 1937 წ. 1 თებერვლიდან შრომის ხელფასი წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებს, მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებსა და დირექტორებს და დაწესდეს მათთვის შრომის ხელფასის შემდეგი განაკვეთები თვეში (მანეთებით):

| მუშაკთა კატეგორია | ქალაქებსა და მუშათა დაბებში — პედაგოგიურ მუშაობის სტაჟით: 5 წელზე ნაკლები | 5 წლიდან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი | სასოფლო ადგილებში: 5 წელზე ნაკლები | 5 წლიდან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა) წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლები: | | | | | | |
| I თანრიგი — რომელთაც საშუალო - პედაგოგიური განათლება აქვთ . . . . . . . | 230 | 255 | 280 | 205 | 230 | 255 |
| II თანრიგი — რომელთაც საერთო-საშუალო განათლება აქვთ . . | 205 | 220 | 240 | 185 | 200 | 215 |
| ბ) მასწავლებლები მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლების I, II და III კლასებისა, რომლებიც ბავშვთა არასრული საშუალო და საშუალო სკოლის V—VII კლასებს შეესაბამებიან: | | | | | | |
| I თანრიგი — რომელთაც საშუალო განათლება აქვთ . . . | 280 | 315 | 340 | 255 | 290 | 315 |
| II თანრიგი — რომელთაც ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტები დაამთავრეს . . . . . . | 255 | 280 | 305 | 230 | 255 | 270 |
| გ) მასწავლებლები მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლების IV, V და VI კლასებისა (რომლებიც ბავშვთა საშუალო სკოლის VIII—X კლასებს შეესაბამებიან): | | | | | | |
| I თანრიგი — რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ . . . | 305 | 340 | 360 | 275 | 315 | 340 |
| II თანრიგი — რომელთაც უმაღლესი განათლება არ აქვთ დასრულებული . . . . . . . | 265 | 290 | 315 | 245 | 270 | 290 |

| მუშაკთა კატეგორიები | სკოლებში მოსწავლეთა რიცხვით: 90 კაცამდე სტაჟით: 5 წლამდე | 5 წლიდან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი | 90 კაციდან 150 კაცამდე სტაჟით: 5 წლამდე | 5 წლიდან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი | 150 კაცზე მეტი სტაჟით: 5 წლამდე | 5 წლიდან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ) მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლების დირექტორები: | | | | | | | | | |
| ქალაქებსა და მუშათა დაბებში . | 290 | 315 | 340 | 300 | 325 | 350 | 325 | 350 | 380 |
| სასოფლო ადგილებში . . . . . | 245 | 270 | 300 | 260 | 290 | 315 | 290 | 320 | 340 |

2. იმ მაღალი ტიპის მოზრდილთა სკოლების დირექტორებისათვის, რომელთაც 150-მდე მოსწავლე ჰყავთ, 1 მუხლის „დ“ პუნქტში დაწესებული ხელფასის განაკვეთები შეიცავენ ორი საათის სავალდებულო ყოველდღიური სამასწავლებლო მუშაობის ანაზღაურებას.

3. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებს, რომლებიც ერთდროულად ამ სკოლების გამგეები არიან, დამატებით ეძლევათ გამგეობისათვის:

სკოლებში მოსწავლეთა რიცხვით 50-მდე—30 მან. თვეში.

სკოლებში მოსწავლეთა რიცხვით 100-მდე—40 მან. თვეში.

სკოლებში 100-ზე მეტი მოსწავლით—50 მან. თვეში.

გამგეები სკოლებისა 250-ზე მეტი მოსწავლით თავისუფლდებიან სამასწავლებლო მუშაობისაგან და ხელფასს ღებულობენ შესაბამისი თანრიგის მასწავლებლის განაკვეთით 50 მან. წამატებით თვეში.

4. ზემოდდაწესებული შრომის ხელფასის განაკვეთები ეძლევათ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა მასწავლებლებს ფაქტიურად ჩატარებული ყოველდღიური 4 საათის სასწავლო მეცადინეობისათვის, ხოლო მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებს —ფაქტიურად ჩატარებული ყოველდღიური 3 საათის სასწავლო მეცადინეობისათვის.

სამასწავლებლო მუშაობის დამატებითი საათების ანაზღაურება ხდება დამატებით მისაღები განაკვეთის შესაბამისად.

5. გავრცელდეს წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებზე, მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებსა და დირექტორებზე შესაბამისად 2,3, 9,10 და 11 მუხლები, ხოლო მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებზე — აგრეთვე 5 მუხლი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 9 აპრილის დადგენილებისა „მასწავლებლებისა და სხვა სასკოლო მუშაკებისათვის შრომის ხელფასის მომატების შესახებ“.

III

1. მოემატოთ 1937 წლის 1 თებერვლიდან შრომის ხელფასი საბავშვო სახლებისა და მიმღებ-განმანაწილებელთა აღმზრდელებსა და სხვა მუშაკებს და დაწესდეს მათთვის შრომის ხელფასის შემდეგი განაკვეთები თვეში (მანეთებით):

| მუშაკთა კატეგორია | ქალაქებსა და მუშათა დაბებში სტაჟით: 5 წელზე ნაკლები | 5 წლიდან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი | სასოფლო ადგილებში სტაჟით: 5 წელზე ნაკლები | 5 წლიდან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა) აღმზრდელები და შრომის ინსტრუქტორები საბავშვო სახლებში: | | | | | | |
| I თანრიგი—რომელთაც საშუალო პედაგოგიური განათლება აქვთ... | 230 | 255 | 280 | 205 | 230 | 255 |
| II თანრიგი—რომელთაც საერთო საშუალო განათლება აქვთ. | 205 | 220 | 240 | 185 | 200 | 215 |

| მუშაკთა კატეგორია | სტაჟით: 5 წელზე ნაკლები | 5 წლიდან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი |
|---|---|---|---|
| ბ) საბავშვო სახლებისა და მიმღებ-განმანაწილებელთა გამგეები: | | | |
| 100-მდე ბავშვით . . . . . . . . | 320 | 350 | 380 |
| 100-დან 150-მდე ბავშვით . . . | 330 | 360 | 390 |
| 150-ზე მეტი ბავშვით . . . . . | 360 | 390 | 420 |

2. დაწესდეს საბავშვო სახლების აღმზრდელებისა და შრომის ინსტრუქტორებისათვის, რომელთაც საშუალო განათლება დასრულებული არა აქვთ იმ აღმზრდელებისა და ინსტრუქტორების განაკვეთებზე 10 პროცენტით ნაკლები ხელფასის განაკვეთები, რომელთაც საერთო საშუალო განათლება აქვთ (II თანრიგის), ხოლო იმ აღმზრდელებისა და შრომის ინსტრუქტორებისათვის, რომელთაც უმაღლესი პედაგოგიური განათლება აქვთ, იმ აღმზრდელებისა და ინსტრუქტორების განაკვეთებზე 10 პროცენტით მეტი ხელფასის განაკვეთები, რომელთაც საშუალო პედაგოგიური განათლება აქვთ (I თანრიგის).

3. დაწესდეს საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგეებისათვის ამ სახლების გამგეთა განაკვეთებზე 20 პროცენტით ნაკლები ხელფასის განაკვეთები.

4. ზემოთდაწესებული ხელფასის განაკვეთები ეძლევათ საბავშვო სახლების აღმზრდელებს 5 საათის აღმზრდელობითი მუშაობისათვის დღეში, ხოლო შრომის ინსტრუქტორებს —4 საათის მუშაობისათვის დღეში.

მუშაობის დამატებითი საათების ანაზღაურება ხდება დამატებით მისაღები განაკვეთის შესაბამისად.

5. ხელფასის განაკვეთები იმ საბავშვო სახლების აღმზრდელებისა და ინსტრუქტორებისა, სადაც განსაკუთრებული რეჟიმია (გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისათვის, ყრუ-მუნჯებისათვის, ბრმებისათვის და სხვ.), და მიმღებ-განმანაწილებელთა აღმზრდელებისა დაწესდეს ნორმალური ტიპის საბავშვო სახლების მუშაკთა ხელფასის განაკვეთებზე 25 პროცენტით მეტი.

6. დაწესდეს, რომ საბავშვო სახლების გამგეებს და საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგეებს შეუძლიათ აწარმოონ სამასწავლებლო მუშაობა ან შრომის ინსტრუქტორების მუშაობა საბავშვო სახლებთან არსებულ სკოლებში მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ აქვთ პედაგოგიური მომზადება, მასთან ეს მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს დღეში ორ საათს.

ეს მუშაობა ანაზღაურდება დამატებით მასწავლებლის ან შრომის ინსტრუქტორის განაკვეთის გამოანგარიშების მიხედვით.

7. გავრცელდეს საბავშვო სახლებისა და მიმღებ-განმანაწილებელთა ზემოთდასახელებულ მუშაკებზე შესაბამისად 3, 10 და 11 მუხლები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 9 აპრილის დადგენილებისა „მასწავლებლებისა და სხვა სასკოლო მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ“.

## საქართველოს სს რესპუბლიკაში მსუბუქი, კვების და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატების შექმნის ნებადართვის შესახებ

### სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-83 მუხლის შესაბამისად, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

1. დაკმაყოფილებულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა და ნება დაერთოს შეიქმნას საქართველოს სს რესპუბლიკაში შემდეგი საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები:

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს დებულებანი იმ სახალხო კომისარიატების შესახებ, რომლებიც ახლა იქმნება.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. აკულოვი.**

მოსკოვი, კრემლი
11 იანვარი 1937 წ.

## საქართველოს სახკომსაბჭოში

### 1937 წ. პირველი კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა 1937 წლის პირველი კვარტალის სახალხო სამეურნეო გეგმა.

რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების მოცულობა 1937 წ. პირველი კვარტალისათვის (1926-27 წლ. ფასებში).

დამტკიცებულია 67.020,5 ათასი მანეთის რაოდენობით—მომატება 5,6 პროცენტით 1936 წ. მეოთხე კვარტალთან შედარებით და 42,3 პროცენტით გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით. რაიაღმასკომთან მრეწველობის ხაზით საერთო პროდუქციის გამოშვების მოცულობა დამტკიცებულია 7.606.200 მანეთის რაოდენობით, დანარჩენი სახელმწიფო მრეწველობის ხაზით— 13.387.600 მანეთის რაოდენობით.

სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის გამოშვების გეგმა 1937 წ. პირველი კვარტალისათვის დამტკიცებულია (1932 წ. ფასებში) 47.539.800 მან. რაოდენობით—15,8 პროცენტით მეტი, ვიდრე 1936 წ. პირველ კვარტალში.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა 1937 წ. პირველ კვარტალში დამტკიცებულია 547.900.000 მანეთის რაოდენობით—0,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1936 წ. მეოთხე კვარტალში—22,5 პროცენტით მეტი, ვიდრე 1936 წლის პირველ კვარტალში. საცალო საქონელბრუნვა ქალაქში დამტკიცებულია 3845 მილიონ მანეთის რაოდენობით, სოფლად—163,4 მილიონ მანეთის რაოდენობით (საქდესი).

# ლენინგრადელ რკინიგზელთა მოწოდების საპასუხოდ

## მოსკოვის რკინიგზელები ეხმაურებიან ლენინგრადელებს

**მოსკოვი**, 10 იანვარი (საქდესი). ლენინგრადელ რკინიგზელთა წერილს სსრ კავშირის ხალხთა ბელადის—ამხანაგ სტალინისადმი დიდი აღფრთოვანებით იხილავდნენ გუშინ სადგურის დეპოსა და სავაგონო უბნების მუშათა მასობრივ კრებებზე.

პასუხად თავიანთი სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის საბრძოლო მოწოდებისა და ლენინგრადელ რკინიგზელთა წერილისა სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და ტრანსპორტის დამკვრელთა და სტახანოველ კრივონოსელთა ახალი სტალინური გაწვევის შესახებ—რკინიგზელები კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს ბოლშევიკურად ჩაატარონ ზამთარი ტრანსპორტზე, მთლიანად და გადაჭარბებით აუცილებლად შეასრულონ დატვირთვის, გადმოტვირთვისა და გადაზიდვის სახელმწიფო გეგმა.

რკინიგზელები აქტიურად ეხმაურებიან ლენინგრადელთა ლოზუნგს —არცერთი მუშაკი, რომელიც ნორმას არ ითვისებს და არ ასრულებს, არცერთი ჩამორჩენილი უბანი რკინიგზის ტრანსპორტზე! იანვარი, თებერვალი და მარტი არის და უნდა იყოს რკინიგზის ტრანსპორტზე სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობის თვეები.

ლენინგრადელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ლენინის რკინიგზის დეპოების—მოსკოვ-დამხარისხებლებისა და მოსკოვ-სამგზავროს მუშაკები. ამ მოწოდების პასუხად, წერილის განხილვის შემდეგ, მოსკოვი—დამხარისხებელი დეპოს მუშებმა, მეთაურებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი.

რკინიგზელები ბოლშევიკური საქმეებით უპასუხებენ თავისი სახკომის საბრძოლო მოწოდებას და ჰპატაკს 1936 წელს დატვირთვისა და გადატვირთვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.



ხაშურის ელდეპოში პრაქტიკას გადიან საბჭოთა კავშირის სხვა რკინიგზების მემანქანეები და ტრანსპორტის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები. ამჟამად დეპოში მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ელექტროტექნიკური ინსტიტუტის 43 სტუდენტია პრაქტიკაზე. სურათზე: პერიოდული რემონტის საამქროს ხელოსანი ამხ. ვლ. გაჩიძე ამეცადინებს პრაქტიკანტ სტუდენტებს.
ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

## დეპოელების სიტყვა

ლენინის ქალაქის რკინიგზელთა მიმართვამ საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადის და ოქტომბრის რევოლუციის დიდი მესაჭის ამხანაგ სტალინისადმი ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა თბილისის დეპოს მუშებში. 11 იანვარს, შეიტყვეს თუ არა დეპოელებმა ლენინგრადელი რკინიგზელების მიმართვა ბელადისადმი შეიკრიბნენ საქარხნო კლუბში, რათა გამოეთქვათ აზრი და საქვეყნოდ განეცხადებიათ ვალდებულებანი, რომლებსაც კისრულობენ ისინი პარტიისა და ქვეყნის წინაშე. შაბაშის შემდეგ, ნაშუადღევის 4 საათზე დეპოს მუშათა კლუბის დარბაზი აივსო მუშებით — ხარატებით, მერემონტეებით, მემანქანეებით და სხვა პროფესიის მუშებით.

მოხსენებით ლენინგრადელი რკინიგზელთა მიმართვის შესახებ გამოვიდა ა.-კ. რკინიგზების პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ჟორჟოლაძე.

სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველი და კრივონოსელი მუშები და მემანქანეები — ამხ. მაკარაშვილი, კორინევი, ბერამოვი, ტურკინი, ობოლაშვილი, შემანსკი, ტურხანოვი, დეპოს უფროსი ამხ. კაჭახიძე, მანთაშევი და სხვ.—სულ 18-მდე კაცი. ყველა მათგანი კისრულობდა სხვადასხვა ვალდებულებათა შესრულებას, დაუღალავ ბრძოლას, რათა ამიერ-კავკასიის რკინიგზა კვლავ მოწინავედ დარჩეს და ერთერთმა პირველთაგანმა შეასრულოს მეორე ხუთწლედის გეგმა.

დეპოს მუშებმა, საერთო კრებაზე, ლენინგრადელ რკინიგზელთა მიმართვასთან გაცნობისას იკისრეს შემდეგი ვალდებულებანი:

მიიღონ ყველა ზომა, რათა ამიერკავკასიის რკინიგზებზე გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად იტვირთებოდეს და განიტვირთებოდეს 500 ვაგონი.

იმუშაონ უავარიოდ, აღმოფხვრან უბედური შემთხვევები და იანვრის განმავლობაშივე მიაღწიონ ისეთ მდგომარეობას, რომ ყოველი ორთქლმავალი დღელამეში გადიოდეს საშუალოდ 229 კილომეტრს, ნაცვლად 186 კილომეტრისა, რომელსაც გადიოდნენ ორთქლმავლები 1936 წლის დეკემბერში.

გარეცხვათაშორისო გადარბენის მანძილი „ლ“ და „სუ“ სერიის ორთქლმავალთათვის გაზარდონ 15.000 კილომეტრამდე, ახალი ნორმის—10.000 კილომეტრის ნაცვლად; „ეგ“-ეს სერიის ორთქლმავალთათვის გადარბენის მანძილი გაადიდონ 10.000 კილომეტრამდე, ნაცვლად ახალი ნორმის მიხედვით დაწესებული 8.000 კილომეტრისა; მცირეძალოვანი ორთქლმავლებისათვის კი ეს მანძილი აიყვანონ 6.000 კილომეტრამდე, ნაცვლად ახალი ნორმით გათვალისწინებული 5.000 კილომეტრისა.

იანვარშივე ავადმყოფ ორთქლმავალთა პროცენტი დაიყვანონ 7,3-მდე, ნაცვლად 13,2 პროცენტისა, რაც გასულ დეკემბერში იყო.

არ დაუშვან მატარებლების შემადგენლობათათვის ორთქლმავლების მიუწოდებლობისა არცერთი შემთხვევა.

არაუგვიანეს თებერვლისა შიაღწიონ ორთქლმავლებზე საწვავი მასალის ეკონომიას ნორმასთან შედარებით 6 პროცენტით მაინც.

მიაღწიონ რემონტის მაღალ ხარისხს და მოაგვარონ საქმე ისე, რომ თვითეულ ცვლაში რემონტიდან გამოდიოდეს ერთი ორთქლმავალი.

არ ეყოლოთ არც ერთი მუშა, რომელსაც შეთვისებული ჰქონდეს ნორმები და ჩაბარებული არ ჰქონდეს ტექმინიმუმის ნორმები.

— დეპოს მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, — ნათქვამია საერთო კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში, ყველანი თავდადებით ვიბრძოლებთ და პირნათლად შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებას.

## თბილისის ვაგზალი სტახანოვური იქნება

გუშინ, 11 იანვარს, თბილისის სახალხო სადგურის ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა კრებაზე განიხილეს ლენინგრადის რკინიგზელთა წერილი ამხანაგ სტალინისადმი. თბილისის სახალხო სადგურის მთელი კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ლენინგრადელთა გამარჯვებას და მათ ვალდებულებებს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის უფრო გაჯანსაღებისათვის.

ვაგზლის მუშაკთა კრებაზე ლენინგრადელთა წერილის შესახებ ინფორმაცია გააკეთა პარტკომის მდივანმა ამხ. ქ. კალანდაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ: თბილისის ვაგზლის უფროსი ამხ. ფარცვანია, სადგურის მორიგე ამხ. გრიგოლ ცინცაძე, მუშები მიქირტიჩიანი, ჯალაძე და სხვები. კრებამ ერთხმად მოიწონა ლენინგრადელთა წერილის შინაარსი და მიიღო შემდეგი ვალდებულებანი: თბილისის ვაგზალი 1937 წელს გადააქციონ სტახანოვურ ვაგზლად. ამის მისაღწევად ვაგზლის კოლექტივმა იკისრა ისრების წესრიგში მოყვანა, მარცხებისა და ავარიების მთლიანად აღმოფხვრა, მატარებელთა გაგზავნა გრაფიკის მიხედვით, შემადგენლობის თავის დროზე გადაცემა ჩრდილოეთის პარკისა და სადგურ ნავთლუღისათვის, მგზავრთა თავის დროზე და წესიერად ჩაჯდომა მატარებლებში, მთელ სადგურზე სანიმუშო სისუფთავის დამყარება, მგზავრთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესება, მოლარე ალადინის მეთოდის ფართოდ დანერგვა და სხვ.

კრებამ დააწესა აგრეთვე მეორთქლმავლეების, მესადგურეების, მევაგონეების ერთიანი ცვლის მოწყობა, პერონის კონტროლიორების, მებარგეების, მოლარეების, ვაგზლის მორიგეების, გადამბმელების, მეისრეების, შემდგენლების და სხვათა შეჯიბრება.

საღამოს 8 საათზე შეიკრიბნენ ტექნიკური დარგის მუშაკები. მათ განიხილეს ლენინგრადელების წერილი ამხანაგი სტალინისადმი და თბილისის ვაგზლის სტახანოვურად გადაქცევისათვის ფართოდ გაშალეს ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრება. აი, მატარებელთა შემადგენელი ამხ. არზუკანოვი შეჯიბრებაში იწვევს ამხ. გ. ლუტიძეს, გონგაძე—ტურაშვილს, მლებრიშვილი—ლუტიძეს, გადამბმელი ს. ზარასპაშვილი — ა. გევორქიანს, ა. კუზნეცოვი—ი. ლომსაძეს, უფროსმა მეისრეებმა ამხ. ქუმელაშვილმა, ჯიოევმა და კოპისოვმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს უფროსი მეისრეები ზაქარია გრიგოლაშვილი, ირემაშვილი და შავდათუაშვილი. შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე მებარგეები: თავბერიძე, ჯაჯაძე, მოლარეები: ყუფარაძე, თევზაძე და სხვ., სადგურის დისპეტჩერები: ჩიტიაშვილი, ხანგანეზოვი, ჯიქია, ქარქაშაძე და სხვ.

თბილისის ვაგზლის მთელი კოლექტივი კისრულობს, რომ ისინი ვაგზლის მუშაობას სანიმუშოდ მოაწესრიგებენ და თბილისის ვაგზალს სტახანოვურს გახდიან. ამ მიზნით თბილისის ვაგზლის მუშაკებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბაქოს ვაგზლის მთელი კოლექტივი და შეჯიბრების არბიტრად „ბოლშევისტკაია პუტიოვკა“ დაასახელეს.

## თბილისი იწვევს როსტოვს

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონთა შემკეთებელი ქარხნის 5 ათასიანი მუშათა კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა ლენინგრადელი რკინიგზელების მიმართვას ამხანაგ სტალინისადმი.

11 იანვარს საღამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ქარხნის მუშები შეიკრიბნენ თავიანთ საამქროებში.

მუშათა საერთო კრებებზე წაიკითხეს ლენინგრადელი რკინიგზელების მიმართვა. კრებებმა ყველგან გაცხოველებით ჩაიარა.

მუშებმა იკისრეს ისე გააუმჯობესონ მუშაობა, რომ გასული წლის ჩამორჩენასთან ერთად გადაჭარბებით შეასრულონ მიმდინარე საწარმოო დავალებანი და ამრიგად ხელი შეუწყონ ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტის აღმავლობას.

ქარხნის წამყვანი საამქროების — საამწყობო, საქვაბე და ელშემდუღებელი საამქროების მუშათა საერთო კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ მოწინავე სტახანოველები, რომლებმაც იკისრეს ახალ საწარმოო ვალდებულებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება.

— სამუშაო დღის შემჭიდროვებით,—ამბობდნენ მუშები,—მუშაობის სწორი ორგანიზაციით, სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლაგაფართოვებით ჩვენ შევძლებთ ღირსეულად შევასრულოთ მეორე სტახანოვური წლის საწარმოო დავალებები და პირნათლად წარვდგეთ ქვეყნისა და ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის წინაშე პატაკით მეორე ხუთწლედის გეგმების ვადაზე ადრე შესრულების შესახებ.

ამხ. კერვალიშვილის, ბარბაქაძის, მაჭარაშვილის, ჩიტიაშვილის, მოხევიშვილის, სოხაძის, ბრეგაძის, სინჯიკაშვილის და სხვა მუშების სიტყვების შემდეგ საერთო კრებამ მიიღო რეზოლუცია.

ქარხნის მუშათა დადგენილებით მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წლის საწარმოო გეგმების უკეთესად შესრულებაზე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეულია როსტოვის ორთქლმავალთა და ვაგონთა სარემონტო ქარხანა.

# ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში

## უდიდესი წარმატება

(მოსკოვი, 11 იანვარი, ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).

[illegible]

დღევანდელი „ტრუდი" ათავსებს მოწინავე სტატიას სათაურით: „ქართული ხელოვნების ტრიუმფი". „კომსომოლსკაია პრავდა" „აბესალომ და ეთერს" ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებს უწოდებს.

გუშინდელი „ზვეზდა" აღნიშნავს „აბესალომ და ეთერში" ამირანა- [illegible] „სიმღერას სტალინზე", „სიმღერას ბელადზე" და ლირიკულ სიმღერა „სულიკოს".

დღეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდები გამოვლენ კლარა ცეტკინის სახელობის ფაბრიკის კლუბში, ხვალ კი ქარხანა „კაუჩუკის" კლუბში.



ოპერა „ქეთო და კოტეს" პირველი აქტი. სცენა—ქეიფი ეზოში.
ფოტო ბუდეშტსკისა და სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## მოსკოვის პრესა დეკადის შესახებ

„თუ „დაისი" — ლირიკული მუსიკალური დრამაა, „აბესალომ და ეთერი" ეპიკური ოპერაა. იგი ორატორიაა მკაფიოდ გამოხატული ფილოსოფიური სიუჟეტით.

ოთხ მოქმედებაში, ან, უკეთ რომ ვთქვათ, დიდ ვოკალურ,—სიმფონიურ სურათებში, ზ. ფალიაშვილმა მუსიკალური გამოხატულების მარტივი საშუალებებით დაგვიხატა „აბესალომ და ეთერის" სიყვარულის სამწუხარო ამბავი, მოთხრობილი ხალხურ ლეგენდაში". ასე სწერს დღეს „პრავდაში" გ. ხუბოვი სტატიაში ოპერა „აბესალომ და ეთერის" შესახებ.

ამ ეპიკური ოპერის თავისებურობა, აღნიშნავს იგი,—მისი ნამდვილი ხალხურობაა.

ხუბოვი გვაუწყებს, რომ ოპერა „აბესალომ და ეთერის" პრემიერას 9 იანვარს სსრ კავშირის დიდ თეატრში უდიდესი წარმატება ჰქონდა. იგი განსაკუთრებით აღნიშნავს შემდეგი როლების მშვენივრად შესრულებას: მურმანისა (არტისტი პ. ამირანაშვილი), აბესალომისა (დამსახურებული არტისტი დ. ანდღულაძე), ეთერისა (დამსახურებული არტისტი ე. სოხაძე) და მარიხისა (არტისტი ნ. ხარაძე).

დასასრულ ხუბოვი სწერს:

„აბესალომ და ეთერი" — კლასიკური ნაწარმოებია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ მუსიკალური ხელოვნების ისეთ შედევრებს, როგორც არიან ვერდის „აიდა", გლინკას—„რუსლან და ლუდმილა", ბოროდინის „თავადი იგორი". ზ. ფალიაშვილის ოპერა ღირსია ფრიად გულდასმით შესწავლისა, ფრიად ფართო პროპაგანდისა. იგი უნდა შევიტანოთ საბჭოთა კავშირის საუკეთესო საოპერო თეატრების შემოქმედებითი მუშაობის გეგმაში".

„იზვესტია" დღეს ქართული ცეკვის შესახებ სწერს:

„დიდი თეატრის სცენაზე ნაჩვენებ სიმღერებსა და ცეკვაში მკაფიოდ და ფერადოვნად არის ასახული გრძნობები და ზრახვები ქართველი ხალხისა, რომელიც აშენებს თავის ბედნიერ ცხოვრებას. ასეთი აღმგზნები სიმხიარულით, ასეთი სიხალისით სიმღერა და ცეკვა შეუძლია მხოლოდ ისეთ ხალხს, რომლის წინაშეც გაშლილია სასიხარულო ცხოვრების თვალუწვდენი სივრცეები, ხალხს რომელიც თავისი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით სჭედს თავის ბედნიერებას და მტკიცედ მიდის კომუნიზმისაკენ".

O

ვიქტორინა კრიგერი სწერს:

„შესანიშნავი და მრავალფეროვანია საქართველოს ცეკვა. გასაოცარი რამეა: რამდენი ცეკვაა, ხოლო არცერთი მათგანი არ ჰგავს მეორეს, თვითეული მათგანი თავისებურია, თავისი იერი, თავისი სურნელი, თავისი რიტმი აქვს".

თბილისის თეატრის სპექტაკლთა ჩვენებაში, ამბობს შემდეგ კრიგერი, ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს კაცმა, პირველ ყოვლისა ის, თუ ნაციონალური ცეკვა როგორ უნდა დაინერგოს რუსულ პროფესიულ ბალეტში.

O

„სოვეტსკოე ისკუსტვო" პირველი გვერდის ნაწილსა და მთელს მესამე გვერდს უძღვნის ქართული ხელოვნების დეკადას.



თბილისის საოპერო თეატრის ბალეტის სოლისტები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვლი ცეკვავენ ლეკურს.
ფოტო ბუდეშტსკისა და („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## დილის წარმოდგენები ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთათვის

**მოსკოვი**, 11 იანვარი. (საქდესი). სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრი აწყობს დილის ორ სპეციალურ წარმოდგენას ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთათვის. წარმოდგენილი იქნება ოპერა „წყნარი დონი". მუსიკა ძერჟინსკისა და ბალეტი „მძინარე მზეთუნახავი". მუსიკა ჩაიკოვსკისა.

**გიორგი ქურიშვილი**

# ორი კვირა ზემო-სვანეთში

ზუგდიდიდან ავტომანქანით მე და მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული გავემართეთ ჩვენთვის ჯერ უცნობ ზემო-სვანეთისაკენ.

მიჰქრიხარ მარად მქუხარე ენგურის ხეობაში მიხვეულ-მოხვეული შარაგზით და აღარ იცი, რომელ სილამაზეს მიაპყრო გაფაციცებული თვალები.

თითქმის ყოველ კლდეზე ჩანჩქერებია დაკიდული, შხეფი ზედ თავზე ეყრება გამვლელ მოგზაურს. შიშნაკრავი შევყურებ ცის კამარაში მრისხანედ აზიდულ მთათა თოვლყინულიან მწვერვალებს.

გზაში შხაპუნა წვიმამ მოგვისწრო; მაინც ხალისიანად მივისწრაფით ამ პირველყოფილი ბუნების წიაღში.

90 კილომეტრის გავლის შემდეგ, დაღლილ-გაწუწულნი და სიცივისაგან აკანკალებულნი მივედით დიზში, სადაც გზის მშენებლობის სამმართველოა.

უკუნი ღამეა. კითხვა-კითხვით მივაგენით გზის მშენებლობის უფროსს, ორდენოსან ვალიკო ჭურღულიას. იგი განცვიფრებული დარჩა ჩვენი მისვლით.

— რამ ჩამოგიყვანათ აქ ამ ზამთარში, ჰა? — გვეკითხება კმაყოფილების ღიმილით და ცეცხლს აჩაღებს.

— ჩვენი მიზანია კულტმომსახურეობა გავუწიოთ გზის მშენებელ მუშებს და სვანეთის მოსახლეობას— მიუგო ილიკო ქურხულმა.

— დიდად სასიამოვნოა. ამ შემთხვევაში თქვენ პირველი მერცხლები ხართ, ზამთარში მოფრენილნი.

O

ნათდება... ენგურის ხეობაში გრიალი ისმის.

ვინახულეთ უბნები, სადაც ხდებოდა კლდეების აფეთქება.

— აი, ეს კლდე რამდენიმე კილომეტრზეა დაყუდებული და განსაკუთრებული სიმაგრისაა. ამას რომ ვილეწთ, გზა გახსნილი იქნება მესტიამდე. — მოგვითხრობს ამხ. ვალიკო.

ამ უბანში სამჩაქუჩიანი კომპრესორი მუშაობს. მუშების შემადგენლობა ინტერნაციონალურია: მკვიდრ სვანებს მხარში ამოსდგომიან ჩრდილოელი ოსები, რომელნიც განთქმულნი არიან კლდის ნგრევის ოსტატობით, აქვე არიან გორელები, კასპელები და სხვ.

ნაკრა-ნოდაშის უბნის საგზაო მშენებლობაში ჩაბმულია სოფ. მულახის და ლატალის მოსახლეობა, რომელთა შორისაც სოცშეჯიბრებაა გაშლილი გარდამავალი დროშისათვის.

აღსანიშნავია, რომ სოფ. ეზუთის მცხოვრებლებმა მოაწყვეს ორდღიანი შაბათობა ღენის მიდამოებში (ღ(?)ერ-ბეჩოს შუა), ამ საქმის ინიციატივა ეკუთვნის ამავე სოფლის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს სამსონ სუბელიანს და გლეხ-ქალს ცაცა სუბელიანს. შაბათობაში, ვაჟკაცებთან ერთად, მონაწილეობდნენ ქალები, მოწაფეები და 70-80 წლის მოხუცებიც კი.

დიდი ენტუზიაზმითა და წარმატებით ჩატარდა ამხ. ლავრენტი ბერიას სახელობის ლაშქრობა, სამუშაოდ გამოსული იყო 2000-მდე კაცი.

გზის საუკეთესო სტახანოველებს 5.500 მან. ჯილდო მიეცათ.

დიზში თავმოყრილი მუშებისათვის კონცერტი ჩავატარეთ მე და ილიკო ქურხულმა და მეორე დღეს ჯორ-ცხენებით გავუდექით მთაკლდეთა ნაპრალებზე გაყვანილ ვიწრო ბილიკს.

ჩვენთან ერთად მოდის მესტიის რაიგაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი ამხ. აბო ჭუმბურიძე.

შიშის ზარს გვცემდა პირღია უფსკრულები, სადაც არაერთი და ორი მგზავრი გადაჩეხილა.

შებინდებამდე როგორც იყო გადავლახეთ ეს სახიფათო კლდეღრეები და ისევ შარაგზაზე დავეშვით, რომელსაც მესტიამდე მივყევართ.

თოვლი მატულობს...

გვიღამდება...

სოფ. ლახამულაში ვჩერდებით.

აქ გავეცანით სკოლის მასწავლებელს ვერა ქართანიას — იშვიათ ადამიანს და გულუხვ მასპინძელს.

ამ სოფელში ორი კონცერტი ჩავატარეთ. ერთი მოწაფეებში, მეორე მოსახლეობაში, რის შემდეგაც პირდაპირ მესტიისაკენ ავიღეთ გეზი.

გზადაგზა ისეთი ვეება ზვავები გვხვდება, რომ ცხენებს უჭირთ გავლა.

ვიჩქარით. ჯერ კიდევ კარგა გზაა მესტიამდე. გზაზე შემოგვხვდა ზემო-სვანეთის პარტრაიკომის მდივანი ალ. წიფურია. გაეხარდა:

— საით, ალექსანდრე! — მიაძახა ილიკო ქურხულმა.

— უბნებში, ილიკო, ხე-ტყის დამზადების უბნებში! უჩემოდ არ მოიწყინოთ! ინახულეთ მესტია, იქიდან ამავე გზით დაჰყევით სოფლებს, ჩაატარეთ თქვენი მუშაობა და დიზში რომ დაბრუნდებით, მეც იქ დაგხვდებით.

მთელ დღეს ცხენზე სიარულმა ძალიან დაგვთენთა. სიცივისაგან ფეხები გათოშილი გვქონდა. დაგვიღამდა. შორს, სიბნელეში თვალი მოვკარით მოციმციმე ელნათურებს.

— მესტია! — წამოვიძახე აღტაცებით.

— ჰო, მესტიაა, გიორგი! — დამიდასტურა ამხ. აბო ჭუმბურიძემ.

— ძლივს! — წამოიძახა აღტაცებულმა ილ. ქურხულმა და ჩემი ლექსის ნაწყვეტით მიესალმა მესტიას:

მთა-სვანეთშიც, სადაც იყო უკუნი,
სადაც მხოლოდ მიკიოტი ჰკიოდა—
კოშკებს არყევს ილსადგურის გუგუნი,
ბელადის ხმა ისმით იქ რადიოდან.

რას წარმოადგენდა ძველად სვანეთი?

საუკუნოებით კარჩაკეტილ და ჩამორჩენილ კუთხეს.

თუ რა მზრუნველობას იჩენდნენ მეფის მოხელეები აქაური მოსახლეობისადმი, მოვიყვან ერთ მაგალითს: თურმე ერთხელ არზა გაუგზავნეს აქედან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს და სთხოვეს გზის გაყვანა. არზა უკანვე დაუბრუნებიათ წარწერით: „ორაბაზიანი მარკა აკლიაო". ჩვენი ხელისუფლება კი ათეულ მილიონს ხარჯავს სვანეთის გზის მშენებლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კუთხე მდიდარია სამკურნალო წყაროებით და ჰავით, მოსახლეობა მაინც დაავადებული იყო სხვადასხვა სნეულებით. (ჩიყვი და სხვ.).

რა იყო ამის მიზეზი?

გამუდმებული შიმშილ-სიღატაკე, მაჩუბების (საცხოვრებელი ბინების) უსინათლობა, ანტისანიტარია და საექიმო დახმარების სრული უქონლობა.

ამჟამად მთელი სვანეთი დაქსელილია ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებით.

რა მდგომარეობაა განათლების ფრონტზე? უწინ თუ მხოლოდ ორიოდე სამრევლო სკოლა იყო თავად-აზნაურთა და სამღვდელოების შვილებისათვის, დღეს 30 დაწყებითი, 12 არასრული საშუალო სკოლა და ორი ტექნიკუმი არსებობს, სადაც თავმოყრილია სვანეთის მთელი მოზარდი თაობა.

ერთერთ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სვანეთში სისხლის აღების აღკვეთა. ამ დამღუპველ ადათს ყოველწლიურად მრავალი საუკეთესო ვაჟკაცი ეწირებოდა.

სოფლის საბჭოებთან შესარიგებლად შექმნილმა კომისიებმა, რომლებშიაც შედიან ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილი საპატიო პირები, უდიდესი მუშაობა გასწიეს უხსოვარი დროიდან მომდინარე გამანადგურებელ ჩვეულებათა აღმოსაფხვრელად, რის შედეგად შერიგებულ იქნა 450 გვარეულობა, მათ შორის გვირგვილიანი და ფარჯიანი, რომლებიც 4 საუკუნის განმავლობაში მტრობდნენ ურთიერთს.

თითქმის წელიწადია, რაც პირქუშად გამომზირალ მაღალ კოშკებიდან შურისძიების ნიადაგზე თოფი აღარ გავარდნილა.

მოსახლეობა მადლიერია ხელისუფლებისა.

მესტიაში ჩვენს კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო, კლუბი ვეღარ იტევდა მსურველთ.

კონცერტები ჩავატარეთ აგრეთვე პედტექნიკუმში, არასრულ საშუალო სკოლაში და საბავშვო ბაგაში.

დილაა.

ცა მოწმენდილია.

სუსხავს.

ქუთაისის თვითმფრინავებმა გუგუნით გადმოსერეს სვანეთის ზვიადი მთები.

ცხენებზე ვართ.

თვალთ ატყვევებენ თოვლ-ყინულით მოკაშკაშე უშბა და თეთნულდი.

გულმადლიერნი გამოვეშვიდობეთ მესტიელ ამხანაგებს და „ლილეოს" სიმღერით ისევ დიზისაკენ დავძარით ცხენები.

გზადაგზა თითო დღით შევჩერდით და კონცერტები ჩავატარეთ: სოფ. ლენჯერში, ლატალში, ეცერსა და ფარში, რის შემდეგაც დავბრუნდით დიზში, სადაც შეგვხვდა ამხ. ალ. წიფურია.

გაიბა მუსაიფი...

— ვერ წარმოიდგენთ, რა არაადამიანურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება აქაურ მოსახლეობას, — დაიწყო ამხ. ალექსანდრემ — მიწის ნაკლებობა და სიმწირე აიძულებდა სვან გლეხს მთელი თვეობით სხვაგან წასულიყო სამუშაოდ. თავბრუდამხვევ სიმაღლეზე დაკლაკნილი ვიწრო ბილიკებით ბრუნდებოდა იგი ზურგზე წამოკიდებული 2-3 ფუთი ხორბლითა და ორიოდე კილოგრამი მარილით.

ნავთზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო: ზამთრის გრძელ ღამეებში სვანები თავიანთ მაჩუბებს მხრჩოლავი კვარით ანათებდნენ.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეშველა ყველასაგან მივიწყებული და ჩამორჩენილი სვანეთის მშრომელ მოსახლეობას.

დღეს იგი ყოველმხრივ უზრუნველყოფილია.

მეცხოველეობის ზრდამ შესაძლებლობა მისცა ყოველ ოჯახს იქონიოს ხორცი, რძე, თუ ყველი, რაც მისთვის უწინ საოცნებო საგანს წარმოადგენდა.

შარშან შემოტანილმა ბოსტნეულის თესლმაც საუცხოო ნაყოფი გამოიღო: ახლა ყოველ კომლში მოიპოვება კარტოფილი და ხახვი. ცდებია კომბოსტოს, კიტრის და სხვა ბოსტნეულის დანერგვისაც.

სვანეთში წელს პირველად ჩაიყარა ხეხილის 500 ნერგი.

ფართოდ გაშლილია საბინაო მშენებლობაც: უკვე აგებულია 300-მდე თანამედროვე ტიპის სახლი და კიდევ შენდება 500.

მოკლე დროში სვანეთის დანარჩენი ოჯახებიც დასტოვებენ მამაპაპურ მაჩუბებს და ახლად აგებულ კეთილმოწყობილ სახლებში დაბინავდებიან.

ეს მხოლოდ დასაწყისია.

ენგურის ხეობის ოქროს სარეწაოები, ცურუნგალის მთაგრეხილის დარიშხანის საბადოების უხვი მარაგი და ხელუხლებელი მდიდარი ტყეების დამუშავება, აი სვანეთის კულტურულ-ეკონომიური აღორძინების ნაღდი საწინდარი. ამჟამად კი ჩვენი უმთავრესი ყურადღება და ძალღონე მიმართულია მესტია-ზუგდიდის საავტომობილო გზის მშენებლობის დასრულებისაკენ, რომლის საზეიმო გახსნაც ნავარაუდევია 1937 წ. სექტემბერში! — დაასრულა ამხ. ალ. წიფურიამ და თან დასძინა: იმედია თქვენც დაესწრებით ამ საერთო-სახალხო დღესასწაულს.

მეორე დღეს მადლობა გადავუხადეთ ამხ. ა. წიფურიას გულითადი მიღებისათვის და ნასიამოვნები დავყევით უკან ენგურის ხეობას პარისაკენ.

# ესპანეთის ფრონტებზე

## ესპანეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

**ვალენსია**, 10 იანვარი. (საქდესი). ფაბრის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ვალენსიაში შესდგა ესპანეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ალვარეს დელ ვაიომ მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მინისტრთა საბჭომ ალვარეს დელ ვაიოს მისცა რწმუნება მონაწილეობა მიიღოს ერთა ლიგის საბჭოს მომავალ სესიაში.

მინისტრთა საბჭომ დადებითად გადასჭრა აგრეთვე საკითხი პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე სახელმწიფო სამხატვრო მუზეუმებიდან მთელ რიგ ნაწარმოებთა გაგზავნის შესახებ.

## რესპუბლიკელებს იერიში მიაქვთ მოწინააღმდეგის პოზიციებზე

**ბილბაო**, 9 იანვარი. (საქდესი). ასტურიის ფრონტზე, ნარანკოს მთის რაიონში (ოვიედოს ჩრდილო-დასავლეთით), რესპუბლიკელებმა მოულოდნელად იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე. მეამბოხეები გაიქცნენ, დასტოვეს ბრძოლის ველზე დიდძალი იარაღი და საომარი მასალა.

## მტერმა მძიმე ზარალი განიცადა არავაკის სექტორში

**პარიზი**, 10 იანვარი. (საქდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს მადრიდის თავდაცვის კომიტეტის 10 იანვრის ცნობას, რომელშიაც ნათქვამია:

„არავაკის სექტორში ბრძოლა მთელ ღამეს გაგრძელდა. მეამბოხეთა გაafთრებული შემოტევა შესუსტდა იმ მძიმე ზარალის გამო, რომელიც გერმანიის ჯარების ნაწილებმა განიცადეს ამ სექტორში".

## იტალიის ჯარისკაცებს არ სურთ იომონ რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ

**პარიზი**, 10 იანვარი. (საქდესი). პრესის ცნობით, იტალიის ჯარების გაგზავნა ესპანეთში უდიდეს უკმაყოფილებას იწვევს არა მარტო იტალიის სამოქალაქო მოსახლეობაში, არამედ იტალიის სამხედრო ნაწილებშიაც.

მაგალითად, პეზაროში მეორე საარტილერიო ლეგიონის არცერთი ჯარისკაცი არ დათანხმდა ესპანეთში „მოხალისედ" წასვლაზე. მაშინ ლეგიონის სარდლობამ კენჭის ამოღებას მიმართა. ჯარისკაცები, რომლებსაც კენჭი ხვდათ, იძულებითი წესით გაგზავნეს.

ბარის ყაზარმაში, სადაც დაბინავებული იყვნენ აფრიკაში გასაგზავნად შეგროვებული ჯარისკაცები, როდესაც გამოაცხადეს: აფრიკაში კი არ უნდა წახვიდეთ, არამედ ესპანეთშიო, ბევრი ჯარისკაცი იმავე დღეს გაჰქრა ყაზარმებიდან. ყველა ისინი დეზერტირებად გამოაცხადეს.

ბარლეტაში (აპულია) „მოხალისეებს" სრულიად აუკრძალეს სამხედრო ბანაკის დატოვება, სადაც ისინი თავმოყრილი იყვნენ, რადგან ბევრი მათგანი გაიქცა, როგორც კი გაიგო, რომ ესპანეთში ჰგზავნიან. ყაზარმებში დარჩენილ ჯარისკაცებზე სასტიკი მეთვალყურეობა დააწესეს.

კიდევ უფრო საგულისხმო შემთხვევა მოხდა კოლაში (ნეაპოლის პროვინციაში). აქ არა თუ ჯარისკაცებმა, არამედ ოფიცრებმაც კი უარი განაცხადეს ესპანეთს წასვლაზე. ქალაქში დაბეჯითებით დადის ხმები, რომ ოფიცრები ურჩევდნენ ჯარისკაცებს, ნუ დაემორჩილებით ბრძანებას გაგზავნის შესახებო. ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი დააპატიმრეს.

პრესა იუწყება აგრეთვე, რომ იტალიის ქალაქებში აგროვებენ სახსრებს ესპანეთის ხალხის დახმარების ფონდისთვის.

## მეამბოხეთა ჯარისკაცების უკმაყოფილება

**ვალენსია**, 10 იანვარი. (საქდესი). ფაბრის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ლა კორუნიადან ხიხონში ჩავიდა 23 ლტოლვილი, რომლებმაც ხიხონამდე თევზისმჭერთა ნავებით მოაღწიეს. ლტოლვილები აღნიშნავენ მეამბოხეთა ჯარისკაცების უკმაყოფილების ზრდას. მათ დაადასტურეს ხმები, რომ მეამბოხეთა არმიის რიგებში ადგილი ჰქონდა აჯანყების ცდებს. ამასთან დაკავშირებით, მეამბოხეთა სარდლობამ დახვრიტა 13 ოფიცერი და მრავალი ჯარისკაცი.

ლტოლვილთა სიტყვით, მეამბოხეებმა სიკვდილით დასაჯეს გენერლები პიტა, კარიდადი და სალსედი.

## გერმანიის ჯარები გადასხეს ესპანეთის მაროკოში

(ტელეფონით „პრავდის" პარიზელი კორესპონდენტისაგან).

**პარიზი**, 9 იანვარი. (საქდესი). საფრანგეთის შეშფოთებამ ესპანეთის მაროკოში (შეიძლება სჯობდეს ითქვას — ყოფილი ესპანურ მაროკოში) შექმნილი მდგომარეობის გამო დღეს თავი იჩინა უაღრესად მკვეთრი ფორმებით. ცალკე ცნობები მაროკოში გერმანელი აგენტების საქმიანობის შესახებ უკვე წინათაც მოდიოდა. ამ ცნობებმა აიძულეს საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალნი გაეძლიერებინათ სიფხიზლე და მიეღოთ ზოგიერთი წინასწარი თავდასაცვი ზომა. მაგრამ იმან, რაც უკანასკნელ ორ დღეს გამოირკვა, მდგომარეობას ერთბაშად დიდი სიმწვავე მისცა.

ყოველი მხრიდან — გიბრალტარიდან, კაზაბლანკიდან, ტანჟერიდან მოდის ცნობები, რომ გერმანია უკვე არ სჯერდება ცალკეული აგენტების გაგზავნას მაროკოში. მელილიაში გადასხეს გერმანიის რეგულარული ნაწილები. მათი განლაგების პირობები მოწმობენ, რომ ისინი იქ დიდხნით დაბანაკდნენ. ლარაშში მომზადებულია ყაზარმები გერმანიის ახალი ნაწილებისათვის. გერმანელი ინჟინრები სეუტასა და მელილიაში აწარმოებენ საფორტიფიკაციო სამუშაოებს.

ფრანგული გაზეთები ამ ცნობებს აქვეყნებენ სათაურით: „გერმანიის სამხედრო ოკუპაციის დასაწყისი". საფრანგეთი გამაფრთხილებელ ზომებს ღებულობს. ატლანტიკისა და ხმელთაშუა ზღვის ესკადრები თავს იყრიან აფრიკის ნაპირებთან მანევრებისათვის, რომლებიც, როგორც ოფიციალური წყაროები აღნიშნავენ, „დასახული იყო წინათ, მაგრამ დაემთხვნენ უკანასკნელ ამბებს". განზრახულია სამხედრო მინისტრ დალადიეს გამგზავრება საფრანგეთის მაროკოში. საფრანგეთის მთავრობამ პროტესტი განუცხადა ფრანკოს—მდგომარეობა ნათელია. გერმანიის შეჭრა მაროკოში მიაჩნიათ რეალურ, სერიოზულ საფრთხედ საფრანგეთის სამფლობელოებისათვის.

საფრანგეთის პოლიტიკური წრეების განწყობილებისათვის დამახასიათებელია ვლადიმერ დორმესონის გამოსვლა „ფიგაროს" ფურცლებზე. ეს უკიდურესი მემარჯვენე დიპლომატიური მიმომხილველი, რომელიც დაუღალავად ეწევა პროპაგანდას ფაშისტ-მეამბოხეთა სასარგებლოდ და თავს ესხმის ბლიუმის მთავრობას, დღეს სწერს:

„ვთქვათ აუყვირებლად, მაგრამ მტკიცედ, ისე რომ არავითარი გაუგებრობა აღარ იყოს შესაძლებელი: ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. გერმანელებს ესპანეთის მაროკოში არა ესაქმებათ რა. დეე ჩვენს მთავრობას ნუ ეშინია ამის შესახებ ნათლად და მტკიცედ გამოსთქვას აზრი, იგი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ მას მხარს დაუჭერს ყველა ფრანგი".

პარიზი აძლიერებს თავის კონტაქტს ლონდონთან, რათა შეიმუშაოს მოქმედების საერთო ხაზი. პარიზში სულ უფროდაუფრო დაჟინებით ლაპარაკობენ იმის აუცილებლობაზე, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტებმა შეუძლებელი გახადონ გერმანიის ჯარების შემდგომი გადაყვანა „სახიფათო ზონაში".

**ნ. მაიორსკი.**

## ესპანეთში იარაღის გაგზავნის აკრძალვა

**ვაშინგტონი**, 9 იანვარი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა ხელი მოაწერა განკარგულებას ესპანეთში იარაღის გაგზავნის ემბარგოს (აკრძალვის) შესახებ. სახელმწიფო დეპარტამენტმა (ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრო) დაუყოვნებლივ გააუქმა ესპანეთში იარაღის გაგზავნაზე წინათ გაცემული ლიცენზიები.



„საქართველოს სსრ ზოოტექნიკურ ინსტიტუტის [illegible] (მარცხნიდან მარჯვნივ) ნადეჟდა ჯაფარიძე, ელენე დათუნაშვილი, კალე სანიკიძე, გიორგი მეტრეველი, ნადეჟდა ქუთათელაძე, [illegible] საკოვა, ალექსანდრე ქურიძე, ელენა ხარიტოვა.

ფოტო რ. აკოფოვისა.

## ჩვენი გაზეთებიდან

### გემთმშენებელთა ქალაქი

[illegible] საამქროების აგებას შეუდგებიან რამდენიმე თვის შემდეგ.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა სახლებისა მოხერხებული ბინებით და საერთო საცხოვრებლებისა გემთმშენებელთათვის. ქალაქში ამჟამად უკვე ცხოვრობს 5 ათასი კაცი. გემთსაშენზე არ არის საცხოვრებელი ფართობის ნაკლებობა, პირიქით, აქ თავისუფალი ფართობიცაა, საკმაო იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ათასობით ახალი მცხოვრებლები, რომლებიც აქ მოდიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.

მშენებლობის უფროსი ამხ. კირილკინი ბინას ჰპირდება თეთრი ზღვის სანაპიროზე სამუშაოდ მოსულ თვითეულ მშრომელს. გარდა სახლებისა, ქალაქში არის კლუბი, რამდენიმე სასადილო, 3 მაღაზია, ამბულატორია, ელექტროსადგური. მალე აქ იქნება საკუთარი სტადიონი და ვაგზალი — ახლად გაყვანილი რკინიგზის ბოლო წერტი, რომელიც გემთსაშენს შეაერთებს ჩრდილოეთის მაგისტრალთან.

მეოთხედი მილიარდი მანეთიდან, რომელიც 1937 წელს მშენებლობაზე დაიხარჯება, 40 მილიონამდე მანეთი მოხმარდება სოციალისტური ქალაქის აგებას.

„იზვესტია“.

### წყალქვეშა ნავის შესანიშნავი რეისი

ხანგრძლივი საზამთრო ლაშქრობის შემდეგ სევასტოპოლში დაბრუნდა წყალქვეშა ნავი ლინდენბერგის სარდლობით. მიუხედავად უძლიერესი ღელვისა, რომელშიაც მიმდინარეობდა ლაშქრობა, სახელოვანმა წყალქვეშელებმა ჩინებულად გადასჭრეს ფლოტის სარდლობის მიერ დასახული ამოცანები. ბევრად გადააჭარბეს ყველა გათვალისწინებულ სასწავლო ნორმატივს. შავ ზღვაზე ჯერ არცერთ წყალქვეშა ნავს ზამთარში არ მიუღწევია ასე ხანგრძლივი დამოუკიდებელი ცურვისათვის.

ერთხელ, მძაფრი ღელვის დროს, საჭირო შეიქნა ჩასაბერი ვენტილაციის დაზიანებული შტოკის გასწორება. მეტრიუმეთა ჯგუფის უფროსმა იაშინმა იკისრა მექანიზმის გასწორება. მან ზედა ბაქანზე დაჰყო 6 საათი, მას სცემდა ყინულივით ცივი ტალღები, რომელიც ზღვაში ჩადაგდებას უქადდა, მაგრამ იაშინმა მაინც გააკეთა თავისი საქმე.

ლაშქრობის მონაწილეთა ჯანმრთელობა და სულიერი განწყობილება საუცხოვოა.

„პრავდა“.

### 60 წლის საგლუსუნო მოედანი

რომელი მოსკოველი არ იცნობს სასპორტო საზოგადოების „დინამოს“ საგლუსუნო მოედანს დედაქალაქის ცენტრში, პეტროვკაზე? საგლუსუნო მოედანი პეტროვკაზე — ერთერთი ყველაზე პოპულარულია მოსკოვში. მასთან დაკავშირებულია საზამთრო სპორტის მატიანე.

1937 წლის 1 იანვრიდან ის მეშვიდე ათეულ წელში ჩადავიდა. საგლუსუნო მოედანი მე-61 წლისაა. ის ყველაზე ძველია მოსკოვში. პირველი მოგლუსუნენი აქ 1876 წელს გამოჩნდნენ. მაშინ ის წარმოადგენდა არა ჩასასხმელ, არამედ ბუნებრივ საგლუსუნო მოედანს — გაყინულ ტბას ახლანდელი № 26 სახლის ეზოს ტერიტორიაზე.

ამჟამად საგლუსუნო მოედნის ტერიტორია ორჯერ უფრო ფართოა, ვიდრე წინათ იყო.

ყოველდღე აქ დაიარება 4 ათასამდე კაცი. დილაადრიან მოედანზე ვარჯიშობს 300-400 კაცი. 1.500 მეტი მოწაფე ყოველდღიურად დასრიალებს ამ მოედანზე. მოგლუსუნეთა შორის ბევრია მოსკოვის თეატრების მსახიობები, ორდენოსანი ინჟინერი მიკულინი, ორდენოსანი მფრინავები და სხვ. მოედანს ესტუმრებიან ხოლმე ბელორუსიისა და საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ჩერვიაკოვი, რსფსრ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. სულიმოვი, წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისარი ამხ. პახომოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. როზენგოლცი, შინავაჭრობის სახალხო კომისარი ბოლოტინი და სხვ.

„კომსომოლსკაია პრავდა“.

## კოჯრის ფრიადოსან მოსწავლეთა ექსკურსია

[illegible] დოსანი ბავშვის ექსკურსია თბილისში. აქ ბავშვები ესტუმრნენ მოზარდ მაყურებელთა თეატრს, სადაც ნახეს „ნაცარქექია“. წარმოდგენამ მათზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ბავშვების სახელით მარო ლუტიძემ და ლუიზა შიშინიანმა მადლობა გადაუხადეს თეატრის ხელმძღვანელობას.

მეორე დღეს პიონერები მიიღო საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. დგებუაძემ. კოჯრის ბავშვთა ახალშენის დირექტორის მოადგილემ პოლიტ-აღმზრდელობითს დარგში ამხ. ვ. ვადაჭკორიამ გააცნო მას ექსკურსიის მიზანი.

შემდეგ გაიმართა გაცხოველებული საუბარი ამხ. დგებუაძესა და ბავშვებს შორის. მ. ლუტიძემ უამბო მას, თუ როგორ არის დაყენებული ახალშენში სწავლების საქმე, რამდენია ფრიადოსანი. ხ. ციკოლიამ ილაპარაკა პიონერ-რაზმის მუშაობაზე, ვალ. ახვლედიანმა აღნიშნა, როგორია ბავშვთა მკურნალობა და ჯანმრთელობა, ხათელა გახოკიძემ—კვება და ტანსაცმელი, შ. დადვაძემ—დღის რეჟიმი ახალშენში, ვ. ელოშვილმა, ვ. ბალარჯიშვილმა და ვ. ახვლედიანმა გაუზიარეს ამხ. დგებუაძეს ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენიდან მიღებული შთაბეჭდილებანი.

ამხ. დგებუაძემ მადლობა გადაუხადა პიონერებს ნაყოფიერი მუშაობისათვის და პატეფონით დაასაჩუქრა მათი რაზმი.

იმავე დღეს მოხდა პიონერების მიღება თბილისის რაიონის პარტიული და კომკავშირული კომიტეტების ხელმძღვანელებთან. მიღებას დაესწრნენ პარტიის თბილისის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ლომიძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ს. მიგრიაული და კომკავშირის რაიკომის მდივანი ნ. ცხადაია.

თბილისის რაიონის ხელმძღვანელობამ ბავშვები დააჯილდოვა მოძრავი კინოაპარატით.

მადლიერმა ბავშვებმა პირობა დასდვეს, რომ კიდევ უფრო აამაღლებენ სწავლების ხარისხს, განამტკიცებენ შეგნებულ დისციპლინას და გაზრდიან ფრიადოსანთა რიცხვს.

## აღწერის შედეგების შემოწმება

7, 8 და 9 იანვარს თბილისის მცხოვრებთა სააღწერო ბიურო ამოწმებდა ჩატარებული აღწერის შემოწმებას. გამოირკვა, რომ აღწერა თბილისში კარგად ჩატარდა და მნიშვნელოვან შეცდომებს ადგილი არ ჰქონია.

შევსებული საალწერო ფურცლების შემოწმება და საალწერო უბნების საკონტროლო შემოვლა კვლავ გრძელდება. ამჟამად აღწერის შედეგების შემოწმება სავსებით დამთავრებულია 1.400 საალწერო უბანში. შესამოწმებელია კიდევ 408 საალწერო უბანი.

აღწერის შედეგებზე მასალების თავმოყრა და შესასწავლად გადაცემა მოხდება უახლოეს დღეებში.

## ახალი ამბები

○ „გლავლნიანპრომი“ თბილისში ხსნის სპეციალიზებულ მაღაზიას სელის ქსოვილების გასასაღებლად. მაღაზიისათვის საჭირო დარაბა გამოყოფილია პლეხანოვის პრ. № 147.

○ მოსკოვში გადაგზავნეს ექსპონატები, დიაგრამები და მასალები პარიზის საერთაშორისო გამოფენისათვის. ეს ექსპონატები გამოხატავენ თბილისის საქალაქო მეურნეობის ახლანდელ მდგომარეობასა და მიღწევებს.

○ საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი ბაკურიანში აწყობს სამთო-სათხილამურო სადგურს.

○ მეორე სამკერვალო ფაბრიკამ ააგო და ამ რამდენიმე დღის წინათ აამუშავა საკუთარი ელექტროსადგური 140 ცხენის ძალისა.

## ახალი კადრები სოციალისტურ სოფელს

[illegible] კურსდამთავრებულთა [illegible] საუკეთესონი—ფრიადოსნები: [illegible] გ. მეტრეველი, ნ. ჯაფარიძე, [illegible] ქუთათელაძე, ე. დათუნაშვილი, [illegible] სამულოვი, ქ. სანიკიძე, ნ. [illegible], გ. ნეფარიძე, დ. ზერ[illegible], ს. თვალჭრელიძე, ლ. [illegible], ალნიაშვილი, ალ. ქურიძე, სიორდია, ე. ხარიტოვა, [illegible] და ლ. კიკალეიშვილი.

ახლად კურსდამთავრებულნი, 78 წითელი ზოოტექნიკოსი პარტიასა და ხელისუფლებას, ინსტიტუტის ხელმძღვანელობასა და პროფესორ-მასწავლებელთა მთელ კოლექტივს სიტყვას აძლევენ, რომ ღირსეულად გამოიყენებენ ინსტიტუტში შეძენილ ცოდნას, პრაქტიკული საქმიანობით განამტკიცებენ მას და აქტიური მონაწილენი გახდებიან საკოლმეურნეო მშენებლობისა.

პროფ. ნ. ჯაფარიძე.

## მივცეთ ქვეყანას 150.000 მფრინავი

[illegible]

[illegible] მისა და თბილისის აეროკლუბებში. ხაშურისა და გორის მსმენელთა კონტინგენტის დაამთავრებენ იანვრის შუა [illegible]

[illegible] ახალი კადრების მომზადების [illegible] საქართველოს აერო[illegible] გამოცხადებულია სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში გა[illegible] მენეჯერთა [illegible] საქართველოს აეროკლუბებმა იკისრეს იანვრიდანვე გაშალონ მუშაობა მფრინავთა ახალი კადრების მოსამზადებლად. აეროკლუბების უმრავლესობამ უკვე დაამთავრა საფრენოსნო სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტების შეგროვება. ახლო ხანში სწავლა იწყება სტალინირის, სოხუმის, ქუ[illegible]

[illegible] კლუბი აგროვებდა კონტინგენტს. გადავწყვიტე საფრენოსნო სკოლაში შესვლა, მაგრამ თან ვშიშობდი—ვაი თუ გამიძნელდეს მეცადინეობა და ჩამოვრჩე უნივერსიტეტში და საფრენოსნო სკოლაშიც—მეთქი. უნივერსიტეტში ლექციების დამთავრებისთანავე მივდიოდი აეროკლუბში და ახლა იქ ვისმენდი სულ სხვა ხასიათის ლექციებს საავიაციო ტექნიკის საკითხებზე. თავისუფალი დრო აღარ მრჩებოდა, მაგრამ ეს თურმე იმიტომ, რომ კარგად ვერ მოვაწყე ჩემი მეცადინეობის საქმე. შემდეგ ისე მოვაწესრიგე მეცადინეობა, რომ ვასწრებდი სწავლას, როგორც უნივერსიტეტში, ისე საფრენოსნო სკოლაში.

1935-36 წლის ზამთარი დაძაბულ მუ[illegible]

[illegible] სურვილი და ენერგია ყოველგვარ სიძნელეს დააძლევინებს კაცს. მეც დავძლიე ეს სიძნელენი და დღეს უკვე მიღებული მაქვს მფრინავ-ინსტრუქტორის სახელწოდება.

მფრინავი-ინსტრუქტორი ვ. შეყელაშვილი

## საწარმოების გადაცემა ახალი კომისარიატებისათვის

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გამოჰყო და ახლად ჩამოყალიბებულ სახალხო კომისარიატებს — მსუბუქი მრეწველობისას, კვებისას და სატყეო მრეწველობისას გადასცა თავის საწარმოთა ნაწილი.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გადაეცა აბრეშუმის, საფეიქრო - სატრიკოტაჟო, სამკერვალო და ტყავ-ფეხსაცმელის მრეწველობის ყველა საწარმო და ახალი მშენებლობანი. აბრეშუმის მრეწველობიდან მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატზე გადაცემულია 9 საწარმო, საფეიქრო-სატრიკოტაჟო მრეწველობის 7 საწარმო, სამკერვალო მრეწველობის 11 საწარმო და ტყავეულობისა და ფეხსაცმლის მრეწველობის 6 საწარმო.

გარდა ამისა მსუბუქი მრეწველობის კომისარიატს გადასცეს 3 ტექნიკუმი, 8 მუშათა ფაკულტეტი, 6 საფაბრიკო სკოლა და ოსტატთა მოსამზადებელი 2 წლიანი კურსები. ამავე კომისარიატს გადასცეს ნაწილი იმ საწარმოებისა, რომელთაც რესპუბლიკური მნიშვნელობა აქვთ და იმყოფებოდნენ რაიაღმასკომების გამგებლობაში.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს გადასცეს — საქართველოს თევზის ტრესტი ყველა საწარმოთი, საკონდიტრო, საძეხვე, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების საწარმოები და ის ფაბრიკები, რომლებიც კვების პროდუქტებს უშვებენ.

სატყეო მრეწველობის კომისარიატს გადასცეს სახერხი ქარხნები და ავეჯეულობის ფაბრიკები, სულ 4 საწარმო.



საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, რომლებმაც ფრიადზე ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები.
მარცხნიდან-მარჯვნივ, ზევით: ნ. მიქაძე, გ. გვიშიანი, გ. ზაქარიაძე, გ. ჯიჯეიშვილი, ზ. სირაძე; ქვევით: გ. ზუბუტეიშვილი, ბ. ტოროტაძე, ი. კაჭარავა. ი. მოისწრაფიშვილი, ბ. გეგიაძე.

## „ალკაზარი“ რუსთაველის თეატრში

15 იანვარს რუსთაველის თეატრი გვიჩვენებს თავის ახალ დადგმას — დრამატურგ გიორგი მდივნის პიესას „ალკაზარს“. პიესა წარმოადგენს ჰეროიკულ დრამას თანამედროვე ესპანეთის თემაზე. პიესის სიუჟეტად აღებულია ერთერთი უმძაფრესი მომენტი ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლისა გერმანიისა და იტალიის ფაშისტური ინტერვენციის წინააღმდეგ.

პიესას სდგამს რეჟისორი დ. ალექსიძე, მხატვარი—დ. თავაძე, კომპოზიტორი—ივ. გოკიელი.

პიესაში მონაწილეობას იღებს რუსთაველის თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი. მთავარ როლებს ასრულებენ: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ორდენოსანი აკ. ხორავა, სახალხო არტისტი ორდენოსანი გ. დავითაშვილი, მსახიობები მ. გელოვანი, ორდენოსანი მსახ. ს. ჯაფარიძე, ორდენოსანი მსახ. დ. მჟავია, ორდენოსანი მსახ. გ. სალარაძე, მსახიობი მ. ჩიხლაძე და სხვ.

ქორეოგრაფიულ ნაწილს დადგმაში ხელმძღვანელობს მსახ. ლიტვინენკო.

პრემიერისათვის რუსთაველის თეატრის სალიტერატურო განყოფილება გამოსცემს სპეციალურ ერთდღიურ გაზეთს.

## ჭადრაკი

### ებრალიძე — ლისიცინის მატჩი

#### მეთხუთმეტე პარტია

მატჩის მეთხუთმეტე პარტია არ გამოდგა მაინცადამაინც საინტერესო. დებიუტით ლისიცინმა მიიღო სუსტი პაიკი ცენტრში, ამის შედეგად მან ისეთი გაგრძელება აირჩია, რომელიც ფიგურათა უმეტესი ნაწილის დაცვლის საშუალებას აძლევდა. ასეც მოხდა. თამაში ჩქარა გადავიდა ენდშპილში, სადაც უპირატესობა ისევ ებრალიძის მხარეზე იყო. მიუხედავათ ამისა, პარტიის მოგება ძნელ ამოცანას წარმოადგენდა. ებრალიძემ უარი სთქვა მაესტრო ლისიცინის მიერ რამდენიმეჯერ შეთავაზებულ ყაიმზე და ეძებდა მოგების გზებს, რადგან მხოლოდ დარჩენილი ორი პარტიის მოგებით შეიძლებოდა მდგომარეობის გამოსწორება. პარტია გადაიდო და ალბათ ყაიმით დასრულდება.

გუშინ, 11 იანვარს დამთავრდა გადადებული პარტიები. დღეს, 12 იანვარს გათამაშდება მატჩის უკანასკნელი მეთექვსმეტე პარტია.

ხვალ, 13 იანვარს, საჭადრაკო კლუბში მოეწყობა საღამო. მაესტრო ლისიცინი მოხსენებას გააკეთებს მატჩის შედეგების შესახებ გათამაშებული პარტიების ჩვენებით.

გაიმართება აგრეთვე ბლიც-ტურნირი თბილისის საუკეთესო მოჭადრაკეთა, მაესტრო გოგლიძისა და ლისიცინის მონაწილეობით.

ბ. ზ.

## ქრონიკა

— მწერალთა სასახლეში, 13 იანვარს, საღამოს 7 საათზე საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საბავშვო ლიტსექცია და დრამსექცია გამართავენ საბავშვო მწერლებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის მუშაკების შეხვედრის საღამოს.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, მსახიობები და საბავშვო ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები. შესვლა თავისუფალია.

— საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა იანვრის 12-ს საღამოს 8 საათზე მართავს დოც. ალ. ჭეიშვილის მოხსენებას: „ესპანეთის თანამედროვე ლიტერატურა“. შესვლა თავისუფალია.

## სასამართლო

### წუნის „ოსტატი“

სათუთად, კოხტად შეხვეული საქონელი გახსნეს და რა დაინახეს! სავარცხლების ნაცვლად რაღაც უსწორმასწორო, დაგრეხილი, ტლანქი, ნაფოტების მსგავსი საგნები, ზოგი ნემსებივით წვეტიანი, და ზოგი კი მახათებივით უხეში, საცოდავად დაგრეხილი კბილებით.

— რასა ჰგავს ეს? განა ამისათვის დავდეთ ხელშეკრულება? ამაში გადავიხადეთ 14.680 მანეთი? ეკითხებოდნენ ერთმანეთს ქალაქ მინსკის „სოიუზხოზტგალანტერეის“ ბაზის გაკვირვებული მუშაკები.

„საქონელი“ შინავაჭრობის კომისარიატის საექსპერტო ბიუროს შეამოწმებინეს, რომელმაც სრულიად გამოუსადეგრად და წუნდებულად სცნო „სავარცხლები“. შედგინეს შემდეგ სათანადო აქტი და საჩივრით საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს მიმართეს...

თურმე მათსავე დღეში არიან ხარკოვისა და როსტოვის „სოიუზგალანტერეიების“ ბაზები, მათაც ასეთივე „სავარცხლები“ კიულიათ და გაბოროტებულები სამართალს დაეძებენ.

აბრამ ფლეიშმანმა თბილისის სარეწაო არტელს „ქიმკოოპს“ პერსონალური ხელშეკრულება დაუდო, ფლეიშმანმა იკისრა „ქიმკოოპის“ ცელულოიდის საამქროს ფეხზე დაყენება, ხელმძღვანელობა, მანქანაიარაღების წესრიგში მოყვანა და არსებული ნედლი მასალებით ყოველთვიურად 9.000 მანეთის საქონლის გამოშვება. თუ საქონელს ამ თანხისაზე მეტს გამოუშვებდა, მაშინ იგი ნაცვლად 450 მანეთის ჯამაგირისა, პროგრესიული პრემიული მეთოდის მიხედვით მიიღებდა 1.500 მანეთამდე.

ამით გატაცებულმა ფლეიშმანმა აღარ იცია ხარისხი, მიჰყვა „მუშაობას“, დაატრიალა ჯარა და მთლად წუნდებული სავარცხლები გამოუშვა, შემდეგ „მიღწევებით“ სრულიად კმაყოფილმა, „ქიმკოოპის“ გამგეობის განრიგების მიხედვით, „საქონელი“ შემსყიდველებს დაურიგა...

ამგვარად, ზემოხსენებულ ორგანიზაციებს 31.529 მანეთის მხოლოდ და მხოლოდ „უტილნედლეულისათვის“ გამოსადეგი „სავარცხლები“ დაუგზავნა. ეგონა შორს არიან და რას დამაკლებენო!

მაგრამ მოსტყუვდა. მალე პასუხისგებაში მისცეს აფერისტი, ხარბი ფლეიშმანი და აგრეთვე ვასილ ალექსანდრეს-ძე აგრბა, „ქიმკოოპის“ გამგეობის თავმჯდომარე, რადგან მან ფლეიშმანთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შემდეგ ცელულოიდის საამქროს მუშაობას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, არ შეამოწმა, თუ როგორ პროდუქციას უშვებდა იგი, რა საქონელი დაუგზავნა შემსყიდველებს.

მიმდინარე წლის 7, 8 და 9 იანვარს აფერისტ ფლეიშმანისა და უდარდელი თავმჯდომარის აგრბას საქმე უზენაეს სასამართლომ ამხ. პაპაიანის თავმჯდომარეობით გაარჩია.

პირველს მიუსაჯეს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სამი წლის [illegible] ხმის უფლების ჩამორთმევა და ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება, მეორეს კი—ერთი წლით იძულებითი მუშაობა.

მ. გურდული

## პარტკალენდარი

— საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. ივანე მიხეილის-ძე მაჩაბელს, დავით გიორგის-ძე ქსოვრელს, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანს, მათე გაბრიელის-ძე გასიევს, პეტრე ანდროს-ძე ხოლოზოვს, პეტრე ივანეს-ძე შაბაზოვს, სამი დღის განმავლობაში გამოცხადნენ პარტკოლეგიაში ამხ. ბოკუჩავასთან (ძერჟინსკის ქ. 8, მეორე სართული, ოთახი № 46).

— საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს მუგრადინ შურად-ოღლის (ასპინძის რაიონი), გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. აცასაროვთან (ძერჟინსკის ქ. 8, მეორე სართული, ოთახი № 48).

ლ. თიკანაძე

## მოდიან ახალი კადრები

ორდენოსანი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს დღეს დიდი კულტურულ-მეცნიერული ზეიმი აქვს. 11 იანვარს მან გამოუშვა მაღალკვალიფიციური ცოდნით აღჭურვილი კადრები, რომლებმაც დაამთავრეს კურსი და 1936 წლის ბოლოს ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები. ამნაირად საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სასწავლებლები, სოციალისტური სოფლის მეურნეობა და მრეწველობა მიიღებენ მაღალკვალიფიციური კადრების ახალ ნაკადს, რომ კიდევ უფრო წინ წასწიონ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის სოციალისტური კულტურა და მეურნეობა.

უდიდესია ის მიღწევები, რომლებიც მოძმე რესპუბლიკებთან ერთად მოიპოვა ორდენოსანმა საქართველომ. საუკუნოებით ჩამორჩენილმა, მეფის რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკით გათელილმა და დაქვეითებულმა, მან მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოიპოვა უდიდესი კულტურულ-ეკონომიური განვითარების შესაძლებლობა. ხალხთა გენიალური ბელადის—დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი გადაიქცა მსოფლიოში მოწინავე ინდუსტრიისა და ყველაზე მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყნად. იგი დაეუფლა მოწინავე კულტურას, მეცნიერებას და ტექნიკას, ძირფესვიანად აღმოფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა და ყოველდღიურად ძლევამოსილად იპყრობს ინდუსტრიის, ტექნიკისა და კულტურის ახალ მწვერვალებს.

ამ მხრივ საქართველო არ ჩამორჩება საბჭოთა რესპუბლიკების მთლიან სისტემას. იგი მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში დგას და დიდი სტალინური კონსტიტუციით შეიარაღებული, საუკეთესო სტალინელის ამხ. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, გიგანტური ნაბიჯებით მიექანება წინ, შემდგომი კულტურულ-ეკონომიური განვითარებისაკენ. უდიდესი მიღწევები გვაქვს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეშიაც. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წლის განმავლობაში საქართველოში დაარსდა ოცამდე უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც ყოველწლობით უშვებენ მეცნიერული ცოდნით შეიარაღებულ მაღალკვალიფიციურ კადრებს. მაგრამ სწრაფი კულტურულ-ეკონომიური აღმავლობის გზაზე მდგომი სამშობლო სულ უფროდაუფრო მეტ კადრებს მოითხოვს. კადრების პრობლემა, როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, ერთერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს, რომლის გადაუჭრელად შეუძლებელია საბჭოთა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური აღმავლობა იმ ტემპებით, როგორიც მის მიერაა დასახული.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს შორის უდავოდ პირველი ადგილი უჭირავს, რამდენადაც იგი უშვებს უმთავრესად მეცნიერულ კადრებს, უმაღლეს, საშუალო სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებში სამუშაოდ.

უნივერსიტეტის ახლანდელი გამოშვება განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ იგი ხდება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის ივნისის დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შედეგად. მიღწეულმა შედეგებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მწვერვალების დაპყრობამ გაადიდა საბჭოთა ქვეყნის მოთხოვნილება ახალი მეცნიერული კადრებისადმი და ამ მიზნით პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დადგენილებით გაუქმებული იქნა უმაღლესი სასწავლებლების (გარდა ტექნიკურისა) კურსდამთავრებულთათვის სადიპლომო მუშაობა. მის ნაცვლად შემოღებულია სახელმწიფო გამოცდები ძირითად, წამყვან საგნებში, რომ კურსდამთავრებული უფრო ღრმად მოემზადოს, დაეუფლოს მეცნიერებას და თავისი საქმის ტექნიკას.

სახელმწიფო გამოცდების მომზადება და ჩატარება, განსაკუთრებით ამ პირველი შემთხვევისათვის, საკმაოდ სერიოზულ და რთულ საქმეს წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის კოლექტივმა საერთოდ დამაკმაყოფილებლად გადასჭრა ეს რთული ამოცანა, შედარებით მოკლე ხანში შესძლო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება და 1936 წლის ივნისში კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა მისცა ამავე წლის დეკემბერში წარმდგარიყვნენ სახელმწიფო გამოცდაზე.

ამ პირველი შემთხვევისათვის დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს თვით სახელმწიფო გამოცდების შედეგები: 468 კაციდან, რომლებიც გამოცდებზე გამოცხადდნენ, 345 კაცმა ანუ 73,5 პროც. მიიღო დიპლომის უფლება, მათ შორის 160 კაცი (34,2 პროც.) ფრიადოსანია, ისინი პირველი კატეგორიის დიპლომებს მიიღებენ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ 63 კაცსაც, რომლებიც მხოლოდ ერთ საგანში ჩაიჭრნენ და უფლება ეძლევათ ხელმეორედ ჩააბარონ გამოცდა, დიპლომის მიღების უფლება მიენიჭება სულ 408 კაცს (87 პროც.)

მაგრამ მიღწეულ შედეგებთან ერთად სახელმწიფო გამოცდებმა გამოამჟღავნა აგრეთვე ზოგიერთი ნაკლი, რომლებიც საჭიროა აღინიშნოს შემდგომში მათი გამოსწორების მიზნით.

ავიღოთ სახელმწიფო გამოცდებზე გამოცხადებულთა რიცხვი. სახელმწიფო გამოცდებზე დაშვებული 668 კაციდან ფაქტიურად გამოცხადდა 468 კაცი, ანუ 70 პროც. როგორც სჩანს, უნივერსიტეტის დეკანატებმა და კათედრებმა ვერ უზრუნველჰყვეს სათანადო ხელმძღვანელობა კურსდამთავრებულთა მთელი მასისადმი და მისთვის საჭირო დახმარების გაწევა სახელმწიფო გამოცდებისათვის მომზადებაში. კადრებზე დიდი მოთხოვნილება კი გვავალებს რაც შეიძლება დროულად გამოვუშვათ კურსდამთავრებულები.

მეორე და უფრო სერიოზული ნაკლი მდგომარეობს მომზადების შედარებით სუსტ დონეში. როგორც უნივერსიტეტის ზოგიერთი კათედრის მასალებიდან ირკვევა, სახელმწიფო გამოცდებზე დიპლომანტები მიდიოდნენ ლექციების დროს ჩანაწერი კონსპექტებით. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ მთელ რიგ საგნებში არ მოიპოვება სტაბილური სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. რუსულ ენას კი დიპლომანტები იმდენად არ არიან დაუფლებულნი, რომ შესძლონ რუსული სახელმძღვანელოებით სარგებლობა. ხოლო რაც შეეხება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებით სარგებლობას, დიპლომანტთა ერთი ნაწილი ამას გაურბის. ამის გამო არ შეიძლება მათ ისე ღრმად ჰქონდეთ შეთვისებული მეცნიერება, როგორც ეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს მოეთხოვება. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მრეწველობის ეკონომიკა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია. საბჭოთა ეკონომისტისათვის ეს საგნები მთავარია. გამოცდებმა კი გამოამჟღავნა მათი შედარებით სუსტი ცოდნა.

მრეწველობის ეკონომიკაში გამოცდებიდან ირკვევა, რომ დიპლომანტები არ იცნობენ ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას თუ გინდ საქართველოს ინდუსტრიას. თვალით არ უნახავთ ჩვენი მოწინავე წარმოებები, არ იცნობენ წარმოების უწყვეტ ნაკადს—კონვეიერს და სხვ., რაც იმის მაჩვენებელია, რომ სწავლის პროცესში არ ხდებოდა თეორიის დაკავშირება პრაქტიკასთან.

ამ მხრივ უნდა აღინიშნოს გეგმიანობის კათედრის პრაქტიკა, რომელმაც გასული წლის ბოლოს მოაწყო ექსკურსიები თბილისის ფეხსაცმელის და მაუდის ფაბრიკებში, რითაც დახმარება გაუწია დიპლომანტებს. საჭიროა შემდეგში ასეთი ექსკურსიების სისტემატურად მოწყობა.

მიუხედავად დასახელებული ნაკლისა, სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლანდელ გამოშვებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლად გამოშვებული მაღალკვალიფიციური კადრები პრაქტიკულ მუშაობაში შესძლებენ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირებით გააღრმავონ თავიანთი ცოდნა და ის სარგებლობა მოუტანონ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, რომელიც მათ მოეთხოვებათ.

უნივერსიტეტის კოლექტივი კი შესძლებს სათანადოდ შეაჯამოს ჩატარებული სახელმწიფო გამოცდების შედეგები, საჭირო დასკვნები გამოიტანოს აქედან და მიიღოს ზომები იმისათვის, რომ ამაღლებული იქნას შემდგომ გამოშვებათა ხარისხი.


ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

| | |
|---|---|
| 12-I | სასტუმროს დიასახლისი |
| 14-I | არსენა |

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი — სეზონი 1936—37 წ.
პრემიერა
გ. მდივანი
ალკაზარ
დრამა 4 მოქმ. 9 სურ.
5 2-2

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

| | |
|---|---|
| 12-I წარ. № 81 | ძალად ექიმი |
| 14-I წარ. № 82 | ცხვრის წყარო |

სახცირკი ტელ. 3-11-44
დღეს, 12 იანვარს სამი წარმოდგენა: ორი დღისით— დასაწყისი პირველისა 12 ს., მეორისა—2 ს. 30 წ. და ერთი საღამოს—დასაწ. 8-30 წ. სამივე წარმოდგენაში მონაწილეობს უდიდესი საბჭოთა ატრაქციონი კიო თავისი 25 ასისტენტით და საცირკო ხელოვნების ყველა საუკეთესო ოსტატი. ფასები ჩვეულებრივია.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

| | |
|---|---|
| ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30 | ახალი ხმოვანი ფილმი დაპატიმრებულნი სცენარი ნ. პაგოდინისა. რეჟისორი ჩერვიაკოვი. |
| დამკვრელი 6-45, 8-45, 10-45 | |
| კომკავშირელი 6 30,8,9-30,11 | ხმოვ. მხატვრ. ფილმი პირველი ოცეული |
| რ. ლუქსემბ. დღით და საღ 6 30,8,9-30,11 | საქ. სახკინმრ. ხმოვ. ფილმი ჭაჯეთი საბრძოლო ოლიმპიადა. საქკინოქრონიკის ნაწარმ. მე-19 ოქტომბერი საქართველოში. |
| 26 კომ. სახ. 6-30, 8, 9-30 11 | |
| ახალი ამბები 6 30 | ესპანეთის ამბ.—გამოშ. 10. ხმოვ. ჟურ. № 54, მეგობრულ შოლოლეთში. |


მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67. სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოსი — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, ღამის რედაქტორის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. №68.

მთავლიტის რწმუნებული ა—8175